



ციბერი

№ 44 / 20 - 26 სექტემბერი / 2010

- უდია იყიდებოდეს თუ არა ნიგერი ეუჩავი? გვ. 08 / 36 / 45
 მუალეფური არჩევნები ამარიკაში გვ. 15
 თურქეთის მშვიდობის გადატრიალება გვ. 17
 ჰააგა: პოლიტიკური სარჩევი გვ. 19
 არაღიარების პოლიტიკა: ფრონტის ახალი ხაზი – ტუვალუ გვ. 22
 ურნალისტური გამოწიევება: სახლი გზის პირას გვ. 24
 1000 ყივჩაღი და საკართველოს ინგლისურიზაცია გვ. 32
 ეუთავისის „ლა სკალა“ გვ. 34
 „წევი ზღვა და მინა დამიპრუნო, ღმიართო!!!“ გვ. 42

ფასი 2 ლარი

ISSN 1987-7528



გვ. 10

**ვინ მართავს
ბანათისაბის პოლიტიკას?**

FM
ՀՅԵՐԸՆ
98.0





ქუთაისის ოპერის თეატრი ფასადის ესკიზი

ცოდვები:

- 02 ფოსტა
- 04 მოკლედ
- 06 ფოტო
- 07 ვრცლად
- 08 ორი აზრი
 - უნდა იყიდებოდეს
 - თუ არა წიგნები
ქუჩაში?
 - მაღაზაზ ხარბედია vs ზაალ
სამადაშვილი
- 10 მთავრის თემა
 - განათლების აღსრულების
სამინისტრო
- 14 თვალსაზრისი
 - ქართველები და ჩინელები
მსოფლიო
- 15 იმედისა და შეშის შესახებ
მეზობლები
- 17 თურქეთის მშენებიანი
გადატრიალება

- პოლიტიკა**
- 19 პოლიტიკური სარჩელი
არალარების პოლიტიკა
- 22 ფრონტის ახალი საზი
შურნალისტური გამოძიება
- 24 სახლი გზის პირას
ეკონომიკა
- 27 საქართველოს
შეუსრულებელი დავალება
თვალსაზრისი
- 29 პოლიტიკური ფორა
ადამიანის უფლებები
- 30 ეჭვის ზღვის
საზოგადოება
- 32 1000 ყიმალი და
საქართველოს
ინგლისურიზაცია
ქუთაისის ოპერის თეატრის
რეაბილიტაცია
- 34 ქუთაისის „ლა სკალა“

- თვალსაზრისი**
- 36 დავბრუნოთ ბუკინისტები?
კაბერდანაშულთან პრძოლა
- 40 კაბერდონისტრილი
მედიაკრიტიკა
- 42 მისა ზღვა და მიწა დააბრუნე,
ღმერთო!
თარიღი
- 44 უსასრულოდ მოხეტიალე ანუ
„სული გრძნობებით
საესე“
- თვალსაზრისი**
- 45 ქუჩის წიგნები
სპორტი
- 47 ფეხი და ტეინი
გიო ახვლედიანი
ქალაქში მოხეტიალე
- 48 კაცის ჩანაწერები
არავის საქმეში

გარეკანები:

ვინ მართავს
განათლების პოლიტიკას?



შურნალი „ლაბერალი“ გამოიცემა ფინანსურისას
საზოგადოებას - სექტორების „მარდაჭერითი“

აფტორის / ავტორების მიერ საინიციატივით
მასალაში გამოიქმედი მოსაზრება
არ გამოიხტოვს ფონდის „ლა სკალაში მოხეტიალე“
პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის
პაუზისმეტელ მასალას მინარებული.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

ცირს თუ არა თსუ-ში ჩაბარება?

პრობლემების ძირითადი თავი სწორედ სისტემურ რეფორმებშია. მათ შორის არის რეგისტრაციის, მოუწყობელი აუდიტორიების, ბიბლიოთეკის არარსებობის, კარგი ლექტორების არარსებობის, არსებული ლექტორებისთვის დაბალი ანაზღაურების მიცემის, პროექტორების არარსებობის და სტუდენტებისთვის მიმართულებაზე ნახალისების არაადექვატური სისტემის არსებობის საკითხები. ...

როდესაც მე დავამთავრე უნივერსიტეტი სუ-ს (საერთაშორისო ურთიერთობების) მიმართულებით, სწავლა საერთოდ არ იყო. არ გამივლია არც ერთი კურსი საგარეო პოლიტიკაში, ევროპითმცოდნეობაში, კვლევის მეთოდებში, უსაფრთხოებაში, საერთაშორისო ორგანიზაციებში და არ დამიწერია საბაკალავრო ნაშრომი. ეს იყო სულ რაღაც რვა წლის წინ. ბოლო ხეთ წელიწადში ჩვენ შევეცადეთ ეს გამოგვესწორებინა. ყველა ზემოთთქმული სფერო ჩვენთან მეტ-ნაკლებად დაფარულია. ეს გავაკეთეთ იმის ხარჯზე, რომ „თავიდან მოვიშორეთ“ ისტორიის, სამართლის და გეოგრაფიის საგნები, რომლებიც მანამდე ისწავლებოდა ყოველგვარი კონცეულის გარეშე.

ამ პრობლემის გამოსწორების ერთადერთი გზა იყო ახალი ლექტორების მოწვევა და მათვის

სხვადასხვა კურსების წაკითხვის შეთავაზება, რადგან თსუ-ში არ არიან საკმარისი კადრები ყველა ამ მიმართულების დასაფარად. ამ მოწვეული ლექტორებიდან ბევრმა გაამართლა, რამდენიმე კი არ გაამართლა. ყველა ის ლექტორი, რომელმაც ვერ გაამართლა, ჩვენ გავათავისუფლეთ.

სტუდენტებს ემახსოვრებათ ჩვენს მიერ ჩატარებული პერიოდული



გამოკითხვები ლექტორის შესახებ. ამ გამოკითხვების მიხედვით ბევრმა ლექტორმა დატოვა თანამდებობა, მათ შორის, ისტობმაც, რომელთაც განათლება საზღვარგარეთ, პრესტიულ უნივერსიტეტებში ჰქონდათ მიღებული. სამწუხაროა, რომ ამ „ექსპერიმენტებს“

სტუდენტების რამდენიმე თაობა შეენირა. თუმცა, ეს მოხდა იმისათვის, რათა მომდევნო თაობებს

ჰქონდათ საშუალება კარგი საგნები გაევლოთ კარგ ლექტორებთან.

მიუხედავად ამ გამართლებისა, მე მესმის თეონას კრიტიკის. მას აქვს უფლება იყოს უკმაყოფილო იმით, რომ მასთან არაკომპეტენტური ლექტორი შეუშვეს. თუმცა, მან ისიც უნდა იცოდეს, რომ ამ ლექტორთა უმრავლესობამ მათზე უარყოფითი ფიდეცების მიღებისთანავე დატოვეს უნივერსიტეტი.

დანარჩენ საკითხებს რაც შეეხება, ისინი სწორედ რომ სისტემურ რეფორმებს ეხება. სამწუხაროდ, დღეს არც ფაკულტეტის ადმინისტრაცია და არც რექტორატი არ/ვერ ახერხებს ამ პრობლემების მოგვარებას. ძალიან დიდი ხანია საუბრობენ იმის შესახებ, თუ კიდევ რა უნდა გაკეთდეს უნივერსიტეტში.

მე ამაზე მაქვს მარტივი პასუხი – მენეჯმენტის დეცენტრალიზაცია და ფინანსური ავტონომია.

როდესაც ფაკულტეტის ექნება თავისი ბიუჯეტის ფორმირების და სრულად განკარგვის უფლება, და როდესაც მიმართულება შეძლებს იმის დაგეგმვას, თუ რამდენი წიგნი შეიძინოს და რა გადაუხადოს ლექტორს, მაშინ ასეთი პრობლემები აღარ იქნება. ჯერ თსუ-ს მენეჯმენტი ვერ გაიზარდა იმ დონემდე, რომ ეს პრობლემები მოაგვროს. იმედია, ახალი რექტორი ამას შეძლებს.

სერგი კაპანაძე, 14 სექტემბერი, 2010
www.liberali.ge

რედაქტორები: მთავარი რედაქტორი შემუშავილი / აღმასრულებელი რედაქტორი სოფო ჭავა / კავკასია და კონფლიქტები სოფო ბუენა / ურანალისტური გამომოქმედება ბექონ კურტანიძე / საზოგადოებრივი მასშტაბის ნორი ახალგაზისლი, ნორი საჯავა

შემუშავისტები: ნარა წილარიაშვილი, ნინო გოგუა, მარიკა ქოჩიაშვილი, ეკა ჭითანავა, რესუდან ფანიშიშვილი, ანიტა თვალი, თამარ ფარადაშვილი, ნინო ჩიმაკაძე,

ნინო რობაქეძე, ნინო გულაძეშვილი

პრორიცხული: მარქ მალუნი, გოგოგი ტბადანა, კახა კოხეინიძე, ლევან იზორია, ბაკურ სულავაური, ნანა საჯაია, რატი ამალიშვილი, ნინია კაკაბაძე, დავით ბუხრიებაძე, გიორგი აზელედიანი, კახა თოლიორიძავა

რედაქტორები: ფილიპ ბერიძე / გრაფიკული დზაინი თორინე ლორინებულიძე / რედაქტორ-სტილისტი მატა შემუგა / კრისტინორ თამარ ლონდაძე / გამოცემების მენეჯერი ქთია ბაზნაშვილი / პროექტის მენეჯერის ასისტენტი ლელა შემითბე / მარეტინგი და საზოგადოებასთან ურთიერთობა ნათალ რუსაძე / დისტრიბუტორი ზოგა შენგელია

გამოცემები: გამოცემების მასშტაბის შემთხვევაში: ასეთი ლინიარული ფორმა გამოიყენება მატა შემუგასთან ურთიერთობა ნათალ რუსაძე / გამოცემის კვირის ერთობელ, კონკრეტული მომენტის და დამატებითი საცავის შემთხვევაში: ასეთი ლინიარული ფორმა გამოიყენება მატა შემუგასთან ურთიერთობა ნათალ რუსაძე / სამართლის სამსახურის უფლებები დაცულია.

შემუშავი: გამოცემების მასშტაბის ნაზილობრივი და/ან მოლისი გამოიყენება რედაქციის თანმიმომის გარეშე აკრძალულია.

პეტლა: სტამბა „ფაკულტეტი“. მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108, ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფონტი: info@liberali.ge

სახლის გამოცემები: „ცხრილი“, „ლიტერატური“, „ცხრილი შეკოლები“, „ცხრილი შეკოლები“, „აიზინება: ადამიანები, მეოთხედები, სტრატეგიი“. მისამართი: თბილისი, შემბინაშვილის ქ. 50. ტელ.: (995 32) 95 19 52. www.phfavorite.ge

გამოცემის კვირის ერთობელ, კონკრეტული მომენტის და დამატებითი საცავის შემთხვევაში: ასეთი ლინიარული ფორმა გამოიყენება მატა შემუგასთან ურთიერთობა ნათალ რუსაძე.

ჰაინრიქ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო რეგიონალური სასტიპენდიო პროგრამის ფარგლებში აცხადებს კონკურსს სოციალურ მეცნიერებებში

რეგიონალური სასტიპენდიო პროგრამის მიზანი:

სასტიპენდიო პროგრამის მიზანია მხარი დაუჭიროს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში აკადემიური კვლევების ჩატარებას.

პროგრამის ამოცანებია:

- ხელი შეუწყოს ახალგაზრდა მეცნიერების მიერ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში სოციალურ მეცნიერებათა განვითარების ხელშემწყობი ინდივიდუალური და ინტერდისციპლინარული კვლევების ჩატარებას;
- ხელი შეუწყოს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში სოციალურ მეცნიერებათა სფეროში მოღვაწე პროფესიონალების რეგიონალური ქსელის განვითარებას.

კონკურსის პირობები

განაცხადის შემოტანა შეუძლიათ 1975–1987 წლებში დაბადებულ ახალგაზრდა მკვლევარებს, რომლებსაც გააჩნიათ სრული უმაღლესი განათლება და ამავე დროს მუდმივად ცხოვრობენ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. სავალდებულოა ინგლისური და რუსული ენების მაღალ დონეზე ფლობა. პრიორიტეტი მიენიჭება განაცხადებს, რომლებიც თემატურ სიახლეს, სოციოლოგიური და თვისობრივი კვლევის ინოვაციური მეთოდებს გვთავაზობენ.


ფონდი აფინანსებს აკადემიურ კვლევებს შემდეგი მიმართულებებით:

1. სამხრეთ კავკასიის ეთნო-ტერიტორიული კონფლიქტების შესახებ ახლებური ხედვის შემუშავება.
2. ლტოლვილები და იძულებით გადაადგილებული პირები სამხრეთ კავკასიაში: გადარჩენის სტრატეგიები.
3. საბჭოთა რეჟიმისათვის გაწეული წინააღმდეგობისა და რეპრესიების ისტორია.
4. უთანასწორობასა და დისკრიმინაციასთან დაკავშირებული პრობლემები სამხრეთ კავკასიაში.
5. გენდერული როლების ტრანსფორმაცია.

სტიპენდიის ხანგრძლივობა და მოცულობა

სტიპენდიის ხანგრძლივობა განისაზღვრება თორმეტი თვით (01.01.2011–31.12.2011). სტიპენდიის მოცულობა ყოველთვიურად 250.00 ევროს შეადგენს. ასევე შესაძლებელია ფონდის მიერ ორგანიზებული თანმდევი პროგრამა–სემინარებით, საზაფხულო სკოლითა და პუბლიკაციებით მხარდაჭერა.

სრული ინფორმაცია კონკურსის შესახებ მოიძიეთ ჰაინრიქ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიუროს ვებ-გვერდზე:



პარლამენტის პონეტის პროცესის ბანების იწყება

საკონსტიტუციო ცვლილებების საზოგადოებრივი განხილვის კომისიამ მუშაობა დაასრულა და ცვლილებების საბოლოო პროექტი პარლამენტში გადაიგზავნა.

კომისია მხოლოდ სამ საკითხზე – ორგანული კანონის, საკუთრების უფლებისა და გუბერნატორების დანიშნვის შესახებ შეთანხმდა.

დანარჩენ საკითხებზე კი მსჯელობა პარლა-

მენტში გაგრძელდება.

საბოლოო პროექტი შეაფასა ვენეციის კომისიის დელეგაციამაც, რომელიც თბილისში ორი დღით სპეციალურად ამისთვის ჩამოვიდა.

კომისიის მდიგანი ტომას მარკერტი ამბობს, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი წინ გადადგმული ნაბიჯია, თუმცა, მაინც რჩება პრობლემური დებულებებიც. მათ

შორის ყველაზე მნიშვნელოვანია მთავრობის

ფორმირებისა და პარლამენტის მიერ უნდობლობის გამოცხადების თემა.

„პრემიერ-მინისტრის ხელში საკმაოდ დიდი ძალაუფლება გადავა. იგი აირჩევა ფიქსირებული ვადით, გადაყენება კი შეუძლებელი იქნება, გარდა იმპირმენტის შემთხვევისა,“

– აცხადებს კომისიის მდივანი და დასხენს,

რომ, ამავდროულად, კანონპროექტი საკმა-

ოდ ძლიერ პრეზიდენტსაც ტოვებს ძალაში. მარკერტი არ გამორიცხავს, რომ ასეთი მოდელის შემთხვევაში პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის კონფლიქტიც წარმოიშვას.

მდიგანი ადასტურებს, რომ ვენეციის კომისიის ყველა რეკომენდაცია არ გაუთვალისწინებიათ კანონპროექტში და მაგალითად მოაქვს ის, რომ პრეზიდენტს უნარჩუნდება საკანონმდებლო ინიციატივით გამოსვლის უფლება. თუმცა, იქვე აღნიშნავს, რომ, მთავარია, მიღებული გადაწყვეტილებები ევროპულ სტანდარტებს შეესაბამებოდეს. კომისიის რეკომენდაციაა, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვა დაჩქრებულ რეზიმში არ წარიმართოს, მაგრამ ქართულმა მხარემ, კომისიის წევრების თბილისში ყოფნისას უკვე მიიღო გადაწყვეტილება, რომ პარლამენტი საკონსტიტუციო პროექტის განხილვას იწყებს.

ტომას მარკერტი იმედოვნებს, რომ კომისიის ოფიციალური დასკვნის გამოქვეწნებამდე ქართული მხარე დაპირებას შესარულებს და საკონსტიტუციო ცვლილებებს მანამდე არ დაამტკიცებს.

პარლამენტის მინისტრის უფლები მოახერილება

ლავაზავას

ნიკოლოზ ფრუიძეს პროექტის თანამდებობის პორტფელის გამოყენებასა და ქრთამის აღებაში სდებს ბრალს.

საქე 2009 წელს ვაქცინაციის სახელმწიფო პროგრამას ეხება.

კონტროლის პალატის ინფორმაციოთ წითელს, წითელასა და ყბაბურას ვაქცინების შემომტანი კომისია კანონდღვევით შეირჩის და გარიგებაში ფრუიძე მონაწილეობდა.

გამოძიების ვერსიით, სატენდერო კომისიამ ფრუიძეს მითითებით იმ კომისიას მიანიჭა

უპირატესობა, რომლის დირექტორიც ფრუიძეს კლასელი და მეგობარია.

ჯანდაცვის ყოფილ მინისტრსა და კომისია „ნ ფარმას“-ს შორის

გარიგების შედეგად, კონტროლის პალატის ინფორმაციით, სახელმწიფო ბიუჯეტი 1 650 ლარით დაზიარალდა.

„ნ ფარმას“ დამფუძნებლის, ზურაბ ნატროშვილის თქმით, ფრუიძე ამ გარიგებაში მისი კომპანიისგან ქრთამის სახით 25 ათასი დღლარი მიიღო.

ნატროშვილი და ფრუიძე 15 სექტემბერს დააკავეს. ბრალის დამტკიცების

შემთხვევაში, ნიკოლოზ ფრუიძეს 10 წლამდე პატიმრობა ელს. ჯანდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე დანაშაულს არ აღიარებს.

ჩილები

55% ევროპელებისა ნებატიურად არის განწყობილი ევროს მიმართ.

1 მილიონი რუბლი ჯილდო დააწესა ჩრდილოეთის კუთხით გვადიკავკაზიშ მომზღვარი ტერაქტის ორგანიზატორთა შესახებ ინფორმაციითვის.

ამისთვის და ჩასათი სამხედრო თანამშემცობას ანასიაზე

შეერთებული შტატების თავდაცვის მდგრანმა რობერტ გეიტსმა და რუსეთის თავდაცვის მინისტრმა ანატოლი სერდიუკოვმა პენტაგონში გამართულ შეხვედრაზე ხელი სამხედრო თანამშრომლობის დოკუმენტს მოაწერეს.

„ეს შეთანხმება ხაზს უსვამს სამხედრო თანამშრომლობას, როგორც ამერიკა-რუსეთის ურთიერთობების გამაძლიერებელ მნიშვნელოვან ელემენტს, განსაკუთრებით დღეს, როცა ორივე ქვეყანა ერთნაირი გამოწვევებისა და საფრთხეების წინაშე დგას“, – განაცხადა გეიტსმა.

ანალიტიკოსები იო ქვეყანას შორის განახლებული დიალოგის მთავარ მიზნად ამერიკისა და რუსეთის სამხედრო სტრუქტურებს შორის არსებული უნდობლობის გადალახვას ისახავს, რაც ობამას საგარეო პოლიტიკის ნაწილია.

„ეს შეხვედრები უწვენებს, რომ გადატვირთვის პოლიტიკის ფარგლებში ობამას რუსეთთან თავდაცვისა და უსაფრთხოების დარგში მჭიდრო თანამშრომლობა სურს, – ამბობს სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრის ანალიტიკოსი, ჰითი კონლი.



სინომი აჯანი ცენტრის მიმღებაზე იმსახურებს
ცენტ-აფხაზეთის, ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტის – მეუფე დანიელის ინიციატივით, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა სინოდი აკაკი წერეთლის წმინდანად შერაცხვის საკითხს განიხილავს. „ჭიათურისა და საჩხერის მოსახლეობამ და ინტელიგენციამ ჩათვალა, რომ აკაკი წერეთელი თავისი მოღვაწეობით წმინდანის წოდებას იმსახურებს. მათი სურვილი მე წმინდა სინოდს გადავეცი“, – განაცხადა მეუფე დანიელმა.

სინოდის სხდომა ერთ თვეში გამართება. სინოდის წევრები განიხილავენ წმინდანად შერაცხვის კანდიდატის ცხოვრების ბიოგრაფიას და მისი ზეპირ, თუ წერილობით ნააზრებს. სინოდი ასევე შეამოწმებს, არის თუ არა მისი ნეშტი გახრინილი. წმინდა სინოდმა 1987 წელს წმინდანად შერაცხა იღია ჭავჭავაძე.

197 მონ აშშ დოლარი შეადგინა 2010 წლის II კვარტლის მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობამ.

სისამაგრებელი



„საქართველოს უიარალოდ დატოვება სიტუაციას არ წაადგება. საქართველო ვერ დაესხმება თავს რუსეთს, უიარალოდ დარჩენილი საქართველო კი რუსეთისთვის დიდი ცდუნება იქნება, რათა საქართველოს მთავრობა სამხედრო გზით შეცვალოს.“

**პრეზიდენტი სააკაშვილი უურნალ „ნიუსვიკთან“
ინტერვიუში**

„მე არ ვუყურებ რუსეთს, როგორც საფრთხეს.

ჩვენ ვართ პარტნიორები და კონკურენტები ერთდროულად, მაგრამ მნიშვნელოვან საკითხებზე ჩვენ ვთანამშრომლობთ.“

ამერიკის სამხედრო მდივანი რობერტ გეიტსი რუსეთის შეიარაღების მოდერნიზებაზე საუბრისას

„პუტინმა თქვა, რომ რაკი გაეროს საერთაშორისო სასამართლომ ალიარა კოსოვოს დამოუკიდებლობა,

სერბების პროტესტის მიუხედავად, ამიტომაც აფხაზეთთან და სამხრეთ ისეთთან მიმართებაშიც იგივეა გასაკეთებელი.“

გერმანელი პოლიტოლოგი ალექსანდრე რარი ვლადიმერ პუტინთან შეხვედრის შემდეგ

„ომის თავიდან აცილება შესაძლებელი იყო, მაგრამ ჩვენი მხრიდან – არა. ეს შესაძლებელი გახდებოდა მაშინ, თუ ჩვენი დასავლელი პარტნიორები უფრო აქტიურები იქნებოდნენ.“

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი თემურ იაკობაშვილი 2008 წლის ომზე საუბრისას

2 მილიონ 500 ათას დოლარად იყიდა უორდანის სახელმწიფო რეპროდუქციის ინსტიტუტი კომპანია „სანიმ“.



ფოტო გამოსახულის მართვისა და მოვლენის მიმღებად

პუნქტი სამიზნე პუნქტი ელი

მერვეკლასელი ქეთი და მისი 6 მეგობარი სკოლაში მიიჩქარიან.

სოფელ თხილისწყაროს სკოლა წელს დაიხურა - იქ სულ 16-მდე ბავშვი სწავლობდა. ზოგ საკლასო ოთახში თითო ბავშვი იჯდა, ზოგშიც ორ-ორი.

15 სექტემბრიდან სოფელ თხილისწყაროელი ბავშვები ახალ სკოლაში პირველად წავიდნენ. ახალსოფლამდე მათ სკოლის ავტობუსით იმგზავრეს.

ბავშვებმა იციან, რომ ახალ სკოლაში მეტი კლასელი ეყოლებათ და გაკვეთილებიც აღარ გაუცდებათ.

ზაკავი - პოლიტის ეიცავ

თამარ კაკაბაძე

ჩეჩენი სეპარატისტების ერთ-ერთი ლიდერის - ახმედ ზაკავევის - დაკავების ფაქტი პოლიტიკური კომენტატორების-თვის პოლონურ-რუსული ურთიერთობების ანალიზის საბაბად უფრო იქცა, ვიდრე ჩეჩენური წინააღმდეგობის მოძრაობაში მოსალოდნელი ცვლილებების.

ყოფილი საველე მეთაური, იჩქერიის არალიარებული რესპუბლიკის კულტურის მინისტრი ახმედ ზაკავევი პოლონეთის პოლიციამ პარასკევს დააკავა. ზაკავევ ჩეჩენი ხალხის მსოფლიო კონგრესში უნდა მიეღო მონაწილეობა.

2002 წლიდან ზაკავეზე რუსეთის პროკურატურამ საერთაშორისო ძებნა გამოაცხადა. მას ტერორიზმსა და ბევრ სხვა მძიმე დანაშაულში ედება პრალი. 2003 წლიდან ის დიდი ბრიტანეთის მიერ მიცემული პოლიტიკური თავშესაფრით სარგებლობდა.

რუსეთის გენერალური პროკურატურა უკვე ამზადებს საჭირო დოკუმენტებს იმისთვის, რომ პოლონური მხარე ზაკავევის რუსეთში ექსტრადირებაზე დაითანხმოს.

ზაკავევს ერთხელ უკვე ჰქონდა პრობლემები ევროპელ სამართალდამცავებთან. 2002 წელს იგი დანის პოლიციამაც დააკავა, თუმცა შემდეგ გაათავისუფლეს იმ მოტივით, რომ რუსეთის პროკურატურის მიერ მონიდებულ მასალებში ზაკავევის დევნის საფუძველი ვერ აღმოაჩინეს.

ზაკავევი პოლონეთის ხელისუფლებისთვის სერიოზულ თავის ტკივილად შეიძლება, იქცეს. მოვლენების შესაძლო განვითარების სამი ვარიანტი არსებობს: ზაკავევის რუსეთში ექსტრადირება, მისი დიდ ბრიტანეთში გადაგზავნა ან დაკითხვის შემდეგ გათავისუფლება.

აქედან რომელ ვარიანტს შეარჩევს პოლონეთის ხელისუფლება, ამაზე ბევრი რამება დამოკიდებული.

ერთი მხრივ, სასწორზეა პოლონურ-რუსული ურთიერთობები, რომელიც საგრძნობლად დათბა მას შემდეგ, რაც კორემლის პოლიტიკის მიმართ მტრულად განხწობილი ლეხ კაჩინსკის თვითმფრინავი სმოლენსკთან ჩამოვარდა.

მეორე მხრივ კი, ზაკავევის ექსტრადირებით, შესაძლოა, სერიოზულად იზარალოს პოლონეთის საერთაშორისო იმიჯმა, რადგან საერთაშორისო საზოგადოება დღემდე ეჭვის თვალით უყურებს რუსულ სამართალს და პოლიტიკური ნიშნით ძებნილი პირების კორემლისთვის გადაცემას უფრთხის.

პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა დონალდ ტუსკმა, რომელიც რუსეთთან ურთიერთობების მოწესრიგების მთავარი ინიციატორია, პირველი კომენტარი პარასკევს გააკეთა. მისი თქმით, პოლონეთის ხელისუფლება ზაკავეთან დაკავშირებით ისეთ გადაწყვეტილებას მიიღებს, რომელიც მხოლოდ კანონსა და პოლონეთის ინტერესებს უპასუხებს.

ტუსკის თქმით, საქმე მარტივადაა: „რუსეთი ჩეჩენი ლიდერის დაპატიმრებას ითხოვს. კანონის თანახმად, პოლონეთმა რეაგირება უნდა მოახდინოს. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩეენ რუსეთის „დაკვეთას“ შევასრულებთ.“

პრესაში ახმედ ზაკავევს ჩეჩენ სეპარატისტთა „გლამურულ“ ლიდერს უწოდებენ, რომელიც ტელეკამერების წინ, როგორც წესი, ფეშენებელური სასტუმროებისა და პრიალა დარბაზების ფონზე ჩნდება. მის გვერდით ყოველთვის მისი მეგობარი ქალი - პოლონუდის ცნობილი ვარსკვლავი, ვანესა რედგრეი-



ვია, რაც ზაკავევის ფიგურას უფრო მეტ შარმს სძენს. ბოლო წლების მანძილზე იგი დასავლეთის საზოგადოებისთვის ჩეჩენი ხალხის თავისუფლებისა და ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სიმბოლოდ იქცა, თუმცა ჩეჩენეთში მას ასეთად ნაკლებად აღიკვამენ.

თავის დროზე ევროპაში ასლან მასხადოვის სპეციალური წარმომადგენელი, სეკულარული თვალთახედვის მომხრე ზაკავევი თავიდანვე არ იზიარებდა 2007 წელს კავკასიის იმარატის გამოცხადებისა და წინააღმდეგობის მოძრაობის „ისლამიზაციის“ კონცეფციისა და მას მოსკოვის ფანდს უწოდებდა.

ამის გამო ზაკავევი კავკასიის იმარატის ლიდერის დოკუმენტების პირად მტრად იქცა. შარიატის სასამართლომ მას დაუსწრებლად სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა.

ჩეჩენეთის პრო-მოსკოვურმა პრეზიდენტმა რამზან კადიროვმა, მანამდე არაერთხელ შესთავაზი ზაკავევს სამშობლოში დაბრუნება და რესპუბლიკის აღორძინების პროცესში მონაწილეობის მიღება. კადიროვის მიერ ზაკავევისთვის შეთავაზებულ პოსტებს შემოს გროზნოს საკონცერტო დარბაზის დირექტორობაც იყო. კადიროვის განცხადებებს ზაკავევმა ცინიზმი უწოდა.

ასეა თუ ისე, რესმა პოლიტიკოსებმა პოლონეთის ეს გადაწყვეტილება მეგობრულ უქამდად უკვე აღიქვეს და მას აღფრთოვანებით შეხვდნენ.

პოლონური კანონმდებლობით, უცხოელი მოქალაქეების ექსტრადირების საკითხს სასამართლო წყვეტს. საბოლოო გადაწყვეტილებას კი პოლონეთის იუსტიციის მინისტრი მიიღებს. ■



**მომხერე
მაღლაზ ხარბედია
მწერალი, ლიტერატურათმცოდნე**

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, ხელისუფლების ეს გადაწყვეტილება საზოგადოების დიდ ნინილში აღიმება როგორც წიგნის მოყვარულთა ერთგვარი გადასახლება, რეპრესირება, გნებავთ გეტოში გამოკეტვა, რამაც შესაძლოა წიგნის, როგორც ლირუბულების სრული გაუფასურება და ფართო მასებში მათი არსებობის დავინწყებაც კი გამოიწვიოს. ზოგს, ალბათ, გადამეტებად მოეჩვენება ჩემი ეს სიტყვები, მაგრამ სხვაგვარად ვერ აქციროთ ათასობით ადამიანის თხოვნისა და სურვილის გაუთვალისწინებლობას, იმ ადამიანებისა, რომლებისთვისაც ქალაქი, სხვა რამებთან ერთად, წიგნებთანაც ასოცირდება.

ცუდია, რომ ამ გადაწყვეტილების მიღებისას ხელისუფლებას არც საზოგადოებრივი აზრით უხელმძღვანელია და არც წიგნით მოვაჭრებისთვის უკითხავს რამე. ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა, სწორედ ეს გულგრილობაა, რომელმაც ხელი შეუშალა ქალაქის თავებს ერთმანეთისგან განერჩიათ ქუჩის ბუკინისტი და ხილ-ბოსტნეულის გამყიდველი.

დღესადღეობით თბილისში უმძიმესი სურათი იხატება, ქალაქი საცხაო სიმსიცორი დაავადებების გამომწვევი ყყლადბინძური ყვითელი ავტობუსებით, სამაგიეროდ იგი დაცლილია ბუკინისტებისგან, ადამიანებისგან, ვინც ათასობით მკითხველს გვრიდა შვებას.

დღეს ქალაქში წიგნების კვალი გამქრალია და ნურავის ჰეგონია, რომ წიგნებით მოვაჭრეთა დედაენის ძეგლს გადალმა, მტკვრის ჯებირთან გადაყვანით საქმეს ეშველება. კარგ ქალაქურ ტრადიციის, რომელსაც, თავის დროზე, ჩემი საკურებულოს თავმჯდომარეც ასხამდა ხოტბას, 2-3 ჩინოვნიკის მიერ მოფიქრებული „გამოსავალი“ ვერასადროს ჩაანაცვლებს. ისინი პარიზში, მდინარე სენის ნაპირებზე განთავსებულ წიგნის რიგებს იმოწმებნ სანიმუშოდ, თუმცა ავიწყდებათ, რომ ეს ადგილები ასწლეულების განაცვლობაში პარიზის ყველაზე ხალხმრავალი ადგილები იყო, სადაც ძალიან ბევრი ადამიანი სეირნობდა. დედაენის გადალმა, ზედ მტკვრის პირას გამოყოფილ ადგილას კი მხოლოდ ძალებს თუ ასეირნებენ, ისიც ათასში ერთხელ. და ნურავინ დაივერტს, რომ იმ ადგილებში იდესმე რომელიც ბუკინისტი მდგარა. ძევლი ბაზრობა სულ სხვა ადგილას იყო, მშრალ ხილთან ახლოს, გზის პირას.

საზოგადოებაში უკვე მომწიფდა აზრი იმის თაობაზე, რომ წიგნის მოვაჭრები არათუ რეპრესიების მსხვერპლი უნდა გახდენ, არამედ პირიქით, ხელი უნდა შეეწყოთ და მაქსიმალურად გაუმარტივდეთ მკითხველთან ურთიერთობა. ხელისუფლება წესით თავად უნდა დგამდეს ბუკინისტებისთვის გემოვნებით გაკეთებულ დახლებს ქალაქის სხვადასხვა უბანში. წიგნების გარდა ეს ადამიანები ხომ ქართული წიგნით დაზიანდებულ სუვენირებს, რუკებს, ბუკლეტებს და გზამკვლევებსაც გაყიდიან, თანაც გაყიდიან ეფექტურად, მიზნობრივად...

ჩემი აზრით, სერიოზულად უნდა ვიფიქროთ „წიგნის უბნის“ შექმნაზეც. მიმჩნია, რომ ქალაქის ცენტრში რამდენიმე ძალიან კარგი ადგილია სამისოდ. ასეთი ადგილები, შედარებით მცირე ფართობზე, შეიძლება გამოიყოს სხვა უბნებშიც.

ამის გაკეთება დღეს აუცილებლად მიმჩნია, რათა ქალაქმა თავისი კულტურული იერსახე არ დაკარგოს. წუ დაგვაიწყდება, რომ წიგნების გარეშე დარჩენილ ქალაქში კიდევ რამდენიმე ათასი ადამიანი გაუცხოვდება. □



ცნეა იყიდება ასე ნიბნები

■ დღეს ქალაქში წიგნების კვალი გამქრალია და ნურავის ჰეგონია, რომ წიგნებით მოვაჭრეთა დედაენის ძეგლს გადალმა, მტკვრის ჯებირთან გადაყვანით საქმეს ეშველება. კარგ ქალაქურ ტრადიციის, რომელსაც, თავის დროზე, ჩემი საკურებულოს თავმჯდომარეც ასხამდა ხოტბას, 2-3 ჩინოვნიკის მიერ მოფიქრებული „გამოსავალი“ ვერასადროს ჩაანაცვლებს. ისინი პარიზში, მდინარე სენის ნაპირებზე განთავსებულ წიგნის რიგებს იმოწმებნ სანიმუშოდ, თუმცა ავიწყდებათ, რომ ეს ადგილები ასწლეულების განაცვლობაში პარიზის ყველაზე ხალხმრავალი ადგილები იყო, სადაც ძალიან ბევრი ადამიანი სეირნობდა. დედაენის გადალმა, ზედ მტკვრის პირას გამოყოფილ ადგილას კი მხოლოდ ძალებს თუ ასეირნებენ, ისიც ათასში ერთხელ. და ნურავინ დაივერტს, რომ იმ ადგილებში იდესმე რომელიც ბუკინისტი მდგარა. ძევლი ბაზრობა სულ სხვა ადგილას იყო, მშრალ ხილთან ახლოს, გზის პირას.

საზოგადოებაში უკვე მომწიფდა აზრი იმის თაობაზე, რომ წიგნის მოვაჭრები არათუ რეპრესიების მსხვერპლი უნდა გახდენ, არამედ პირიქით, ხელი უნდა შეეწყოთ და მაქსიმალურად გაუმარტივდეთ მკითხველთან ურთიერთობა. ხელისუფლება წესით თავად უნდა დგამდეს ბუკინისტებისთვის გემოვნებით გაკეთებულ დახლებს ქალაქის სხვადასხვა უბანში. წიგნების გარდა ეს ადამიანები ხომ ქართული წიგნით დაზიანდებულ სუვენირებს, რუკებს, ბუკლეტებს და გზამკვლევებსაც გაყიდიან, თანაც გაყიდიან ეფექტურად, მიზნობრივად...

ჩემი აზრით, სერიოზულად უნდა ვიფიქროთ „წიგნის უბნის“ შექმნაზეც. მიმჩნია, რომ ქალაქის ცენტრში რამდენიმე ძალიან კარგი ადგილია სამისოდ. ასეთი ადგილები, შედარებით მცირე ფართობზე, შეიძლება გამოიყოს სხვა უბნებშიც.

ამის გაკეთება დღეს აუცილებლად მიმჩნია, რათა ქალაქმა თავისი კულტურული იერსახე არ დაკარგოს. წუ დაგვაიწყდება, რომ წიგნების გარეშე დარჩენილ ქალაქში კიდევ რამდენიმე ათასი ადამიანი გაუცხოვდება. □



მოწინააღმდეგე

ზაალ სამადაშვილი

მეცნიერი, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე

გარე ვაჭრობის შესახებ დღეს ბევრს ლაპარაკობენ. განსაკუთრებით წიგნით მოვაჭრებისა და მათ გულშემატკივრებს აფორიაქებთ ადგილის შეცვლა. ეს ალბათ ბუნებრივიცაა – ადამიანები ბუნებით კონსერვატორები არიან და ყოველგვარ სიახლეს ეჭვიანად უყურებენ, ფრთხილობენ, აშინებთ გაურკვევლობა. თუმცა, ამ შემთხვევაში, წიგნის მოვაჭრეების მდგომარეობა ნამდვილად არ არის სახიფათო.

დავინუოთ იმით, რომ ჩვენს ქალაქში საერთოდ არსებობს პარკებისა და ბაღებში ვაჭრობის ტრადიცია. წლების წინ, ჯერ კიდევ „პერესტროიკის“ დროს, ბუკინისტები ვერის პარკში იდგნენ, მერე, 90-იან წლებში, მშრალ ხიდთან გადაინაცვლეს, სწორედ იქ, სადაც დღეს სთავაზობენ წიგნების გაყიდვას. ოლონდ მაშინ არც პარკები იყო კეთილმოწყობილი, არც სტელაჟები ჰქონდათ და არც ძელსკამები, გამყიდველებს მინაზე გაშლილ ცელლოფნებზე ელაგათ წიგნები. ბალი ყოველთვის სავსე იყო ხალხით.

ამას იმიტომ ვიხსენებ, რომ დღეს წიგნით მოვაჭრეებს აშინებთ, დედაქნის ბაღში მყიდველი მოგვაკლდებაო. რასაკვირველია, რუსთაველისა და კოსტავას ქუჩაზე გაცილებით მეტი გამვლელია, მაგრამ გულწრფელად რომ ვთქვათ – მათგან რამდენია წიგნის მყიდველი?

ბუკინისტებს ყველაზე უკეთ მოეხსენებათ, რომ წიგნის მოყვარულები განსხვავებული ადამიანები არიან. ისინი დაუზარლად დადიან ყველგან, სადაც წიგნი ეგულებათ. თან არა მგონია, ორბელიანთუბანი – თბილისის ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი, ყველაზე ძველი უბანი – წიგნით ვაჭრობისთვის ცუდი იყოს. თუკი ბუკინისტები ქალაქის ცენტრში, დედაქნის ძეგლის გარშემო მოიყრიან თავს, ესეც ხომ სიმბოლური იქნება.

ზოგი იმსაც ამბობს, სანაპიროზე ქარია და ნესტიო. მსოფლიოს ყველაზე ცნობილი ბუკინისტები, მოგეხსენებათ, სენის ნაპირას ვაჭრობენ და არა მგონია, კლიმატური პირობები იქ ვინმეს ხელს უშლიდეს მუშაობაში.

მინდა, ყველას უთხრა, ვინც ამ საკითხით არის დაინტერესებული – ჩაბრძანდნენ დედაქნის ბაღში და ნახონ, რას სთავაზობს ქალაქის ხელისუფლება წიგნით მოვაჭრეებს. ნახონ დაჩრდილულ, ქვეთ მოკირნყლულ, ძალიან ლამაზ სანაპიროზე ჩამწერივებული სტელაჟები და ძელსკამები, და მე მგონი, დამეთანხმებიან, რომ აქ გაცილებით უკეთესი პირობებია შექმნილი ბუკინისტებისთვისაც და წიგნის მყიდველებისთვისაც. დროთა განმავლობაში აქაურობა იქცევა ერთგვარ ცენტრად ხელოვნების მოყვარულთათვის. როგორც ვიცი, მერიას ადგილის რეკლამირებაც აქვს დაგეგმილი ადამიანების მოსაზიდად.

მოდი, კიდევ ერთხელ გავიაროთ დედაქნის ბაღში, დავრწმუნდეთ, რომ ბუკინისტებისთვის შეთავაზებული ადგილი კარგია და ნუ შეგვეშინდება სიახლის! ☐

თუ რა არაში?

■ **მინდა, ყველას უთხრა – ჩაბრძანდნენ დედაქნის ბაღში და ნახონ, რას სთავაზობს ქალაქის ხელისუფლება წიგნით მოვაჭრეებს.**
მგონი, დამეთანხმებიან, რომ აქ გაცილებით უკეთესი პირობებია შექმნილი ბუკინისტებისთვისაც და წიგნის მყიდველებისთვისაც.

განათლების აღსაჩვენების სამინისტრო

ვინ მართავს განათლების პოლიტიკას?

სოფო ბუკია, რუსუდან ფანოზიშვილი



მალე საჯარო სკოლების მოსწავლეებს კიდევ ერთი საგანი დაემატებათ - ცეკვა.

ცენტრალურ ტელეარხებზე უკვე გავიდა სიუჟეტები, სადაც მასწავლებლებს, მოსწავლეებს და მშობლებს არწმუნებდნენ, რომ ქართული ცეკვის სწავლა აუცილებელია და მისი არცოდნა ცხოვრებაში დაბრკოლებად შეიძლება, იქცეს.

ყველაზე დამაჯერებელი არგუმენტი იდეის ავტორს აქვს:

„ჩვენი ბავშვები ქართულ ცეკვას სკოლებში იმ დონეზე მაინც ისანავლიან, რომ საჯუთარ ქორწილში ცეკვა შეძლონ. მაგალითად, მე ეს ვერ შევძლი და ძალიან მრცხვენა.“

ეს განცხადება პრეზიდენტმა სააკაშვილმა 26 აგვისტოს პედაგოგებთან შეხვედრისას გააკეთა. ცეკვის გაკვეთილების სკოლაში დაწერებვის ინიციატიროც თავად პრეზიდენტია.

პრეზიდენტის ბავშვობისა და ახალგაზრდობისა დროინდელი მოგონებები და ოჯახის წევრებს გადახდენილი ისტორიები ერთ წელზე მეტია, განათლების სფეროში ახალი ინიციატივების ინსპირაციაა.

მაგალითად, ინგლისური ენის სავალდებულო სწავლებაზე საუბრისას მიხეილ სააკაშვილი საჯუთარი ბების პრაქტიკას დაეყრდნო: „ინგლისურის სწავლა ყველა ასაკში შეიძლება. ბებიარებმა მზიამ ბოლო ხანგბში ისე ათოვისა ინგლისური, გაოგნებული ვიყავო“.

თანამედროვე სამყაროში ინგლისური ენის მნიშვნელობას დამატებითი არგუმენტები არ სჭირდება და სკოლებში მისი გაძლიერებული შესწავლა გასაგებია.

ბევრად მეტი კითხვაა ცეკვის საგალდებულო სწავლების აუცილებლობასთან დაკავშირებით, თუმცა სააკაშვილის ზოგიერთი ინიციატივა, მხოლოდ ერთი შეხედვითაა სპონტანური და გაუგებარი.

მაგალითად, თბილისელი ლალი სხიე-

რელი, „ლიბერალთან“ საუბარში ამბობს, რომ პრეზიდენტის ახალი ინიციატივა ძალიან მოსწონს და მისი ოჯახის ბიუჯეტს მნიშვნელოვნად დაზიანებს: „ორიგე ბავშვი ქართულ ცეკვაზე დამყავს. თვეში 70 ლარს ვიზდი. თუ სკოლაში ცეკვის გაკვეთილები იქნება, ეს ფული დამეზოგება,“ – ამბობს ის.

თანაც, თუ ცეკვის გაკვეთილებზე მთავარი აქცენტი სწორედ ქართული ცეკვის სწავლებაზე გაეთდება, ეს მშვენიერი პასუხი იქნება მათთვის, ვინც ფიქრობს, რომ „სააკაშვილის ხელისუფლება ყველაფერს ეროვნულს“ ებრძების და მხოლოდ ინგლისური ენისა და ამერიკული ფასეულობების გავრცელებაზე ზრუნავს.

„ანტიეროვნულობის“ იარღიყი „გარდების რევოლუციის“ შედეგად მოსულმა გუნდმა, პირველ რიგში, სწორედ განათლების სფეროში 6 წლის წინ დაწყებული მტკიცნეული, არაპოსულარული და ხისტი რეფორმის წყალობით დაიმსახურა.

საბჭოთა დროის ინერციით მოქმედი სისტემისთვის ცვლილებები მართლაც რადიკალურად ლიბერალური აღმოჩნდა. განათლების სისტემის მთავარი არსი მართვის გადანაწილებასა და დივერსიფიცირებაში იყო, რისთვისაც საზოგადოება მზად არ აღმოჩნდა.

6 წლის წინანდელი მოდელიდან, რომელსაც აშკარად ჰქონდა ხარვეზები, დღეს ბევრი რამ აღარ დარჩა. თუმცა, როგორც სპეციალისტები ირწმუნებან, ცვლილებები რეფორმის ხარვეზებთან ერთად, მეტნილად მის ღირსებებს შეეხო.

თვითმმართველობისთვის ჩაფიქრებული სისტემა ხისტ ვერტიკალურ ტრანსფორმირდა, რომელსაც ერთი ადამიანი მართავს და ეს ადამიანი განათლების მინისტრი არ არის.

სამხედრო-პატრიოტული აღზრდის გაკვეთილების შემოლება, ინგლისური ენის სწავლება პირველივე კლასიდან, ოქროს მედლებით წარჩინებული მოსწა-

ვლების დაჯილდოება, გამოსაშვები და მისაღები გამოცდების გაერთიანება და 10 გამოცდის დანიშვნა - ყველა ეს ინიციატივა, რომელიც თანდათანობით ინერგება განათლების სისტემაში, პირადად საქართველოს პრეზიდენტს ეკუთვნის.

განათლების სექტორში, ისევე როგორც - ბევრ სხვა სფეროში, გარდატების ხანა 2007 წლის 7 ნოემბერია. თავისი პრეზიდენტობის ყველაზე კრიტიკულ მომენტში, როცა ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადებოდა, მიხეილ სააკაშვილმა პედაგოგებთან შეხვედრაზე ბევრი ის ნაბიჯი გააკრიტიკა, რომელიც ალექსანდრე ლომაიას მინისტრობის დროს გადაიდგა.

ნახევარსაათიან შეხვედრაში მან მოასწორ მასწავლებელთა ტესტირების პრაქტიკის შეცვლა გადამზადების პროგრამებით, სკოლის დირექტორობის ლოტომორნით შერჩევის წესის გაუქმება, სოციალური დამარტინი ვაუჩერების სკოლის ტექნიკური პერსონალისთვის დარიგება, პედაგოგებისთვის მეცამეტე ხელფასის დანიშვნა და 24 დღიანი შვებულების 48 დღემდე გაზრდა. ორწლიანახევრის წინ გაცემული ამ დაპირებებიდან ბევრი არ შესრულებულა, თუმცა, იმ კონკრეტულ დროს, პრეზიდენტის მიერ პირდაპირ ეთერში გაკეთებული ეს განცხადებები ძალიან ეფექტური იყო.

ამ დაპირებების პოლიტიკურ შინაარსს ირბადად ადასტურებს განათლების მაშინდელი მინისტრი გია ნოდაია, რომელიც „ლიბერალთან“ ინტერესი ამბობს: „არჩევნები მოდიოდა, ამიტომაც გადავდეთ, მაგალითად, მასწავლებელთა სერტიფიცირება და სკოლების აკრედიტაცია. ჩემი მინისტრობის დანიშვნების ნაკლებობა არჩევნებმა და ომმა განსაზღვრა.“

ასე დადგა ახალი ერა განათლების სფეროში, რომელიც დღემდე გრძელდება.

ნიკა გვარამია, რომელმაც გია ნოდია შეცვალა, ამბობს, რომ ცვლილებების მიზეზი რეფორმის მსვლელობისას დაშვებული შეცდომების გასწორება იყო: „ჩემი მინისტრობის დროს განათლების სამინისტროს სლოგანი იყო – რეფორმების მეორე ეტაპი. რეფორმატორის ვალდებულებაა ცდისმიერი შეცდომების აღმოჩენა, შეფასება და, სწორად გაკეთებული დასკვნების საფუძველზე მათი გამოსხორება. რეფორმის დაწყებიდან მეხუთე წლისთავზე სწორედ ამის დრო დადგა,“ ამბობს გვარამია და „ლიბერალთან“ საუბარში ლომიასას რეფორმებს „მთლიანობაში ნარმატებულს“ უწოდებს, მის დროს დაშვებულ

ველ წლებში სააკაშვილი ამაყობდა, საპირისპირომ ჩაანაცვლა.

რესურს-ცენტრების თანამშრომლები, რომლებსაც რეფორმის დასაწყისში გაზრდილი უფლებამოსილებები ისევ შეუმცირეს, ამბობენ, რომ იყო შემთხვევები, როცა მათ სკოლის მასწავლებლების პოლიტიკური ორიენტაციის გარკვევას ავალებდნენ.

2008 წლის არჩევნების შემდეგ კი, გია ნოდიას მოადგილემ, ალექსანდრე ჩიკვაიძემ, რესურს-ცენტრების ხელძვანელები დაიბარა და არჩევნებში პასიურობისთვის მკაცრად გააკრიტიკა. 2004 წლს ლიბერალური რეფორმების დასაწყისში, რომელთა დეკლა-

მთავარი იდეები მაშინაც თანხმდებოდა.

განათლების საპარლამენტო კომიტეტის მაშინდელი წევრი დავთ ზურაბიშვილი იხსენებს: „ერთხელ, კანონპროექტის განსახილველად პრეზიდენტთან სალაპარაკოდ მეც მივედი. ერთადერთი კითხვა, რაც დამისვა – ზედმეტი ავტონომია ხომ არ მივეცით მოსწავლეებსო?... უნივერსიტეტის რექტორის არჩევნების საკითხიც პრეზიდენტთან და ვანო მერაბიშვილთან ერთად იგეგმებოდა“.

თუმცა, მაშინდელი რეფორმატორების თქმით, კოორდინაცია პრეზიდენტთან მაინც იმდენად მინიმალური იყო, რომ ზოგჯერ ხალხისთვის იმის დამტკიცე-



გახა ლომაია

გია ნოდია

შიგეილ სააკაშვილი

ნიკა გვარამია

ირმიტრი შაშკინი

შეცდომებს – „ბუნებრივს“.

განათლების სფეროში აღმოჩენილ ხარვეზებთან ერთად მიშვნელოვნად იცვლებოდა ქვეყნის პოლიტიკური ვთარება. შიდა თუ გარე საფრთხეებმა, რომლებიც სააკაშვილის ხელისუფლებას დაემუქრა, გრძელვადიან პერსპექტივაზე გათვლილი რეფორმები შეინირა და მთელი ყურადღება პოპულისტურ, მყისიერ ეფექტზე ორიენტირებულ გადაწყვეტილებებს დაეთმო.

2007 წლის შემოდგომის შემდეგ პოლიტიკა დაუფარავად შევიდა განათლების სისტემაში. ერთპიროვნული ინიციატივები, ლოგიკურად, მეტ კონტროლს ითხოვდა: განათლების სისტემის დეცენტრალიზაცია, სასწავლებლების ავტონომია, არჩევითობის სისტემა – რითაც თავისი პრეზიდენტობის პირ-

რიორბული მიზანი საქართველოში ლიბერალური ლირებულებების მქონე მოქალაქეების აღზრდა იყო, არაფერი მოასწავებდა იმას, რომ სამხედრო პატრიოტული სულისკვეთებისა და მტერთან ბრძოლისთვის მზადყოფნის გაკვეთილები გაჩნდებოდა.

პატრიოტული აღზრდაც პრეზიდენტის იდეაა. როგორც 7 წლების კრიზისის დროს, ასევე რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგაც განათლების სფერო პრეზიდენტის ერთპიროვნული ინიციატივების პოლიგონად იქცა.

თუმცა, გახა ლომაიას გუნდის წევრები ამბობენ, რომ გადაწყვეტილებების მიღებისას განათლების სამინისტრო სრულიად დამოუკიდებელი არც რეფორმების დასაწყისში ყოფილა - პრეზიდენტთან განათლების პოლიტიკის

ბაც კი ძნელდებოდა, რომ სააკაშვილი ამ რეფორმას მხარს უჭერდა.

2005-2009 წლებში განათლების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრის ხელმძღვანელი სიმონ ჯანაშია იხსენებს: „პარლამენტში კანონპროექტის განხილვისას მწვავე დისკუსიები იმართებოდა. კრიტიკა და შენიშვნები სახელისუფლებო გუნდის წევრებისგანაც მოდიოდა.“

მისი თქმით, უკვე ერთი წლის წინ კი სამინისტროს თანამშრომლები უმრავლესობის წევრებს საყვედურობდნენ, შენიშვნები რატომ გაქვთ, და თუ გაქვთ, რატომ წინასწარ არ შეგვითანხმეთო.

ნიკა გვარამია არ აკეთებს კომენტარს იმაზე, იყო თუ არა მასთან შეთანხმებული 2009 წლის შემოდგომაზე

პრეზიდენტის მიერ პირდაპირ ეთერში გაცემული განცხადება, გამოსაშვები და მისაღები გამოცდების გაერთიანებასა და 10 გამოცდის დანიშვნის შესახებ.

გვარამიამ, რომელსაც რთული პარტიული დაგვალებების შესრულების პრაქტიკა ნამდვილად ჰქონდა, მაშინ პრეზიდენტის ეს ინიციატივა მყისიერად არ შეასრულა. მინისტრმა სიახლის დაწერგვა სულ მცირე 4 წლით გადადო იმ მიზეზით, რომ მის მომზადებას დიდი დრო, სახსრები და ძალისხმევა სჭირდებოდა.

მისმა მემკვიდრემ – დიმიტრი შაშკინმა კი პირობა დადო, რომ „10 გამო-

ეკონომიკური ზრდის შეფერხების პირობებში, მაშინ, როცა რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ სამხედრო რიტორიკა და კომუფლაჟით სამხედრო ბაზების დათვალიერება მხოლოდ ღიმილს გამოიჩვევს, და საგარეო ტრიბუნაზეც არავინ აწყვეტინებს სიტყვას ტაშით, პრეზიდენტს სჭირდება სფერო, სადაც ხალხის გულების მონადირებას შეძლებს. ასეთი სფეროები დღეს ტურიზმი და განათლებაა, სადაც სააკაშვილს მოქმედების სრული თავისუფლება სჭირდება.

პრეზიდენტისთვის ამ თავისუფლების უზრუნველყოფამ მნიშვნელოვნად

მანდატურებს უფრო დაძაბულ იქნას სძენს.

მანდატურების ინსტიტუტი, რომელიც შაშკინის პირადი ინიციატივაა, სწორედ კონტროლის გამკაცრების პოლიტიკის ნაწილია ისევე, როგორც დირექტორების დანიშვნის ინიციატივა, სამეურვეო საბჭოების უფლებამოსილების შეზღუდვა და განათლების სამინისტროს უფლებამოსილების გაზრდა.

შაშკინის ბრძანებით, სკოლის მასწავლებლებს უკრნალისტებთან ურთიერთობა აეკრძალათ, თუ ნებართვა სამინისტროსგან არ აიღეს. ეს ყველაფერი იმიტომ კეთდება, რომ შაშკინის აზრით,



მანდატურების ფიცის დადების ცერემონია
განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, 14 სექტემბერი 2010

ცდის“ იდეის განხორციელებას სულ რაღაც წელიწადნახევარში მოახერხებდა.

შეძლებს თუ არა შაშკინი დადებული პირობის შესრულებას და რამდენად ხარისხიანად, ამასთან დაკავშირებით განათლების სფეროს ექსპერტებს დიდი ეჭვები აქვთ.

მაგალითად, ხმაურიანი „ბრენდირების“, ანუ სკოლების კლასიფიკაციის სისტემის დანერგვის ნიშნები არ ჩანს, პროექტი კი სექტემბრიდან უნდა დაწყებულიყო.

თუმცა, შაშკინისთვის პრეზიდენტის შეუსრულებელი ბრძანებები არ არსებობს. ამის გამო ის დღეს მნიშვნელოვანი კადრია პრეზიდენტისთვის, რომელიც უკვე კარგა ხანია განათლების „ჩრდილოვან“ მინისტრად იქცა.

შეზღუდა განათლების მინისტრის სამქმედო არეალი. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის ყოფილი მინისტრი დიმიტრი შაშკინის მთავარ საქმიანობად განათლების სისტემაში კონტროლის გამკაცრება და დისციპლინის დანერგვა იქცა.

განათლების სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებულია ფოტო, რომელიც მანდატურების ფიცის დადების ცერემონიალზეა გადაღებული.

დარბაზში სიმეტრიულადაა განლაგებული სკამები, სადაც უნიფორმაში გამოწყობილი მანდატურები ერთნაირ პოზაში სხედან. დარბაზის აივანზე კი მათივე კოლეგები დაბანან, ცივი სახეებითა და გამჭილი მზერით. ნეონის ნათურების შუქი მხოლოდ დარბაზის კიდეებს ეცემა და შუაგულში მსხდომ

■ 2004 წელს ლიბერალური რეფორმების დასაწყისში, რომელთა დეკლარირებული მიზანი საქართველოში ლიბერალური ლირებულებების მქონე მოქალაქეების აღზრდა იყო, არათერი მოასწავებდა იმას, რომ სამხედრო პატრიოტული სულისკვეთებისა და მტერთან ბრძოლისთვის მზადყოფნის გაკვეთილები გაჩნდებოდა.

სკოლებში ზედმეტმა ავტონომიურობამ არ გაამართლა.

15 სექტემბერის სკოლის მოსწავლეები უკვე წავიდნენ ახალი რეჟიმის სასწავლებლებში, სადაც სამინისტრო სასწავლო პროცესს ფარული კამერებით დააკვირდება.

თბილისისა და საქართველოს სხვა დიდი ქალაქების სკოლებში ახალი პერსონალები – მანდატურები უკვე გამომწიდნენ. მალე ახალი წესებიც ამოქმედდება - „ქუჩის“ ბიჭებს ეზოს დაალაგებინებენ, განსაკუთრებით „რთულ“ მოსწავლეებს კი სამტრედიის სპეც-სკოლაში გაამწევებენ.

უკვე სექტემბრიდან მე-4, მე-8 და მე-12 კლასის მოსწავლეები პატრიოტიზმის ინსაკლიან.

ინვრიდან კი ზოგიერთ საჯარო სკოლაში ცეკვის პილოტირება დაიწყება. ■

კანტველი ე ჩინები



სულ ახლახან www.crrc.ge-ს მიერ მოწყობილი გამოკითხვა ვნახებ. რესპონდენტებს ჰქონდეს, რა რეაქცია ექნებოდათ იმ შემთხვევაში, თუ მათი ნათესავი უცხოელზე დაქორწინდებოდა. ყველაზე პოპულარულები იტალიელი მეუღლეები აღმოჩნდნენ, ყველაზე ნაკლებად პოპულარულები - ჩინელები. ეს ბევრს არაფერს ნიშნავს, მაგრამ საინტერესო ფაქტია და ჩინელებისა და ჩინეთის საკითხს წინ სწევს.

მარკ მალენი

საქართველოს ისტორია შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც „დასავლეთისეკენ სწრაფვის ამოცანა“, რომლის მიხედვითაც საქართველო, ბუნებრივად, ევროპული ქვეყნაა. საუბედუროდ, ის ჩამორჩნილი, აგრესიული იმპერიების გარემოცვაში აღმოჩნდა, რომლებიც მას აღმოსავლეთისეკენ ექაჩებოდნენ. აღმოსავლეთ-დასავლეთის მეტაფორა ქართული ყოფიერების ყველა ასპექტში იჩინს თავს, განსაკუთრებით იმაში, თუ როგორ განიხილავთ თავს საქართველო. საბჭოთა პერიოდში, მთავარი ოცხება დასავლეთთან შეერთება იყო. „დასავლეთი“ არ გულისხმობდა თურქეთს, არამედ იტალიასა და სხვა ქვეყნებს. აზიატური კი ნიშნავდა (და კვლავ ნიშნავს) ყველაფერს ჩამორჩნილს, გახრწინილს, ლეთარგიურს, უახროდ აგრესიულს. პროგრესულის ანტონიმი აზიატურია.

როგორც ამერიკელს, ასეთი წარმოვიდგინები არ მანუხებდა, თუმცა რაღაც დოზით, მსგავსი გრძნობა აღბათ მქონდა. ისევე როგორც ჩიმი თაობის ამერიკელების უმრავლესობას, მეც მიმაჩნდა, რომ ამერიკა, განვითარების მთავარი საზომებით, სხვა ქვეყნებშიც აღმატებული თუ არა, ჩამორჩნილი ნამდვილად არ იყო. უზრუნველყოფის დამთავრების შემდეგ, იაპონიაში გავრეგზავრება და გაოცებული დაერჩი - იმ დროისათვის იაპონია, თითქმის ყველა ასპექტით, უფრო მეტად განვითარებული იყო, ვიდრე ამერიკა: უფრო სუფთა, მდიდარი, უსაფრთხო, ჯანმრთელი და ა.შ. თანაც, იაპონიის 40-წლიან განვითარებაში დიდი წელილი არც ამერიკა-ნიზაკისა და არც, ზოგადად, ვესტერნიზაციის შეუტანია. იაპონია თავისი გზით ვითარდებოდა და ამან გაამართლა.

როგორც იქნა, საქართველოს სწრაფვა, დასავლეთის მუდმივი ნანილი გახდეს, ნელ-ნელა რეალობა ხდება. ამ დროს კი ჩევნ ჩინური ეპოქის დასაწყისის მომსწრენი ვხდებით.

საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის წარმოშობილი განხეთქილების შემდეგ, საბჭოთა და დასავლეური მედია ჩინეთის ერთსა და იმავე ფერებში ხატავდა. ის იყო გვიანტური, ჩაკეტილი, ჩამორჩნილი და უუნარი. ჩინეთშე დღესაც ყველას „კულტურული რევოლუცია“ ასენდება. არადა, ძლიერი სამრეწველო პოლიტიკის წყალობით ჩინური ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტი შეცვალა და მსოფლიო ახალი რეალობის წინაშე დადგა: აღბათ, იმ საგნების ნახევარი, რომლებიც ამ სტატიის კითხვის დროს თქვენს ოთახშია განთავსებული, ჩინეთშია დამზადებული. რამდენიმე კვირის წინ, ჩინეთმა გაუსწრო იაპონიას და მსოფლიოს ყველაზე დადი ეკონომიკური გახდა.

ჩინეთშე რესეფთან მისი საზღვრიც მეტყველებს. რესეფთან ამ საზღვრის გასწრივ ისევე გამოიყურება, როგორც მთლიანად ციმბირი: შეთხელებული, დაქანცული მოსახლეობა სხვას არაფერს

აკეთებს, გარდა მიწიდან სასარგებლო წიაღისეულის ამოღებისა, რომელიც საბოლოოდ მოსკოვში პატარა კავუფის გამდიდრებას ემსახურება. საზღვრის მეორე მხარეს კი ჩინეთი ვითარდება: ახალი ქალაქები, ახალი ქარხნები, კულტივირებული მნიშვრები... რამდენიმე თვეს წინ, ლონდონში, ერთი აზიელი ექსპერტის ლექციას დავესწარი, რომელიც ჩინეთსა და იაპონიასთან ამერიკის ურთიერთობებს ეხებოდა. ერთ-ერთმა დამსწრემ ჰკიოთხა, თუ რა როლი ენიჭება რუსეთს ამ ურთიერთობებში. მომხსენებელს გაეცინა და თქვა, რომ რუსეთი შესაძლოა, ევროპის გადმოსახედიდან მართლაც მნიშვნელოვანი მოთამაშეა, მაგრამ აზიური პოლიტიკის ქრილში, უბრალოდ, არასანდო და უმნიშვნელო თავის ტყივლიაო. მან თქვა, რომ თუ ჩინეთსა და რუსეთს შორის იდესმე რამე სერიოზული უთანხმოება, ჩინეთი, უბრალოდ, ერთს ღრმად შეისუნთქავს და ... სადღა იქნება რუსეთი!

ჩინეთის წარმატება ბევრს აღლვებს. როდესაც საბჭოთა კავშირი დაიძალა, ამერიკელ სამხედროებს სამხედრო-ინდუსტრიული კომპლექსის სიდიდის შესანარჩუნებლად მიზეზი სტირდებოდათ და კონგრესმა გადაწყვიტა, რომ ჩინეთი ახალი საფრითება. სინამდვილეში, ისტორიულად ჩინეთი უფრო იძვიათად იწყებდა ომს, ვიდრე ამერიკა. ჩინეთის სამხედრო პოტენციალიც ამერიკასთან შედარებით უმნიშვნელოა. ზოგიერთი შემფოთებულია იმით, რომ ჩინეთი მხარს უჭერს აგტორიტარულ რეჟიმებს, განსაკუთრებით აფრიკის კონტინენტზე, სადაც მას ნედლეულთან დაკავშირებული ინტერესები აქვთ. ამ საქმეში სუფთა ხელები არც ამერიკას ან ეროპას აქვთ. მართალია, ჩინელები თავანთ ვალუტას ხელოუნურად აუფასურებენ, რომ ექსპორტი დააფინანსონ, მაგრამ ინდუსტრიალიზაციის ადრეულ ეტაპზე ამერიკა და ევროპაც სწორედ იმავე ხერს მიმართავდნენ. ყველაფერი ამის გათვალისწინებით, ძნელია იმის უარყოფა, რომ ჩინეთი მსოფლიოს სტაბილურობის მნიშვნელოვანი ნანილია. ის ვითარდება და ვითარდება.

ამასობაში, არავინ იცის, თუ რას გვიმზადებს მომავალი. ჩინეთი მსოფლიოში გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ხდება და ვერ ვხედავ მიზეზს, თუ რატომ არ უნდა ჰქონდეს საქართველოს მასთან კარგი ურთიერთობები. ამის დაწყება საქართველოში მცხოვრებ ჩინელებთან ურთიერთობის დამყარებით შეიძლება. საქართველოში ბავშვები სწავლობენ ქართულს, რუსულს, ინგლისურს. როგორც მეოთხე ენას, მე ჩემს შეიღებს მანდარინის (ჩინეთის ოფიციალური ენა) შესავლას ვთავაზობ. ც

ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ცხადაიამ.

არჩევნები ახორციაში

იმართვის და მიმდინარეობის განვითარება

„ეს ისევ შიშია იმედის წინააღმდეგ. წარსული მომავლის წინააღმდეგ. არჩევანი ისევ უკანდაბრუნებასა და წინსვლას შორის უნდა გავაკეთოთ. ეს არის არჩევანი, რომლის წინაშე თქვენ ნოემბერში დადგებით“. პრეზიდენტი ბარაკ ობამა. 8 სექტემბერი, 2010წ. კლივლენდი, ოჰაიო

სუმ ადამისი, უაშინებელი



2006 წლის შუალედური არჩევნების წინ ამერიკული „სი-ენ-ენ-“ ის ახალი ამბების მთავარი თემა მორალურად გატეხილი და პოლიტიკურად გაკოტრებული მთავრობა იყო. გადაცემების სერიის სათაურო, რომელიც 2006 წლის ზაფხულის მნიურულს დაიწყო და შემდეგ საპრეზიდენტო არჩევნების წინ განახლდა, მართალია, მოხდენილად ულერდა (Broken Government), მაგრამ მძაფრად უსიამოვნო გრძნობას აღვივებდა. ამ გრძნობას მომავლის შიში ერქვა.

შიში 2008 წელს იმედის თემით ჩაანაცვლა ახალგაზრდა, ენერგოულმა, ქარიზმატულმა პრეზიდენტობის კანდიდატმა და დაუჯვერეს კიდევც.

თომიცა, თეთრ სახლში მისვლიდან ორი წლის განმავლობაში პრეზიდენტის რეიტინგი საგრძნობლად შემცირდა.

არჩევნების წინ ციფრების (რეიტინგების) არითმეტიკა გამარჯვების განტოლების გამოყვანის საშუალებას ნაკლებად, თეთრი სახლის შიშის საფუძველს კი ნამდ-

"ჩაის მსახიობი" ახალი მოძრაობა

★★★

Tea party-სა სახალხო მოძრაობამ, რომელმაც კონსერვატიულ ელექტორალურ ველს ენერგია შემატა, შესაძლოა, რესპუბლიკურ პარტიას ზომიერი ამომრჩევლის ხმები დააკარგინოს.

14 სექტემბერს, 2 ნოემბრის წინ, ბოლო პრაიმერები გაიმართა კოლუმბიის ოლქსა და 7 შტატში. დელავერში მემარჯვენე სახალხო მოძრაობის, Tea party-სა და სარაპელინის მიერ მხარდაჭერილმა ქრისტინ ო'ლონელმა რესპუბლიკელთა კანდიდატს მოუგო, რესპუბლიკელები ფიქრობენ რომ ო'ლონელი 2 ნოემბერს დემოკრატ კონკურენტს ვერ დაამარცხებს, ვინაიდან დელავერში ზომიერი ამომრჩეველი ჭარბობს.

ვილად იძლევა.

იმედი და ცვლილებების მოთხოვნა ამჯერად წითელ ამერიკას, ანუ „რეპულიკელებს“ აძლიერებს. ლურჯი ამერიკა მიმედ დარტყმისთვის ემზადება.

ჩითლისა და ლურჯის შესახებ

არჩევნების დღეს საარჩევნო ინტერესტიული რუკები ძირითადად ორფეროვანია – წითელი და ლურჯი. მარად „დემოკრატიული“ და ტრადიციულად „რესპუბლიკური“ შტატების გარდა, არის რამდენიმე მერყევა, რუკაზე მენამულად შეფერილი გამონაკლისი (Swing States), საადაც ყოველ არჩევნებზე დაუნდობელი ორთაბრძოლა იმართება. მენამული ფერი საარჩევნო კარტოგრაფიაში დამოუკიდებელი, და თუ „სვინგერს“ პირდაპირ ვთარგმნით, სიცოცხლის მოყვარე ამომრჩეველთა სიჭარეს მოასწავებს.

წითელი ამერიკა კონსერვატიულია,

ახალი არჩევნები აშშ-ის

★★★

46%	დადებითად აფასებს პრეზიდენტის საქმიანობას
49%	უარყოფითად აფასებს პრეზიდენტის საქმიანობას
29%	ქვეყნის კურსს დადებითად აფასებს
62%	ქვეყნის კურსს უარყოფითად აფასებს
21%	დადებითად აფასებს კონგრესის საქმიანობას
71%	უარყოფითად აფასებს კონგრესის საქმიანობას

უფარს იარაღი, სიცოცხლის უფლებას არჩევანის უფლებაზე მაღლა აყენებს (როდესაც საქმე აბორტებს ეხება), ერთსქესინი ქორწინების წინააღმდეგია და ფისკალური პასუხისმგებლობის მომხრე, არ უფარს მაღლა გადასახადები, უფარს ინდივიდუალური ინციდენტისა, სურს, მთავრობა ნაკლებად ეროდეს პირად ცხოველებაში და გაცილებით რელიგიურია, ვიდრე ლურჯი ამერიკა.

ლურჯი ამერიკა ლიბერალურია, არ უფარს ომი და იარაღი, არჩევანის უფლება მისთვის სიცოცხლის უფლებაზე მაღლა დგას, ჰომოსექსუალთა უფლებებს და ზოგად, უფლებებს უფრო თავგამოდებით იცავს, სურს მთავრობის მეტი მონაბილეობა სიკეთების გადანაწილებაში, არ სჯერა „უზილავი ხელის“ მეშვეობით ბაზრის რეგულირებისა, უფრო ლიბერალურად სწამს

და ხშირად ლმერთზე მეტად მთავრობის სჯერა.

ლურჯი ამერიკა უფრო მარცხნივაა, წითელი – მარჯვნივ, ცენტრის გარშემო როვე პარტიის ზომიერები და უპარტიო დამოუკიდებლები ტრიალებენ.

დამოუკიდებლებმა და ზომიერებმა 2006 წლის არჩევნებში გადამწყვეტი როლი ითამაშეს და „რესპუბლიკელებს“ უმრავლესობა ორივე პალატში დაკარგინეს.

2010-ში ბევრი რამ სხვაგვარადაა.

როგორც ინტერნეტ-გამოცემა „პოლიტიკა“-ს უურნალისტებმა – ჯიმ ვან-დეიმ და მაიკ ალექსმა – მახვილეონიერულად შეიძინეს, 2010 წლის 2 ნოემბერს ორი რამ შეიძლება მოხდეს: ან „დემოკრატები“ მოახერხებენ და დაკარგავენ ისეთ დომინირებას ხელისუფლების ყველა შტოში, როგორიც ერთ პარტიას რევგანის რევოლუციის შემდეგ არ ჰქინია; ან „რესპუბლიკელები“ მოახერხებენ და ვერ გამოიყენებენ იმ უდიდეს უპირატესობას, როგორიც არასახლისუფლებო პარტიას უოტერგეტის შემდეგ არ დასიზმრებია.

რაც უნდა მოხდეს, ვაშინგტონში ასეთი წესია: 2 ნოემბრის შემდეგ დღეს ნაგებულები ერთმანეთს თვალებს დათხრიან. ამ წესის აღწერის ინგლისური ეკივალენტი გაცილებით კანიბალურია (cut-throat blame-casting).

შემდეგი დღისა

და დამნაშავების შესახებ

ამერიკული უურნალისტების წინასაარჩევნო გასართობის პრინციპით სათაური „შემდეგი დღე“ მაგალითად, რა მოხდება არჩევნების შემდეგ დღეს თუ „დემოკრატები“ ნარმომადგენელთა პალატა ნააგეს ანუ სახლი დაკარგეს. (To lose house):

ნარმომადგენელთა პალატის წევრი „დემოკრატები“ პრეზიდენტ ბამას დაადანაშაულებენ იმიტომ, რომ მათ დასამარებლად მთელი ზაფხულის განმავლობაში თითო არ გაუნდრევა; სულ სათითაოდ დაუთვლიან პირველი ლედის ესპანეთში მოგზაურობისა და პირველი ოჯახის „მართას ვენახებში“ გატარებულ დღეებს; იმასაც გაუხსენებენ, თეთრი სახლის პერსონალისმა, რობერტ გიბსმა მედიასთან ნაადრევად რომ აღიარა, „დემოკრატები,“ როგორც ჩანს, წააგებენ.

თეთრი სახლის აპარატის უფროსი, რამ ემანუელი „პროფესიონალ მემარცხენებს“, ანუ ლიბერალების იმ ჯგუფებს დაადანაშაულებს, რომლებმაც 2008-ში პრეზიდენტის გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანეს. ლიბერალური დღის წესრიგი, ემანუელის აზრით, პრეზიდენტის პოპულარობის შემცირების მთავარი მიზეზი გახდა. მთლიანობაში, როგორც 2009 წლის ეკლაპის გამოკითხვამაც აჩვენა, ამერიკაზომიერად კონსერვატორია.

ლიბერალები რამს და თეთრ სახლს დაადანაშაულებენ, ამომრჩეველთა ნდობის კრედიტის გაფლანგვასა და ლიბერალიზმის – როგორც იდეოლოგის – შესუსტებაში.

წარმომადგენელთა პალატის სპიკერი პელოსი თეთრ სახლს და სენატს ერთდროულად დადააბაშაულებს გაუტედავი გადაწყვეტილებების გამო.

პრეზიდენტი კი ლიბისტებში დააბალებს. 31 აგვისტოს, მშრომელთა დღეს ვისკონსინში შეკრებილ პროფესიული კავშირის წარმომადგენლებს უკვე უთხრა კიდეც: ლიბისტებში არ ვუყვარვარ. ჩემზე, როგორც ძალზე, ისე ლაპარაკობენ.

თითქმის ვერავინ მიხვდა, რას გულისხმობდა პრეზიდენტი. ძალებზე ხომ ამერიკელები მხოლოდ კანიბალურია.

მაღლებისა და კულტიურული შესახებ

„დალი, რომელსაც კუდი იქნება“ პრეზიდენტისა და მისი მრჩევლების კრეატული ჯგუფის მეტაფორაა. 1997 წლის შევი კამედიდან „Wag the dog“. ფილმში არჩევნების წინ პრეზიდენტის გარემოცვა მედიითა და რეალობით მანიპულირებს.

ობამას და მის ადმინისტრაციას დღეს უურნალისტები მედიასთან ურთიერთობის სრულ უურნარობაში ადანაშაულებენ. „ნიუიორკ თაიმსის“ მესვეტემ თომას ფრიდმანმა ამას წინათ თქვა, რომ ვაშინგტონში მუშაობის 21 წლის განმავლობაში არასდროს უნახავს ადმინისტრაცია, რომელსაც ასეთი სუსტი კომუნიკაცია ჰქინიდა მედიასთან, როგორც – დღევანდელს.

ახლახან „სი-ენ-ენ ამერიკის“ ეთერში „Broken Government“ სპეციალურ გადაცემათა სერიეს განახლდა – მთავარი თემა ისევ მორალურად გატეხილი და პოლიტიკურად გაკოტრებული მთავრობაა. □

ფაქტები შესახებ არჩევნების შესახებ

★★★

შეალედური არჩევნები თოს წელის შესახებ, არზიდენტის არჩევნებიდან ორი წლის შემდეგ, წოების პირველი ოშაბათის მომდევნო საშაბასს ტარდება.

★★★

ამერიკა კონგრესის წარმომადგენელთა პალატის სრულ შემადგენლობას – 435 წევრს, სენატის 100 წევრიდან 33 ან 34 სენატორს, 36 შტატის გუბერნატორს, ადგილობრივ კანონმდებლებს და ქალაქის მერებს. ირჩევებს.

★★★

წარმომადგენელთა პალატაში რევანშისთვის და კონტროლის ალადგენად „რესპუბლიკელების“ 39 ადგილის მოგება სჭირდებათ. დღეს სენატში 59 „დემოკრატი“ და 41 „რესპუბლიკელია.“

★★★

სენატში უმრავლესობისთვის აუცილებელია 51 ხმა.

★★★

თითქმის ყველა გამოკითხვის მიხედვით, რომელიც არჩევნების წინ ტარდება აშშ-ში, ამომრჩევლებისთვის მთავარი თემა კონომიკა.

თურქეთი

თურქეთის მშვიდობის ბალაშინისა

კონსტიტუციაში ცვლილებები შეტანილია: ნუთუ თურქეთის სახელმწიფო ბრიობის აღსასრული მოახლოვდა?

ემილ სულეიმანოვი



დღლაადრიან, 1980 წლის 12 სექტემბერს თურქეთში გადატრიალება მოხდა.

ანკარაში ხელისუფლების სადავები სამხედრო ხუნტის იგდო ხელთ, რომელსაც რესპუბლიკის გენერალური შტაბის ხელმძღვანელი, გენერალი კენან ევრენი ედგა სათავეში. ამ გადატრიალებამ ბოლო მოუდო კომუნისტებისა და ნაციონალისტების წინააღმდეგობას, რომელიც ქვეყანას სამოქალაქო ომს უქადა.

მოხდა პოლიტიკური პარტიების საბაკო დანაზოგებისა და უძრავი ქონების ნაციონალიზაცია, ხოლო პარტიული აქტივისტები გისოსებს მიღმა მიაპრანება. ეს განსაკუთრებით მემარცხენე, ნაციონალისტურ და ისლამურ პარტიებსა და ორგანიზაციებს შეეხო.

დაახლოებით ნახევარი მიღიონ ადამიანი დააკავეს, ასობით დაპატიმრებული ციხეში სასტიკი დაკითხების დროს და იქ არსებული არაადამიანური პირობების გამო გარდაიკვლა.

ორი წლის შემდეგ - 1982 წელს, საერთო სახალხო რეფერენდუმზე თურქეთმა ახალი კონსტიტუცია მიღიო, რომელმაც უზრუცევდებოდ გაამყარა სამხედროთა პოზიციები, განამტკიცა აღმასრულებელი მთავრობა და სამხედრო ტრიბუნალებსა და საკონსტიტუციო სასამართლოს უზარმაზარი თაობების მიანჭა.

რება სახელმწიფო დაწესებულებებში – მათ შორის, ყველა საჯეხურის საგანმანათლებლო დაწესებულებებში – კანონით აირჩადა.

ამ გადატრიალებიდან ზუსტად 30 წლის თავზე, 2010 წლის 12 სექტემბერს, თურქეთში მორიგი გადატრიალება მოხდა – ამჯერად, მშვიდობიანი.

თურქეთის 75 მილიონიანი მოსახლეობიდან საარჩევნო ხმის უფლების მქონე 50-მა მილიონმა მოქალაქემ მცირე უპირატესობით 1982 წლის კონსტიტუციაში შესატან 26 ცვლილებას დაუჭირა მხარი.

აქედან 24 ცვლილება „სახელმწიფო ეროვნი“ ხსაითას არ არის – ბავშვების, მოხუცების, შეზღუდული უნარის მქონე პირების, სამხედრო პირებისა და ობლების უფლებებს ეხება. მიღებული ცვლილებები განამტკიცებს პიროვნების პირადი ინფორმაციის დაცვის უფლებას, ასევე – თავისუფლად გადაადგილების უფლებას. ფართოვდება მომუშავეთა და პროფესიონების უფლებები. პარლამენტთან არსება ობჟღადების ინსტიტუტი.

რევოლუციური ცვლილებები სამხედრო სასამართლების უფლებამოსილებას შეეხო. ახალი კონსტიტუციით, სამხედრო სასამართლების მიერ სამოქალაქო პირების საქმის განხილვის უფლება შეზღუდა, იმ შემთხვევაშიც კი, როცა დანაშაული ეროვნული უსაფრთხოების სფეროს ეხება, ან

სამხედრო პირის წინააღმდეგ არის ჩადენილი.

ამიერიდან, მსგავს საქმეებს სამოქალაქო სასამართლოები განიხილავს. ეს სასამართლოები კი, მათი სამხედრო ანალოგებისგან განსხვავებით, გამჭვირვალე და დემოკრატიულია და არ მოქმედებს ე.ნ. გამარტივებული რეფიმით, რომელიც პოლიტიკური პროცესების წარმართვის საშუალებას იძლევა.

მიღებული ცვლილებები რადიკალურად ცვლის საკონსტიტუციო სასამართლოში მოსამართლეებისა და პროკურორების ფუნქციებს, სასამართლოს შემადგენლობასა და ხმის მიცემის პროცედურას.

აქამდე, საკონსტიტუციო სასამართლოზე დადგ გავლენას ჯარი ახდენდა. ყველა ეს ცვლილება 1923 წელს დაარსებული რესპუბლიკის სახელმწიფო ბრივი მოწყობის – ე.ნ. ქემალიზმის მთავარი საყრდენის – ყოვლის შემძლელ თურქული არმიის ძალაუფლებას მნიშვნელოვნად შემცირებს.

საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლის ინციდური მმართველი სამართლიანობისა და განვითარების ისლამისტური პარტია და მის სათავეში მდგომი პრემიერი რეჯიპტან ერდოღანია (რომლის მშობლები, სხვათა შორის, ბათუმიდან არიან), ადვილი არ ყოფილა.

ქვეყანა ორ მტრულ პანაკად გაიყო: რევერნდუმის მხარდამჭერებად და მოწინა-

მეზოპლანი

აღმდეგებად. რეფერენცუმის მომხრეთა თვალსაზრისით, 1982 წლის კონსტიტუცია საკამაოდ მოძეველდა და ახალ რეალობას არ შეესაბამებოდა. ქვეყანაში სამხედროთა ბატონობამ უკიდურეს ზღვარს მიაღწია.

მრავალი წლის განმავლობაში არმია დაუსჯელად ერეოდა სახელმწიფო სამსახურში, ხსნიდა უჩქ პოლიტიკოსებს და პოლიტიკურ პარტიებს, მათი გავლენის შედეგად იხურებოდა პარტიები და მოწინააღმდეგებს ციხეში სვამდნენ – ანუ მათ, ვინც სამხედროთა მოსაზრებას რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი მოწყობის შესახებ არ იზიარებდა.

ამ ყველაფერთან ერთად, კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის მომხრეთა აზრით, დადგა სამოქალაქო საზოგადოების განმტკიცების, დემოკრატიული გარდა აქმების და ბოლო ათოლულის განმავლობაში დაგეგმილი და ევროკავშირის მიერ ინიცირებული რეფორმების გაგრძელების აუცილებლობა.

როგორც ბრიუსელის ჩინოვნიკებს არა-

არყოფნის „ანალოგიურია, იმდენად დიდია მისი სიმბოლური მნიშვნელობა.

უკანასკნელ წლებში ღრმად მორჩმუნე მოქალაქეებისა და საზოგადოების სეკულარულად განვითარებილ ნაწილს შორის დაძაბულობა უკიდურესად გაიზარდა. სეკულარისტებს ხელისუფლების სათავეში სამართლიანობისა და განვითარების პარტიის მოსვლის შემდეგ (2002 წელი) პოლიტიკური ისლამის გაძლიერება ადარდებო.

კონსტიტუციური რეფორმების მოწინააღმდეგეთა აზრით, ამ პარტიის მიერ წამოწყებულმა რეფორმებმა შეიძლება, დროთა განმავლობაში, თურქეთის რესპუბლიკის მთავარი სინმინდე – სახელმწიფოსა და რელიგიის გამიჯვნა, ღრმად პატიცემული მუსტაფა ქემალ ათათურქის, რესპუბლიკის დამარსებლის მიერ წანადერძევი ქვეყნის სეკულარული ბუნება – ეჭვევე დააყენოს.

შედეგად, მათი აზრით, თურქეთის ადგილას ირანის და საუდის არაპეტის მსგავსი თეოკრატიული სახელმწიფო შეიძლება,

■ სამხედრო გადატრიალებიდან ზუსტად 30 წლის თავზე, 2010

წლის 12 სექტემბერს, თურქეთში მორიგი გადატრიალება მოხდა – ამჯერად, მშვიდობიანი.

ერთხელ განუცხადებიათ, თურქეთი ვერასდროს გახდება ევროკავშირის წევრი მანამ, სანამ სახელმწიფო საქმეებში ჯარის პარპაშს ბოლო არ მოედება, რადგან ეს დემოკრატიის პრინციპებს ეწინააღმდეგება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს თამაშობს თურქეთში ისლამი, უფრო სწორად, მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოხატულება.

ბევრი მოწმუნე თურქი საუბრობს იმაზე, რომ აუცილებელია ქვეყანაში ნამდვილი რელიგიური თავისუფლების დაცვის პირობების შექმნა. კერძოდ, ეს ეხება ქალების უფლებას, ატარონ ისლამური თავსაბურავი. როგორც აღნიშნეთ, მათ თავსაბურავით სახელმწიფო დაწესებულებებში შესვლის უფლება არ ჰქონდათ.

ერთი შეხედვით, საკითხი მარგინალურია: რა მნიშვნელობა აქვს, ქალი თავდაბურული დადგის თუ არა. თუმცა, დღევანდელ თურქეთში ეს საკითხი შექსპირის „ყოფნა-

აღმოცენდეს – რომელსაც ისლამის სამართლის შესაბამისად, დემოკრატიის ლიკვიდაციის გზით და ა.შ. იმამები და შეიხები განაგებენ, რაც არავითარ შემთხვევები არ უნდა დავუშვთ.

არმიის ძალაუფლების – რესპუბლიკის სეკულარული მოწყობის მთავარი გარანტირის, ასევე საკონსტიტუციო და სამხედრო სასამართლოების – პოლიტიკური ისლამის საკითხში სამხედროთა თანამოაზრების – შესუსტება სწორედ ამ რაკურსით განიხილება.

მეორე, არანაკლებ მზვავე – ქურთების საკითხია, რომელსაც ასევე შესუსტებული არმიის კონტრექსტში განიხილავთ. ქურთები კომპაქტურად თურქეთის სამხედრო-აღმოსავლეთ ნაწილში ცხოვრობენ და მათი რიცხვი დაახლოებით 15 მილიონს შეადგენს.

1984 წლიდან მოყოლებული, მათი წანითი ქურთ მუშათა პარტიის რიგებში და-

მოუკიდებელი ქურთისტანის შექმნის მიზნით თურქეთის წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლას ანარმოებს. ზოგიერთი მონაცემით, სამხედრო კონფლიქტის შედეგად, 40 000-მდე ადამიანი დაიღუპა.

დაახლოებით 20-30 წლის წინ ქურთების უნიკურული დენტიტურობა უარყოფილი იყო. მათ თურქეთში სპარსულ ენაზე მოლაპარაკე თურქული ტომებისგან განსხვავებით, „მთის თურქებს“ უნიდებდნენ, ხოლო საჯაროდ ქურთულად საუბარს შეიძლება, არასასამორვნო შედეგი მოჰყოლოდა.

უკანასკნელ წლებში ქურთი უმცირესობის მდგომარეობა მნიშვნელოვანად გაუმჯობესდა. ახლა ქურთები ლიად საუბრობენ საკუთარ ენაზე, შეიქმნა რამდენიმე სატელევიზიო და რადიო არხი, რომელიც ქურთულ დღალებტებზე მაუწყებლობს. ნელ-ნელა შემოდის განათლება ქურთულ ენაზე.

ქურთების ემანსიპაციისკენ მიმართული რეფორმები ევროკავშირში წევრობით იყო მოტივირებული და თურქული მოსახლეობა მას დიდი აღლვებით შეხვდა. რეფორმები განსაკუთრებით თურქ წაცილნალისტების არ მოეწონათ, რომლებიც ქურთების სწრაფი დემოგრაფიული ზრდით, თურქული ქალებების „ქურთიზაციით“, თურქეთის შეგნით ქურთების პოლიტიკურ-ეკონომიკური გაძლიერებით და ჩრდილოეთ ერაში ქურთული სახელმწიფოს ფაქტობრივად შექმნით იყვნენ შესფოთებულები. განსაკუთრებით ეს უკანასკნელი შეიძლებოდა, ქურთებისათვის ცუდი მაგალითის მიმციმი გამზღვდარიყო.

ასე რომ, ბევრი თურქი არმიას ლეგიტიმურ ინსტიტუტად განიხილავს, რომლის მთავარი მისია სახელმწიფოს სეკულარული მოწყობის ისლამური რეუიმით ჩანაცვლილი ბევრი თუ არ დაუშვას, და ასევე ქურთული საზოგადოებიდან მომდინარე ქვეყნის დანაცვერების საფურთხე აღვეოთს. ნამდვილ და ასეთი ცუდი გავლენა ექნება თუ არა სამხედროთა გავლენის შესუსტებას თურქეთის სახელმწიფოებრიობაზე, მომავალი გვიჩვენებს. ■

ემილ სულეიმანოვი, მეცნიერებათა დოქტორი, რესული და აღმოსავლეთი ევროპული კვლევების კათედრა, კარლოვის უნივერსიტეტი, ჩეხეთი, პრაღა

საქართველო-რუსეთის საქმი ჰაბაში

პოლიტიკის საჩინი

ჰაგის საერთაშორისო სასამართლოში ერთკვირიანი მოსმენების შემდეგ ქართული მხარე გამარჯვების გამყარებულ იმედებზე საუბრობს.

ოლესია ვართანიანი, რადიო „თავისუფლება“ სპეციალურად „ლიბერალისთვის“

ჰაგის სასამართლოში მოსმენები ყოველდღე მიმდინარეობდა. საქართველოს დელეგაცია სიტყვით სამშაბათს გამოვიდა. მას შემდეგ, რაც ერთი დღით ადრე, ტრიბუნა რუსეთის პოზიციის დეკლარირებას დაეთმო.

გამოცდილი რუსი დიპლომატების იურიდიული ტერმინებით დამძიმებული გამოსვლების შემდეგ, ქართული დელეგაციის წარმომადგენლის, თინა ბურჯალიანის სიტყვამ დარბაზში განსხვავებული განწყობა შექმნა.

ორშაბათ დილით, სანამ სასამართლოს წინაშე რუსული მხარე წარდგებოდა, ბურჯალიანი, დელეგაციის დანარჩენ წევრებთან ერთად, სამი საათის განმავლობაში სასამართლოს დარბაზში უსიტყვოდ იჯდა, მხოლოდ შიგადაშიგ თუ ჩაინიშნავდა რამეს თავისთვის.

მოსმენების დასრულებისთანავე მან „ფეისბუქში“ თავის გვერდზე შემდეგი სტატუსი გამოაქვეყნა: „მე არაჩვეულებრივი გამოსვლა მაქვა.“

მეორე დილით ახალგაზრდა და, ერთი შეხედვით სუსტი, 29 წლის ქალი სასამართლოს უყვებოდა, თუ რატომ შეიტანა საქართველომ ჰაგის სასამართლოში სარჩელი აგვისტოს ომის მეოთხე დღეს, მამინ, როცა საბრძოლო მოქმედებები სამხრეთი ოსეთში ისევ გრძელდებოდა.

„ჩვენ უნდა გვემოქმედა, რათა მიმდინარე ეთნიკური ძალადობა, დევნა და ათასობით ეთნიკური ქართველის გადასახლება შეგვეჩერებინა,“ – მიმართა მოსამართლეებს ბურჯალიანება.

„საქართველოს მოსახლეობის თოთქმის 10 პროცენტი ამჟამად საკუ-



ერგეონი, სექტემბერი 2008

პოლიტიკა

თარ ქვეყანაში დევნილობაში ცხოვრობს“.

ქართულმა მხარემ რუსეთი გაეროს კონვენციის დარღვევაში და რასობრივ დისკრიმინაციაში დაადანაშაულა. თბილისი მიიჩნევს, რომ რუსული მხარე, უკვე ოცი წელია, გაეროს კონვენციას არღვევს.

საქართველო რუსეთს არა მხოლოდ აგვისტოს მოვლენებზე, არამედ 90-იანი წლების აფხაზეთის ომის გამოცურივის.

თბილისი მიიჩნევს, რომ რუსეთმა კონფლიქტურ რეგიონებში ქართული მოსახლეობის დისკრიმინაციაში პირდაპირი მონაწილეობა მიიღო, რითაც ხელი შეუწყო „ეთნიკურ წმენდას.“ ქართული მხარე რუსეთს ასევე „სეპარატისტების“ მხარდაჭერასა და დევნილების დაპრუნებისთვის ხელის შეშლაში ადანაშაულებს.

რუსულმა მხარემ ყურადღება ქართული საჩივრის იურიდიულ და ტექნიკურ დეტალებზე გაამახვილა.

საქმე ისაა, რომ იურიდიულ ენაზე თუ ვიტყვით, გასული კვირის მოსმენები მხოლოდ პროცედურული ხასიათის იყო. ამ მოსმენების შემდეგ უნდა გადაწყვდეს, საერთოდ მიიღებს საერთაშორისო სასამართლო საქართველოს სარჩელს დეტალურ განხილვაში, თუ რუსული მხარის არგუმენტს გაიზიარებს, რომ ეს საქმე სასამართლოს კომპეტენციაში არ შედის.

რუსეთის ძირითადი არგუმენტაცია ემყარება იმას, რომ საქართველოს ბრალდებები კონვენციის დარღვევის შესახებ „ყურით მოთრეულია.“

ეს კონვენცია გაეროს იმ მცირედოკუმენტთაგანია, რომლის იურისდიქციასაც რუსეთი აღიარებს, რაც საშუალებას იძლევა მის წინააღმდეგ სარჩელი აღიძრას.

„ჰკითხეთ თქვენს თავს – მოუწევდა კი სასამართლოს ოდესმე ამ საქმის განხილვა, სამხედრო ოპერაციები საქართველოს უპრატესობით რომ დასრულებულიყო?“ – განაცხადა თავისი გამოსვლისას რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა კირილ გევორგიანმა.

საკუთარი პოზიციის გასამყარებლად გევორგიანმა ის არგუმენტიც მოიტანა, რომ წლების განმავლობაში რუსი მშვიდობისმყოფებები აფხაზეთსა და სამხრეთ ისეთში იმყოფებიდნენ და საქართველოს არასდროს განუცხადებია „ქართული მოსახლეობის“ დისკრიმინაციის შესახებ.“

„ისინი მშვიდობას უწყობდნენ ხელს, რაც ოფიციალური დოკუმენტებით იყო გამყარებული,“ – თქვა გევორგიანმა.

მთელი კვირის განმავლობაში რუსი ადვოკატები დეტალურად, სიტყვასიტყვით, განიხილავდნენ კონვენციას, მის ცალკეულ პუნქტებს, რათა ეჩვენებინათ, რომ საქართველომ საერთაშორისო სასამართლოში სარჩელის შეტანის პროცედურები დაარღვია.

ისინი ამტკიცებდნენ, რომ კონვენციის თანახმად, საქართველო ვალდებული იყო 20 წლის განმავლობაში თუნდაც ერთხელ, ოფიციალურად მიემართა გაეროსთვის რუსეთის მხრიდან „რასობრივი დისკრიმინაციის“ შესახებ.

საქართველო ასევე ვალდებული იყო, ამ საკითხზე წინასწარი მოლაპარაკებები ენარმოებინა რუსულ მხარესთან, რაც რუსი ადვოკატების თქმით, საქართველოს არ გაუკეთებია.

რუსული მხარის ამ არგუმენტების პასუხად საქართველომ „მეტი ინფორმირებულობის“ სტრატეგია აირჩია.

ქართულმა მხარემ სასამართლოში ქალალდების 500-გვერდიანი დასტანარმოადგინა, სადაც თავმოყრილი იყო ყველა სახის ინფორმაცია იმის დასადასტურებლად, რომ საქართველომ მანამდეც არაერთხელ განიხილა ის პრობლემები, რომელსაც რუსეთი აფხაზეთსა და სამხრეთ ისეთში ქნიდა.

სასამართლო მოსმენების დროს ქართველი ადვოკატები ისველიერდნენ ყველაფერს – ქართველი ლიდერების ინტერვიუებით და მათი ოფიციალური გამოსვლებით დაწყებული, კრემლსა და საქართველოს მთავრობას შორის სატელეფონო საუბრების ჩანაწერებით დამთავრებული.



სერგეი დიკმანი, იურისტი, რომელიც სასამართლო მოსმენებს ესწრებოდა, ამბობს, რომ ჰაგის სასამართლოს პრაქტიკაში იყო შემთხვევები, როცა მოსამართლეები მსგავს ინფორმაციას მტკიცებულებად მიიჩნევდნენ, თუმცა, ჯერჯერობით გაურკვეველია, ამ შემთხვევაშიც ასე მოხდება თუ არა.

„რუსული მხარე ამბობს, რომ უბრალო განცხადებები თუ შეხვედრები არაფორმალური, ნახევრადოფორმალური ან სამინისტროების დონეზე, არ შეიძლება, ჩაითვალოს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებულ ოფიციალურ მოლაპარაკებებად,“ – განაცხადა და დიკმანმა.

„თუმცა, ქართული მხარე ასევე საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკაში არსებული მსგავსი შინაარსის საქმეებზე დაყრდნობით, აცხადებდა, რომ მნიშვნელოვანი ის კი არ არის, თუ რამდენი მონაწილე იყო მოლაპარაკებები, ან ამ საკითხის გარდა რაზე მსჯელობდნენ ისინი, არამედ თავად ის ფაქტი, რომ პრობლემა განიხილეს.“

დიკმანი, რომელიც რუსულ არასამთავრობო ორგანიზაცია „იურისტები კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებებისთვის“ წარმოადგენს,



■ ამ მოსმენების შემდეგ უნდა გადაწყდეს, საერთოდ მიიღებს საერთაშორისო სასამართლო საქართველოს სარჩელს დეტალურ განხილვაში, თუ რუსული მხარის არგუმენტს გაიზიარებს, რომ ეს საქმე სასამართლოს კომპეტენციაში არ შედის.

ამბობს, რომ ქართული მხარე, გარკვეულწილად, უკვე ფლობს კოზირს. ორი წლის წინ, როცა საომარი მოქმედებები ჯერ კიდევ გრძელდებოდა, საქართველომ სასამართლოს მიმართა თხოვნით, გამოეტანა „შუალედური გადაწყვეტილება სასწრაფო ზომების მიღებასთან დაკავშირებით.“

სასამართლომ მაშინ ზოგადი პრინციპების დეკლარირება მოახდინა – რომ მხარეებმა თავი უნდა აარიდონ ძალის გამოყენებას და რასობრივ დისკრიმინაციას – რომ ყველას აქვს უფლება, თავისუფლად გადაადგილდეს.

შეიძლება ითქვას, რომ ერთადერთი კონკრეტული პუნქტი იყო კონფლიქტურ რეგიონებში ჰუმანიტარული დახმარების შეტანის უზრუნველყოფა.

მაგრამ ასეთ ზოგადი პრინციპების დეკლარირებამაც კი ორი წლის წინ მოსამართლეები ორ ბანაკად გაყო.

საბოლოოდ, გადაწყვეტილებას „შუალედურ ზომებზე“ რვა მოსამართლემ მხარი დაუჭირა, შვიდი კი წინააღმდეგ ნავიდა. ბარიკადების სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდნენ სასამართლოს პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი.

საერთაშორისო სასამართლოში განხილვების სპეციალისტმა კირილ კორიტევმა განაცხადა, რომ ჰაგის სასამართლო გადაწყვეტილებას ერთსულოვნად იშვიათად იღებს.

მისი აზრით, გადაწყვეტილება „შუალედურ ზომებზე“ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებაზე – განიხილოს თუ არა საქართველოს საჩივარი, სერიოზულ გავლენას არ იქონიებს.

„მე ისტორიკოსი ვარ და არა ფანტასტი,“ – ამბობს კოროტეევი ქართული მხარის შანსებზე.

იგი მოცემულ საქმეში რუსული მხარის არგუმენტებს „ნონიანს“ უწოდებს.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო გადაწყვეტილებას მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ მიიღებს, ქართულმა მხარემ უკვე გასულ კვირის ბოლოს დაიწყო საუბარი მოსალოდნელ გამარჯვებაზე.

„რუსეთის მხარეს საემანდ სუსტი არგუმენტები აქვს. მათ შორის ყველაზე ძლიერი იმაში მდგომარეობს, რომ ვითომ საქართველოს რუსეთისთვის ამ თემაზე არასოდეს მიუმართავს. ამ არგუმენტის აბსურდულობა ჩვენ ფაქტებით დაგვიტაცეთ. ჩვენ გამარჯვების კარგი შანსები გვაქვს,“ – აცხადებს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე – ნინო კალანდაძე – ჰაგის სატელეფონო საუბარში. █

**სტატიაზე მუშაობდა
ანა ჭიჭინაძე ჰაგიდან.**

ფინანსის ახალი ხაზი - ტევალი

ომიდან ორი წლის შემდეგ თბილისა და მოსკოვს შორის ფრონტის ახალმა ხაზმა წყნარ ოკეანეში გადაინაცვლა.

ოლესია ვართანიანი, რადიო „თავისუფლების“ კორესპონდენტი


ერთ-ერთ უკანასკნელ სხდომაზე მთავრობამ საგარეო საქმეთა მინისტრის – გრიგოლ ვაშაძის – წინადადება განიხილა, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პატარა სახელმწიფოსთვის – ტუვალუსთვის – ფულადი დახმარებას ეხებოდა.

ამ ამბავს ცოტა ვინმე თუ მიაქცევდა ყურადღებას, წყნარი ოკეანის ეს პატარა კუნძულოვანი სახელმწიფო ე.წ. „სუვერენიტეტით მოვაჭრეთა“ სიში რომ არ შედიოდეს. ამ სიიდან ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სახელმწიფო სამხრეთ ოკეანიაში მდებარე ტუვალუს მეზობელი - ნაურუა.

ნაურარ წელიწადზე ოდნავ მეტი წელის წინ ნაურუმ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისა დამოუკიდებლობა აღიარა. უმაღვე გაჩინდა ცნობები, რომ რუსეთმა ნაურუს „მოკლევადიანი სოციალური და ეკონომიკური პროექტებისათვის“ 50 მილიონი დოლარი გამოუყო. ამ ინფორმაციამ უამრავი მითქმა-მოთქმა და ხუმრობა გამოიწვია იმსათან დაკავშირებით, რომ რუსეთმა ნაურუს ეს აღიარება „იყიდა“.

აღმოსავლეთმცოდნე ანდრეი ლანკოვი მსოფლიოში სამხრეთ ოკეანის ერთ-ერთ წამყვან სპეციალისტად ითვლება. დაახლოებით ორი წლის წინ მან ერთ-ერთ რუსულ უურნალში გამოაქვეყნა სტატია, რომელიც აღნიშნა, რომ ნაურუსა და მისი მეზობლებისათვის „დამოუკიდებლობის აღიარებით ვაჭრობა“ საკუთარი ბიუჯეტის შევსების დიდი წილი წინათ პარობირებული პრაქტიკაა.

საქმე იმაშია, რომ ნაურუს, ტუვალუს და ჰავაის კუნძულებსა და ავსტრალიას შორის მდებარე სხვა პატარა სახელმწიფოებს არსებობისათვის ბუნებრივი რესურსები, პრაქტიკულად, არ გააჩინა.



მათი ერთადერთი მეურნეობა თებჭერაა. მუდმივი ხელფასი მხოლოდ მცირერიცხოვან სახელმწიფო მოხელეებს აქვთ. ინვესტიციების არარსებობის გამო, ტურიზმიც ვერ ვითარდება.

ამ სახელმწიფოთა ტერიტორია იმდენად პატარაა, რომ, გლობალური დათბობის შემთხვევაში, მათ ჩაძრვის მთავარ კანდიდატებად ასახელებენ. მეზობლებისგან განსხვავებით, ტუვალუს გაუმართლა. იგი შემოსავალს, მისი სახელწიფებიდან გამომდინარე, კუ-

თვნილი ინტერნეტ-დომეინ .tv -სგანაც იღებს. ამ დომეინში ზოგიერთი მედია-მაგნატი დიდ ფულს იხდის.

ლანკოვის მონათხობით, ასეთ შემთხვევაში შემოსავლის მიღების ყველაზე იოლი გზა საკუთარი „სუვერენიტეტის“ გამოყენებაა.

საქმე ისაა, რომ ეს ქვეყნები გაეროს და ბევრი სხვა საერთაშორისო ორგანიზაციის წევრები არიან, სადაც ისინი საფრანგეთის, გერმანიის და თვით აშშ-ს მსგავსი ხმის უფლებით სარგებლობენ,

რომელსაც რეზოლუციების განხილვი-
სას ხანდახან გადამწყვეტი როლის თა-
მაში შეუძლია.

7 სექტემბერს გაეროს გენერალური
ასამბლეა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთ-
ში ქართული მოსახლეობის დაბრუნების
შესახებ რეზოლუციას გნინიშვილავდა. იმ
50 სახელმწიფოს შორის, რომელმაც ამ
რეზოლუციას მხარი დაუჭირა, ტუვა-
ლუც აღმოჩნდა.

ამ რეზოლუციის მიღება ქართულმა ხელისუფლებამ „პატარა დიპლომატიურ გამარჯვებად“ შეაფასა. ამ ამბიდან ორი დღის შემდეგ ტუვალუსთვის ფულადი დახმარების გამოყოფის საკითხი მთავრობის დღის ნესრიგში დადგა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადებული ოფიციალური პროექტის განმარტებითი ბარათის თანახმად, მთავრობის სარეზიგრო ფონდიდან გაეროში ტუვალუს მუდმივ ნარმომადეგნლობას 12 ათასი ლილარი გამოყენება.

დოკუმენტის თანახმად, ეს ფული ტუ-
ვალუში „სამედიცინო ტვირთის“ გაგზა-
ვნას მოხმარდება.

„საქართველოს შემთხვევაში ნების-
მიერი აღიანსი არსებითია, რადგან
გენერალურ ასამბლეაზე ყველა სმა
მნიშვნელოვანია“, - განაცხადა საერ-
თაშორისო საკითხებში ინტერნეტ-გამო-
ცემა Eurasia.net -ის ექსპერტმა, გიორგი
მჭედლიშვილმა.

„მსგავს თამაშებში „თვალი თვალის წილ“ პრინციპით ქვეყნები დიდი ხანია, მონანილეობენ. თუმცა, საქართველოს შემთხვევაში საქმე ცოტა რთულად არის, რადგან რუსეთს გაცილებით მეტი რესურსა აქვთ.“

როდესაც საგარეო საქმეთა სამინისტროს ყოველკვირეულ ბრიფინგზე უურნალისტმა ტუვალუსთვის ფულის გამოყოფასა და გაეროს რეზოლუციას შორის შესაძლო კავშირზე კითხვა დასვა, სერგი კაპანაძეს, რომელიც იმ დღეს სამინისტროს სახელით გამოიყოდა, გა-ომართა.

ման ամ որ մոշԱլցԵնաս Շորուս կազմուրո
յիմալ Կարպու.

„ეს სტანდარტული პრაქტიკაა, როცა
საქართველო ნებისმიერ სახელმწიფოს

უწევს დახმარებას, მათ შორის – ჰაიტი-სა და პაკისტანს. როცა რამე უზღდურება ხდება, საქართველო მათ ყოველთვის ეხმარება, “ – განაცხად სერთბშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის დირექტორმა სერგი კაპანაძემ.

„ეს რეზოლუციასთან არავთარ კავშირში არ არის, რადგან ტუვალუს გარდა მას მხარი 49 სახელმწიფომ დაუჭირა. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ყველა ამ სახელმწიფოს დავებამარებით?!”

კაპანაძის პასუხი მოგვიანებით საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ უურნალისტებისათვის გაშიფრულ ბრიფინგის ჩანაწერში არ აღმოჩნდა.

ტუვალუ 9 პატარა კუნძულზეა გან-
ლაგობული, ხუთი მათგანი მარჯვისაა —
ანუ მათზე მუდმივად არავინ ცხოვრო-
ბს. იქ არსებული ერთადერთი ტრასის
სიგრძე 10, კოლომეტრია.

କ୍ଷାରତୁଳ୍ପାଦି ଫ୍ଲୁଲାଇଡ ଡାକମାର୍ଗେବିଳି ରା-
ନ୍ଧେନ୍ଦ୍ରିୟିକାବିନ୍ଦିରେ ଗ୍ରାମମଣ୍ଡିନାର୍ଜୁ, ଗ୍ରାମଦିଲ୍ଲି,
ରନ୍ଧ ସାବ୍ରାହମିନ୍ଦିଙ୍ଗୋରେ ତିତିର ଶ୍ଵର ମନ୍ଦିରାବ-
ଲ୍ଲେଖୀ ୧ ଫ୍ଲୋରାରୀ ମର୍ମବା, ରାନ୍ଧାଗାବ କ୍ଷେତ୍ରିନୀ
ମନ୍ଦିରାବଲୋକବା ରାତାକଣ୍ଠାବିନ୍ଦି ୧୨ ଅତ୍ସିବା.

ადგილობრივი მასტერაბით, ეს ბევრი
ფულია. რამდენიმე წლის წინ აქ 8 ათას
დოლარად ყველაზე მაღალი – სამსარ-
თულიანი შენობა ააგეს. ეს ტავიანმა
ეკა კითა, რომელიც დიდი ხანია ამ რე-

■ წყნარი ოკეანის წყლებში, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების საკითხთან დაკავშირებით, საქართველოსა და რუსეთს შორის ბრძოლა მხოლოდ იწყება.

გიორგში „დამოუკიდებელი ქვეყნის“ სტატუსის მოსაპოვებლად ჩინებთს ერკინება.

აღიარების „საყიდლად“ და უკან გა-
მოსათხოვად ჩინეოთა და ტავინანმა ოკე-
ანეთის ქვეყნებში არა ერთი მილიონი
დოლარი დახარჯეს.

ასე მაგალითად, ნაურუმ თავიდან
ტაივანი აღიარა, შემდგომ ჩინეთისგან
მიიღო ფული და თავისი გადაწყვეტი-
ლება უკან გამოიხმო. ხოლო როცა ტაი-
ვანმა ისევ რამდენიმე მილიონიანი „ფუ-
ლადი დახმარება“ შესთავაზა, ნაურუმ

ტაიბეის კვლავ დამოუკიდებელი სახელ-
მწიფოს დედაქალაქი უწოდა.

„ეს პატარა კუნძულოვანი სახელმწიფო გებისათვის ტიპური ისტორიაა,“ – წერდა ერთი კვირის წინ გამოქვეყნებულ წერილში ექსპერტი სამხრეთ ოკეანეთის საკითხებში – ანდრეე ლანკოვა.

მისი სიტყვებით, წყნარი ოკეანის წყლებში, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების საკითხთან დაკავშირებით, საქართველოსა და რუსეთს შორის პრძოლა მხოლოდ ინტერა.

უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში, რუსეთისათვის „აღიარების ყიდვის“ პროცესისათვის ხელის შეშლის მიზნით, გაეროში საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი ალექსანდრე ლომაია სხვადასხვა, მათ შორის, სამხრეთ ოკეანის ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებაზე ხელშეკრულებებს აწერს ხელს. საქართველოს ანგარიშზე ამ რეგიონის სამი ყველაზე მნიშვნელოვანი სახელმწიფოა.

როგორც ლომაია ადრე აცხადებდა,
დიპლომატიურ ურთიერთობებზე მს-
გავს შეთანხმებებს შეუძლია, გარკვეუ-
ლწილად დაქმართს სიტუაციას. ძნელი
წარმოსადგენია, რომ ხელშეკრულების
ხელმოწერის შემდეგ, კაბინეტიდან გას-
ვლისთანავე ეს ქვეყნები ორი ქართული
ტარიღითობის ალიარებას დაიწყებენ და

ამით ახლად დამყარებულ დიპლომა-
ტიურ ურთიერთობებს განცვიტენ.

ლანკოვი აცხადებს, რომ ასეთი ქვეყ-
ნების ბოლომდე ნდობა არ შეიძლება
და მათ მანევრებისათვის სივრცე მაინც
რჩებათ.

„ამ რეგიონის ქეყნებისათვის ნახევრად აღიარებული სახელმწიფოების გამოჩენა ბედის საჩუქარია. ახლა მათ შესაძლებლობა აქვთ, ხან თბილისა გამოსცანცლონ ფული და ხან – მოსკოვი.“ 

იპულებითი ეპსპორაციაცია

სახი ბზის პირს

პრეზიდენტის ბრძანებულებით ადლიის დასახლების მცხოვრებთ, ექსპროპრიაციის წესით, საცხოვრებელი კარ-მიდამო ჩამოართვეს, რადგან ამ ადგილზე ბათუმის ცენტრის აეროპორტთან დამაკავშირებელი ახალი ტრასა უნდა გაეყვანათ. სახლ-კარი ეკატერინე ნინიძესაც ამ მიზეზით დაუნგრიეს, თუმცა ახლად აშენებულ ტრასას მის ნასახლარზე არ გაუვლია. ბათუმის საქალაქო სასამართლოს და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს შემდეგ, ნინიძე ჩივილს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში აპირებს.

მაკა მალაყმაძე

ადლიის დასახლებაში ექსპროპრიაციის უფლების მინიჭებისთვის ბათუმის მერიამ საქართველოს პრეზიდენტს სამჯერ მომართა. ყოველი მიმართვისას საქართველო-პრიაციო ტერიტორიების რიცხვი იზრდებოდა. შესაბამისად, პრეზიდენტმაც სამი ბრძანებულება გამოსცა, რომელიც ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლებრივი გორჩივალს ზეპირი მოსმენის გარეშე დაამტკიცა და 38 ოჯახის ქონების ექსპროპრიაციის უფლება ქალაქ ბათუმის მერიას მიერიჭა.

ყოფილი მესაკუთრეები ამბობენ, რომ სასამართლო პროცესის თაობაზე მათ არაფერი იცოდნენ. საბოლოოდ, საკუთრების დამომოქანა 38 ოჯახს მოუწია. ბათუმის მერიამ მათ სანაცვლოდ კვადრატულ მეტრზე 67 ლარი შესთავაზა, რაც ჩამორთმეული ქონების რეალურ ფასს მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებოდა, მაგრამ ვერაფერს გახდნენ და იძულებით დათანხმდნენ.

იაშა ვარდმანიძე, ადლიის ყოფილი მკვიდრი: „ვისთან გაგვეასჩივრებინა? სამართალს ვერსად ვიპოვნიდით, სასამართლო ხელისუფლების საწინააღმდეგოდ ვერაფერს გადაწყვეტდა.“

ავთანდილ ფალავა, ადლიის ყოფილი მკვიდრი: „არარეალურ ფასს გვთავაზობდნენ. აბუჩად აგვიგდეს. ზღვიდან 50

მეტრში უცხოვრობდი და კვადრატული მეტრზე 67 ლარს მიხდიან, ეს ნორმალურია?! კი ბატონო, რაკი მთავრობას სჭირდება, დაუტოვეთ ჩვენს საცხოვრებლები, მაგრამ რეალური ფასი გადაეხადათ.“

„უკმაყოფილო ვარ, მაგრამ სხვა გზა არ დამრჩა. ჩვენი სახლების ადგილას მარტო გზას კი არ გაიყვანენ, ბულვარს გააშენებენ და მერე ამ ტერიტორიას ძალიან ძირად გაყიდიან“, – ამბობს ვადიმ პრიულუცკი.

მოსახლეობისაგან განსხვავებით, შეთავაზებულ კომპენსაციას ბათუმის მერია სარფიანად მიიჩნევს.

ადლიის დასახლება ბათუმში, სანაპირო ზოლზე, ახალი ბულვარის გაგრძელებაზე მდებარეობს. დასახლების ქალაქთან შემორთება გასულ წელს გადაწყდა და 2009 წლის 30 იანვრის ბათუმის საკურებულოს განკარგულებით, ადლია ბათუმის ნაწილი გახდა. წინა მოწვევის საკურებულოს ოპოზიციონერი წევრი, „ლეიბორისტი“ დავით რობაქიძე ამბობს, რომ „ადლიის“ დასახლება, ანუ ბულვარის მიმდებარე ტერიტორია, ქალაქ მერიამ ბათუმის პერიფერიულ ზონაში მიზანმიმართულად შეიყვანა და შესაბამისად, მიწის ფასიც 61 ლარამდე დასწია. ფასებს შორის სხვაობა კი ასეთია: ცენტრალური ზონის პირველ ქვეზონაში ერთი კვადრატული მეტრი მიწის

ნორმატიული ფასი 405 ლარია, პერიფერიული ზონის პირველ ქვეზონაში, რომელშიც ადლია შეიყვანეს – 61.2 ლარი.“

კომპენსაციით უკმაყოფილო მოსახლეობამ პროტესტის ნიშად, რამდენჯერმე აცირა გამართა. მათ პრეზიდენტს წერილობით დახმარებაც თხოვეს:

„...ადგილობრივი ხელისუფლება დაპირებას არ ასრულებს. მოსახლეობასთან ე.ნ. მოლაპარაკებების პროცესში ჩვენი საკუთრების უდიდესი ნაწილი მერიამ იძულების წესით თავის სახელზე დაირეგისტრირა, ანუ უკვე ჩამოგვართვა, არადა, საკითხის მოლაპარაკების გზით გადაწყვეტას გვიჩინდონენ.“

მერიის ნარმობადები ჩვენ მიერ ერთხელ უკვე გაპროტესტებული აუდიტის დასკვნას გვიჩვენებენ და არ უნდათ გაიგონ, რომ ჩვენი ქონება გაცილებით მეტი ლირს, ვიდრე მათთვის სასურველი აუდიტის დასკვნაშია ნაჩენები, – წერია მოსახლეობის მიერ პრეზიდენტისადმი გაგზავნილ წერილში.

საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2 თებერვლის გადაწყვეტილების საფუძველზე, 2010 წლის 15 თებერვლიდან ბათუმის მერია ადლიაში მცხოვრები ოჯახების ქონების მესაკუთრე გახდა. მესაკუთრებმა ამის თაობაზეც მოგვიანებით გაიგეს.



ეკატერინე ნინიძე მის დანგრეულ სახლაზ, აგვისტო 2010



გზა, რომელმაც ეკატერინე ნინიძის სახლი შეინიშნა, აგვისტო 2010

ნინიძის სამი

ადლიაში ეკატერინე ნინიძის ოჯახი თითქმის 200 წელია, ცხოვრობს. ის წარმოშობით უკრაინებია და ქონებაც მამისგან დარჩა. ეკატერინეს წინაპერებმა, კოროცეინების ოჯახმა ადლიის ამ ნაწილში, სახლი მესამედ ააშენეს. მანამდე მათი კუთვნილი, დაახლოებით 1200 კვ.მეტრი მიწის ნაკვეთი და ორი საცხოვრებელი სახლი ზღვის მითიცა. ამჟამად ტერიტორია, სადაც ოჯახი ცხოვრობდა, 1 902 კვ.მეტრს შეადგინდა; მათ შორის, 290 კვ.მეტრი საცხოვრებელ სახლსა და დამხმარე სათავსოებს ეჭირა. 2009 წლის 15 თებერვლის საჯარო რეესტრის მონაცემებში შესული ცვლილებით, ამ ქონებას ბათუმის მერია დაეპატრონა. ამის შესახებ ოჯახმა მხოლოდ მას შემდეგ გაიგო, რაც ბათუმის მერიამ მასთან საკომპენსაციო თანხის ოდენობაზე მოლაპარაკება დაიწყო.

ნინიძის ოჯახი ერთ-ერთია, ვინც სახელმწიფოსან შეთავაზებული კომპენსაციის ოდენობას - 1 კვ/მ²-ზე - 67 ლარს არ დათანხმდა. ოჯახმა ქონება დამოუკიდებელ აუდიტს, ზეიდა ბოლქვაძეს შეაფასპინა, რომლის მიხედვითაც, ეკატერინე ნინიძის ქონება - მინის ნაკვეთი, საცხოვრებელი და დამხმარე ფართები, აგრეთვე, მინის ნაკვეთზე განთავსებული ნარგავების ღირებულება ჯამში 5 მილიონ ლარზე მეტია (5 066 990 ლარი).

ეკატერინე ნინიძის მეუღლე, ეპნო ნინიძე აცხადებს, რომ კომპენსაციის თაობაზე უშეალოდ ბათუმის მერი, რობერტ ჩიხაძე მოელაპარაკა და შეთანხმდნენ: სანაცვლოდ მერია ადლიაში სხვა უფრო პატარა ნაკვეთს გამოუყოფდა და იმავე მოცულობის სახლს აუშენებდნენ, რაც ჰქონდათ.

კანო ნინიძე: „შევთანხმდით, მაგრამ მერმა დანაპირები არ შეასრულა. ბულ-ფოზერით მოვიდნენ, სახლი და სხვა შენობა-ნაგებობები მიწასთან გაასწორეს და საკუთრება ბარბაროსულად წაგვართვეს.“

2010 წლის 9 აგვისტოს, ნინიძის სახლის დანგრევას პოლიციის და ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლები ესწრებოდნენ. მერიის მიერ მოყვანილმა მუშების ერთმა ნაწილმა სახლიდან ნიღების გამოტანაზე უარი თქვა: „საკუთარი სახლიდან ხალხის გამოსახლებისათვის, რაც უნდა გადაგვიხადოთ, მანიც ვერ ვიშუშავებთი“.

ზედამხედველობის სამსახურმა ამის გამო სხვა მუშები დაიქირავა.

სახლის დანგრევის შემდეგ, ეკატერინე

მანდარინის ხეების ბაღში „გადასახლდა“.

ლამით ჰამაკში ეძინა. იქვე, პატარა მაგიდაზე წამლები და ჭურჭელი ელაგა, გერდით კი ცეცხლზე სადილს იმზადებდა.

„ჩემი ცხოვრება აქ გავატარე. აქ

დავიბადე და გავიზარდე. არ ვაპირებ

აქედან სადმე წასვლას – აქ არის ჩემი საცხოვრებელი. მობრძანდნენ პრეზიდენტი სააკაშვილი და ლევან ვარშალო-მიძე, ამიხსნან, ასე უკანონოდ რატომ მოგვექცენენ?“

ნინიძის წარმომადგენელი ირაკლი შავაძე აცხადებს, რომ ბათუმის მერიისა და საჯარო რეესტრის თანამშრომლებმა სისხლის სამართლებრივი დანაშაული ჩაიდნეს, კერძოდ, მათ სამსახურებრივი უფლებამოსილება ბოროტად გამოიყენეს: „ამ სასამართლო გადაწყვეტილებაში არ არის ნათელამი, რომ ჩემს მარწმუნებელ ეკატერინე ნინიძეს ჩამოერთვა საკუთრების უფლება და არც ის, რომ მისა ქონება მერიის საკუთრებაში გადავიდა. თავის მხრივ, არც საჯარო რეესტრს ჰქონდა უფლებამოსილება, ამ გადაწყვეტილების საფუძვლზე დაერეგისტრირებინა ქონება ბათუმის მერიისთვის. შემდეგ მერიის წარმომადგენლები მივიდნენ უკვე ყოფილ მესაკუთრეებთან, მოუტანეს საჯარო რეესტრის ამონაზერი და უთხრეს: სადაც ცხოვრობ, შენი კი არა, ჩემია. ეს ძალადობაა, რასაც „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი იმპერატორულად კრძალავს.“

ადლიის ტერიტორიის ექსპროპრიაციის

საკითხს ბათუმის მერიის ადმინისტრა-

ციის უფროოსი გელა მახარაძე კურირებდა.

ურნალისტური გამოძიება

„საჯარო რეესტრის ამონაწერით მივიღოდი, იარაღით ხომ არ მიესულვარ და არ მითქვამს სახლებიდან გამოგყრით-მეტქი? ნინიძესთან ბათუმის მერიამ ექსპროპრიაცია დაასრულა. მოთხოვნის შემთხვევაში, რა კომპენსაციაც ეკუთვნის, იმას მიიღებს,“ – განმარტავს მახარაძე.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსის – იაგო ხვიჩიას – თქმით, „საჯარო რეესტრის რეგისტრაციის განხორციელების უფლებამოსილება ჰქონდა, თუნდაც იმიტომ, რომ არსებობდა სასამართლო გადაწყვეტილება. ექსპროპრიაციის მთავარი მიზანია, რომ გადაწყვეტილება დროულად შესრულდეს. რაც შეეხება კომპენსაციას, მხარეებს შეუძლიათ, სასამართლოში იდავონ. საჯარო რეესტრი არის მარეგისტრირებელი ორგანო და მას აინტერესებს მხოლოდ უძრავ ნივთთან დაკავშირებული

„ჩვენ თანახმა ვიყავით, 5, 6 ან 10 მეტრი ჩამოჭრათ ჩვენი ეზოსთვის, რომ სახლი არ დაენგრიათ. თუმცა, ეს ადგილი, ალბათ, ბულვარის გასაგრძელებლად სჭირდებათ და მერე ამ ტერიტორიას ძალიან მაღალ ფასად გაასხვისებენ“, – ამბობს ეკატერინე ნინიძე.

„უფლება“. საჯარო რეესტრის ბათუმის სამსახურში არაოფიციალურად გვითხრეს, რომ რეგისტრირება ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით გადაწყდა, რადგან აჭარში მსგავსი ექსპროპრიაციის შემთხვევა მანადე არ ჰქონიათ.

საბოლოოდ, ტრასა, რომლის გამოცნიდეს კარ-მიდამო ჩამოართვეს, მისი ეზოს მოშორებით გაიყვანეს. ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის ჯემალ ხიმშაშვილის თქმით, ადლიის ტერიტორიაზე სააგვტომიბილო გზისთვის დამატებითი ტერიტორია საჭირო არ არის: „გზა რაც გაყვნილია, იგივე დარჩება. უბრალოდ, ახლა ტროტუარები შეეთდება“.

მერიის ადმინისტრაციის უფროსი გელა მახარაძე კი აცხადებს, რომ ნინიძის ტერიტორია აღნიშნული სააგვტომიბილო გზისთვის საჭიროა: „ჯერ გზის გაყვანა არ დასრულებულა. ნინიძის ტერიტორია საჭიროა.“

დღევანდელი მდგომარეობით, გაყვანილი გზიდან ნინიძის ეზომდე დაახლოებით 20 მეტრია. ძირითადად, ტროტუარებისთვის საჭირო ტერიტორია სიგანით 2-3 მეტრია. ამ შემთხვევაშიც კი, საავტომობილო გზასა და ნინიძის ყოფილ ეზომდე მანძილი, მინიმუმ, 15 მეტრი იქნებოდა.

„მერიამ ჩვენი საკუთრება აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, კონკრეტულად კი – გზის გასაყვანად ჩამოგვართვა. გზიდან ჩვენს სახლამდე დაახლოებით, 20 მეტრია. ფაქტობრივად, ჩემი საკუთრების გამოყენების აუცილებლობა არც კი დამდგარა. მიუხედავად ამისა, ჩვენ თანახმა ვიყავით, 5, 6 ან 10 მეტრი ჩამოჭრათ ჩვენი ეზოსთვის იმის გამო, რომ სახლი არ ჩამოერთვათ ან არ დაენგრიათ. თუმცა, ჩემი სახლის ადგილი, ალბათ, ბულვარის გასაგრძელებლად

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით მიმართა. თუმცა, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე – ჯუმბერ ბეჟანიძემ – მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. 23 ივნისს ქუთაისის სააპელაციო სასამართლომაც ეს გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა, ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვისას.

„ბათუმის საქალაქო სასამართლომ უარი გვითხრა მართლმაჯულების განხორციელებაზე და დაგვირღვია სამართლიანი სასამართლოს უფლება. ასევე, უარი თქვა, განხორციელებინა სასამართლო კონტროლი აღმასრულებელ ხელისუფლებაზე“, – აცხადებს შავაძე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოში ნინიძების კიდევ ერთი სარჩელია. ამ სარჩელით საჯარო რეესტრის ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 2010 წლის 15 თებერვლის №882010472100-03 გადაწყვეტილების და მის საფუძველზე საჯარო რეესტრში განხორციელებული ჩანაწერის ბათილად ცნობას ითხოვენ. ეს სწორედ ის გადაწყვეტილებაა, რომლითაც ეკატერინე ნინიძის ადლიის დასახლებაში მდებარე უძრავი ქონების მესაკუთრე ქალაქ ბათუმის მერია განდა.

ბათუმის უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სამართალმცოდნე ლევან ჯაყელი ამბობს, რომ „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ კანონი“ ბოლომდე სამართლიანი არ არის: „ეს არის კანონი, რომელიც, ერთი მხრივ, სახელმწიფო ინტერესის გატარებას გულისხმობს, მეორე მხრივ კი, აღღვევს მესაკუთრის უფლებას. გერმანიაში ერთი ასეთი ფაქტი მოხდა, მთავარი საგზაო მაგისტრალის გაყვანისას ერთეულის მესაკუთრე სახელმწიფო არ მისცა თავისი სახლის აღების უფლება და დღემდე იქ გზა ამ ადამიანის სახლს გვერდს უვლის. გერმანიაში ასე მოხდა, ჩვენთან კი აი, ასე ხდება.“ 

ურნალისტური გამოძიება მომზადებულია სტუდია „მონიტორის“ პროექტის ფარგლებში.
ურნალისტური გამოძიება განხორციელდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით.



სურსათის უვებლობა

საქართველოს შესხებრი ეკალება

საქართველოს მთავრობის მიერ სურსათის უვნებლობის საკითხის 2017 წლამდე გადადებას ევროკავშირი პოლიტიკურ გადაწყვეტილებად მიიჩნევს.

ნანა საჯაია

საქართველოში ამ საკითხზე რეფერენდუმი რომ ჩატარდეს, ყოველი გამოკითხული ხუთი ადამიანიდან ოთხი ხმას საქართველოს ევროკავშირში განევრიანებას მისცემდა. ევროზის თანამშრომლობისა და კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის მიერ 2009 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა უმრავლესობა ევროკავშირთან ინტეგრაციას მათი პრობლემების მოგვარების მექანიზმად აღიქვამს.

ევროკავშირთან ინტეგრაცია საქართველოს მთავრობის დეკლარირებული პოლიტიკური მიზანიცაა, რომელზეც

სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში, საგარეო საქმეთა სამინისტროს მთელი დეპარტამენტი და პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი მუშაობს.

ევროპასთან ურთიერთობის გაღრმავების ახალი შანსი ევროკავშირის მიერ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის შექმნისას გაჩნდა. 2009 წლის მაისში „მეზობლობის“ იდეა კიდევ უფრო დაკონკრეტდა და საქართველოსა და ევროკავშირის შორის ხელი ახალ სელშეკრულებას მოეწერა. აღმოსავლეთ პარტნიორის

პროგრამაში საქართველოს გარდა 5 ქვეყანა მოხვდა.

თანამშრომლობის მიზანია, პროგრამის მონაწილე ყველა ქვეყნის ნანარმი მოხვდეს ევროპის ბაზარზე. ამიტომც ლოგიკურია, რომ 6 ქვეყანასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცალკე ქვეთავი და განსაკუთრებული ყურადღება სურსათის უვნებლობას ეთმობა.

ევროკავშირის ბაზარზე შეღწევის მსურველმა იმპორტიორმა უნდა დაამტკიცოს, რომ მისი პროდუქცია არ არის მავნებელი და ის ევროკავშირის ყველა მოთხოვნას აქმაყოფილებს. ეს მოთხო-

ვნები კი სურსათის წარმოების ყველა
ეტაპს მოიცავს - ნედლეულის ხარისხით
დაწყებული ეტიკეტის სავალდებულო
სტანდარტის ჩათვლით.

ევროკავშირი და საქართველოს ხელი-
სუფლებაც აცხადებენ, რომ თავისუფალ
ვაჭრობაზე მოლაპარაკებების დასაწყე-
ბად მზად არიან.

თუმცა, სანამ სავაჭრო სივრცის გა-
ხსნაზე მოლაპარაკებებს დაიწყებს,
ევროკავშირი საქართველოსგან მყარ გა-
რანტიერებს ითხოვს.

„ჩევენტ მიგარინია, რომ მოსამზადებელი
პროცესი ძალიან მნიშვნელოვანია და
სკობძს, სურსათის უენებლობაზე მოღა-
პარაკების დაწყებამდე ვიმსჯელოთ, ვი-
დრე შემდეგ პრობლემები შეიქმნას“, –
ამბობს ვირუნინი კოსული, ევროკავშირის
ატაშე ვაკრობის საკითხებში. საქართვე-
ლოს მთავრობა კი ითხოვს, რომ ვერ

„ესა არ არის პოლიტიკური შეთანხმების თემა. ევროპას 60 წელი

დასჭირდა მიუღწია იმისთვის, რასაც ის დღეს წარმოადგენს.

ჩვენს მემკვიდრეობას არავის ვახვევთ თავს და საქართველო გამონაკლისი არ არის“.

მოლაპარაკებები დაიწყოს, სურსათის
სტანდარტიზაციის საკითხები კი ამის პა-
რაოლოგრად მოადგიროს.

პრემიერი - მინისტრის მრჩეველი თამარ კოვზირიძე განმარტავს, რომ ევროკავშირთან მოლაპარაკებების ფორმალური დაწყება საქართველოსთვის „პოლიტიკური და ეკონომიკური სიგნალი იქნება“ - სიგნალი, რომელიც ხაზს გაუსვამს საქართველოსა და ევროკავშირს შორის კარგ ურთიერთობებს.

საქართველოში ევროკავშირის საგან-
გებო და სრულუფლებანი დესპანის –
რობინ ლიდელის – თქმით, ამ საკითხზე
ერთ აცძირი დათმობაზე არ წავა:

„ეს არ არის პოლიტიკური შეთანხმებების თემა. ევროპას 60 წელი დასჭირდა მიეღწია იმისთვის, რასაც ის დღეს წარმოადგენს. ჩვენს მემკვიდრეობას არავის ვახვევთ თავს და საქართველო გამონაჯლისი არ არის. ეს მოთხოვნები ყველას ეხება, ვისაც ევროპასთან ინ-

ტეგრაცია უნდა. საქართველოს მთა-
ვრობამ იცის, რა უნდა გააკეთოს. ეს
მათი არჩევანია და გადაწყვეტილებაც
მათ ხელთაა.“

კანონი სურვათის უფრებლობის და
ხარისხის შესახებ საქართველოში 2005
წლის დეკემბერში მიღეს. თუმცა, კა-
ნონის 36-ე მუხლით გათვალისწინე-
ბული მთავარი დებულება „საფრთხის
ანალიზისა და კრიტიკული საკონტრო-
ლო წერტილების სისტემის დაწერების“
შესახებ შეფერხდა. მუხლის ამოქმედე-
ბა მას შემდეგ რამდენჯერმე გადაი-
დო, მათ შორის, ბოლოს – 2009 წლის
დეკემბერშიც.

ყოფილი პარლამენტარი, ზურბა ცეი-
ტიშვილი, რომელიც ამ კანონზე მუშაო-
ბდა, ამბობს, რომ ამ მუხლის გადადების
ორი მთავარი არგუმენტი მაკონტროლე-
ბელ ორგანოს შესაძლო კორუმიში ირებუ-

ლობა და ადგილობრივი ბიზნესის მოუ-
მზადებლობა იყო.

„90-აანი წლების შემდეგ კონტროლი
მხოლოდ ფულის გასაკეთებლად და კო-
რუფციული გზებით ხორციელდებოდა.
არ იქნებოდა სწორი, მაშინ ევროპის მა-
ლალი დონის მოთხოვნები გამოგვეყე-
ნებინა,“ – განმარტავს ცქიტიშვილი.
კონტროლის სრულყოფილი მექანიზმის
შექმნა 2017 წლამდე გადაიდო.

„მთავრობას კონცეპტუალურად არა აქვს ჩამოყალიბებული საქართველოს პოლიტ-ეკონომიკური პოზიცია: ვიყოთ ევროპის ნაწილი, თუ ვიქცეთ სინგაპურად,“ – ამბობს ქეთი ვაშაკიძე, ეკრაზის თანამშრომლობის ფონდის დირექტორი. ვაშაკიძე არასამთავრობათა კოალიციის პროექტის ფარგლებში საქართველოს ეკონომიკური რეფორმების მონიტორინგშია ჩართული. „ჩვენ ევროპის დღოშას ვაფრისალებთ, მაგრამ, ამავე დროს, ვამბობთ, რომ გვინდა საქართველო ახალი

სინგაპური იყოს. ეს არის არათანმიმდევრული პოლიტიკა.”

ევროკავშირისკენ გზებს ინდივიდუალურად ექცევ ადგილობრივი მეწარმეები და პაზარზე გასაცლელად საჭირო სტანდარტებს თავთა ნერგავნ.

მიუხედავად იმისა, რომ კანონი მათ სტანდარტების დანერგვას არ ავალებ-ბულებდა, გასული წლის მონაცემებით, 24-მა ადგილობრივმა კომიტანიმ სტანდარტები თავისი ინიციატივით დაწერა.

საკონსულტაციო კომპანია **GDCI**-ის დირექტორის, ეკატერინე ქიმერიძის თქ-
მით, ქართული კომპანიები თავად არიან
დაინტერესებული უვნებლობის სტან-
დარტების დანერგვით, რადგან ეს მათ
სანდობას ზრდის:

„24 კომპანიის მაგალითზე ჩვენ ჩა-
ვატარეთ სურსათის უვნებლობის მარ-
თვის სისტემის ანალიზი. აღმოჩნდა, რომ
მენარმებისთვის უვნებლობის სტან-
დარტების დაცვის მთავარი მოტივაცია
კონკურენტუნარიანობის გაზრდა და ახა-
ლი მომხმარებლების მოზიდვა იყო.“

მიუხედავად ამ კვლევის შედეგისა, პრემიერ-მინისტრის თანაშემწერ მაინც მიიჩნევს, რომ ხარისხის კონტროლის შესახებ კანონის ამოქმედებისთვის კერძო სექტორი მზად არ არის:

„კანონმდებლი განერილი მოთხოვნების დაკ-
მაყოფილება ბიზნესისთვის როტული იყო.
მუხლების გადადება საკმაოდ მიღებული
პრაქტიკაა, თუნდაც, ეგროვაშირში. ამა-
ში არანაირი საგანგაშო, ჩემი აზრით, არ
არის.“ — აბბობს თამარ კოვზირიძე.

ევროპაშირის დესპანი საქართველოში, რობილ ლიდელი ფიქრობს, რომ მთავარი პრობლემა, რის გამოც ეროვნული მაკონ-ტროლებელი ორგანოს შექმნა გადაიღო, ევროპასა და საქართველოს შორის არსებულ დიპლომატიურათა კონცლუ-ჭია:

„კანონების გადადება დაშვებული პრაქტიკაა, მაგრამ ამ კანონის 2017 წლამდე გადადების ობიექტურ საფუძველს ვერ ვხედავ. ქართული ლიბერალური ეკონომიკა და ეკონომიკული სახელმწიფო რეგულაციები ერთმანეთთან ფილოსოფიურ კონფლიქტში მიღდან. თუ კანონს ფილოსოფიათა კონფლიქტის გამო არ აა-მოქმედებ - ეს უკვე პოლიტიკური გადაწყვეტილება“.

ՅԱՌԵՎՈՐԱԿԱՆ ԳՐԻ



მნიშვნელოვანია მოქალაქეების სწორი, ეფექტური ინფორმირება, რათა გასაგები იყოს, რომ გადასახადების გაზრდით მათ სრულიად კონკრეტული სარგებელი ექნებათ.

კახა კოხოვიძე

თანდათან აქტუალური ხდება დებატები საკითხოზე: როგორი ეკონომიკა გვინდა - ლიბერალური თუ სოციალური საბაზრო? საქართველოს პრეზიდენტის მიერ ინიცირებული „თავისუფლების აქტი“ და-ვინწყბას მოეცა და კონსტიტუციის ახალ ვერსიაშიც არავინ გაითვალისწინა. დეკლარირებული ფისკალური კონსერვატიზმის პოლიტიკიდან გადახვევა ლიბერალური ეკონომიკის ლალატად არის მჩქნევული.

2009 წლის 6 ოქტომბრამდე სურათი
სრულიად განსხვავებული იყო. მთავრო-
ბაში რევოლუციური გზით მოხვედრილი
ლიბერტარინელები 2004 წლიდან აქტიუ-
რად შეუფინენს საკანონმდებლო სიერცის
განმეობას საბჭოთა და 90-იანი წლების
ნაგვისგან, რაც ობიექტური პროცესი
იყო. კვალიფიკაციას მოკლებული კრიტი-
კა მათ ძალას მატებდათ. ძალა კი საჭირო
იყო ნებისმიერი კანონის შესაცვლელად,
მაგრამ, დროთა განმავლობაში, წონასწო-
რობა ვეღარ შეიკავში და აღბათ სწორი
იქნება, თუ ვიტყვით, რომ გადამალაშეს.
მათ გადაწყვიტეს ე.ნ. „გლობალური მნიშ-
ვნელობის ექსპერიმენტი“ საქართველოში
ჩატარებისათ და „თავისუფლების აქტი“
დანერეს. ამ, აქ კი გატანისთვის საქართ-
ვის ძალა უკეთ აღარ აღმოჩენდათ. მას შე-
მდეგ ლობისტები ყველა შეხვედრისა თუ
საჯარო ინტერვერს დროს, აქტის უპირა-
ტესობებზე საუბრისას, განსაკუთრებულ
ყურადღებას საგადასახადო პოლიტიკიში
რეფერენციულის ინსტიტუტის შემოტანაზე
ამავალიაზე.

რეფერენციალის იდეაში, თავისუაგად, ცუდი არაფერია. მნიშვნელოვანი აქ მისი ცალმხრივი შინაარსია, ანუ რეფერენციულით სავალდებულო იქნება გადასახადების მხოლოდ გაზრდა, შემცირების უფლება კი პარლამენტსაც უწერდა.

ლიბერალურ დემოკრატიაში ეკონომი-

კური პოლოტევა საარჩევნო კონკურენციის შედეგად იქმნება. სამართლიანი კონსტიტუციური თამაშის წესები, თანასწორობა კანონის წინაშე აუცილებელი პირობება თავისუფალ მოქალაქეებს შორის პოლიტიკური და სოციალური თანამშრომლობის ცივილურებული განვითარებისთვის. მეტ-ნაკლებად საერთო შეხედულებების მქონე მოქალაქეები ქმნიან, ან ერთიანდებან შექმნილ პოლიტიკურ პარტიებში და საარჩევნო გზით ცდილობენ ხელისუფლებაში მოსვლას. არჩევნებში წარმატებას კი ძირითადად ეკონომიკური და სოციალური ხასიათის პროგრამიბი ანსაზოვანას.

„თავისუფლების აქტი“, და კონკრეტულად მისი საგადასახადო შინაარსი, ამის საშუალებას უპრალოდ არ იძლევა. იგი იმთავითვე მემარჯვენება დაღების უპირატესობის ლეგიტიმაციას ახდენს, ანუ არღვევს თანასწორობას და ფორას აძლევს ერთპოლიტიკურ მიმდინარეობას. თუ აქტი დაკანონდება, მემარჯვენების ჩვეულებრივი საპარლამენტო უმრავლესობა ეყოფათ კონიტიური პოლიტიკის გასატარებლად, ხოლო მემარცხენე ცენტრისტებს ეს უმრავლესობა არაფერმში გამოადგებათ და რეფერენდუმით უნდა არკვიონ, როგორ მოიქცენ. არადა, თუ მაინც და მანც გენდა გადასახადების რეგულირება პირდაპირი დემოკრატიის გზით (რაც, ზოგადად, მცდარი აზრია), ის აუცილებლად უნდა ეხებოდეს როგორც მათ გაზრდას, ისე - შემცირებას.

ვთქვათ, საზოგადოება შეთანხმდა თანასწორობის დაცვაზე და საგადასახადო პოლიტიკა მთლიანად გადავიდა რეფერენტულზე, მაშინ გადასახადების ზრდა, რის საწინააღმდეგო ვაკეცინადაც უნდა გამომდევნილ „თავისუფლების აქტი“, უფრო ადვილი აღმოჩნდება დღევანდველ საქართველოში, ვიდრე შემცირება. ამისთვის,

მნიშვნელოვანია მოქალაქეების ეფექტური
ინფორმირება, რათა მათთვის გასაგები
იყოს, რომ გადასახადების გაზრდით:

- ▶ ახალგაზრდებს სწავლისთვის გამოყოფაზათ სტუდენტური სესხები;

► მრავალშეიღლიანი და ახალგაზრდა ოჯახებისთვის ამოქმედდება ფულადი სარგობი;

► მცირე ბიზნესებზე გაიცემა საბანკო გარანტიები;

- ▶ ყველა მოქალაქე მიიღებს ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისს;
- ▶ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები, მარტოხელები, მაღალმთანი რეგიონების მაცხოვრებლები ისარგებლობენ შესავათობით:

▶ პენსიონერებს მოგმატებათ პენსია;

▶ სამუშაოს მაძიებლებისთვის დაწეს-
დება უმუშევრობის შემწიობა;

▶ საჯარო დაფინანსებაზე მყოფ დასაქ-
მებულებს გაზირდებათ ანაზოურება;

► ჯეროვნად დაფინანსდებიან მეცნიერებები, პედაგოგები, მკვლევარები, სპორტსმინები.

ამ ინფორმაციით უზრუნველყოფის შემთხვევაში, მოქალაქეები მარტივად მიიღებინ აკადემიური ინსტიტუტებისა.

ამიტომ სჯობს ყველამ – მონარქისტმა კონსერვატორებმაც და პროგრესულმა ლიბერალებმაც – თავი არ შევინწყოთ ხელოვნურ ფორმაზე ფიქრით და ჩავერთოთ თანასწორ, ჯანსაღ პოლიტიკურ კონკურენციაში. მთავარია, ეს სურვილო რეალო-

ბას შეუვასაბამოთ. მართალია „საგადასახა-
დო სამოთხის“ შექმნა აღარ დგას
საქართველოს დღის წესრიგში, მაგრამ
როგორც ჩნძს, ე.წ. „თავისუფლების აქტის“
აყელორები მაინც იმედოვნებენ, რომ დროე-
ბით მიძინებულ ინიციატივას 2013 წლის
შემდეგ ომნიპოტენციის დაბრუნების შე-
მთხვევაში კოლეგ გააღმინდებინ. **█**

ცქვის ზღვაზე



ეს კანონპროექტი ვერ განსაზღვრავს პოლიციელის ეჭვი
გონივრულია თუ უგუნური

ლევან იზორია, სამართლის დოქტორი, პოლიციის აკადემიის ყოფილი რექტორი

საქართველოს ხელისუფლება გეგმა-
ვს, მორიგი ცვლილებები შეიტანოს პო-
ლიციის შესახებ კანონში. აღნიშნული
ცვლილებებით პოლიციელი უფლებამო-
სილია, შეაჩეროს პირი, თუ არსებობს
გონივრული ეჭვი მის მიერ დანაშაულის
შესაძლო ჩადენის შესახებ. ამასთან, პო-
ლიციელი უფლებამოსილია, საკუთარი
უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად,
გონივრული ეჭვის არსებობის შემთხვე-
ვაში, შეჩერებული პირის ტანსაცმელზე
ანარმონოს ზედაპირული შემოწმება.

პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ
პოლიციის შესახებ მიქმედი კანონი
1993 წელსა მიღებული. იგი საბჭოთა
პერიოდის პოლიციის შესახებ კანონის
„შელამაზებული“ ვარიანტია. როდესაც
ამ კანონში ხელისუფლებას ცვლილე-
ბები შეაქვს, ის თავს გვანიხებს იმით,
რომ მორიგი ცვლილებები დასავლეთის
გამოცდილებით არის ნაკარანახევი.

თუ ხელისუფლებას პოლიციის შესა-
ხებ კანონმდებლობის დასავლური ტრაპის
კანონებთან ჰარმონიზაციის „კეთილშო-
ბილი“ სურვილები ამოძრავებს, მაშინ
რატომ დღემდე არ მოხერხდა მოძველე-
ბული კანონის ახალი, დასავლური სტან-
დარტების შესაბამისი კანონით შეცვლა?
იქნებ იმიტომ, რომ ხელისუფლება ასეთი
გლობალური ცვლილებით პოლიციისა
და უშიშროების სამსახურების საკუთარი
პოლიტიკური ინტერესებისთვის გამოყე-
ნების შესაძლებლობას დაკარგავს?

შინაგან საქმეთა სამინისტრო დღემდე
საბჭოთა ტრაპის სტრუქტურაა. ამ სისტე-
მის მიხედვით, შსს-ს მინისტრი, როგორც
პოლიტიკური ფიგურა, არ არის პოლი-
ციისგან გამიჯნული. არ არსებობს და-
მოუკიდებელი პოლიციის დეპარტამენტი,
რომელიც პოლიტიკური ზეწოლისაგან
თავისუფალი იქნება და თავის საქმია-



ნობაში მხოლოდ პროფესიული ნიშნით
იმიქმედებს. ასეთი ტრაპის ცვლილებები
ჯერ კიდევ 2005 წელს ეუთოს მისამ მო-
ამზადა. თუმცა, ის დღემდე არ გაუთვა-
ლისწინებია ხელისუფლებას.

არ შეიძლება, ასეთ ვითარებაში, პო-
ლიციელს მისცე უფლებამოსილება, რომ
მან შესაძლო დანაშაულის ჩადენის შესა-
ხებ მხოლოდ ე.ნ. გონივრული ეჭვის სა-
ფუძველზე შეაჩეროს პირი. ეს უფლება-
მოსილება ადამიანის უფლებების უხეში
დარღვევისა და პოლიციელის პოლიტი-
კური ინტერესებისათვის გამოყენების
დიდ საფრთხეს შეიცავს.

ადამიანის უფლებების ზომაზე მე-
ტრად შეზღუდვის თვალსაზრისით, უფრო
შორს მიდის პოლიციელის ახალი უფლე-
ბამოსილება, რომლის მიხედვით, მას,
საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველ-
საყოფად, გონივრული ეჭვის არსებობის
შემთხვევაში, შეუძლია, შეჩერებული პი-
რის ტანსაცმელზე ანარმონოს ზედაპირუ-
ლი შემოწმება.

კანონპროექტის მიხედვით, პირის შე-
ჩერების მომენტში, პოლიციელი მას გა-
აცნობს საკუთარ ვინაობას, წარუდგენს
დოკუმენტაციას, და განუმარტავს მას
შეჩერების კანონიერებისა და დასაბუ-

თებულობის გასაჩივრების უფლებას. კანონპროექტი არაფერს ამბობს იმაზე, თუ რა სახის საპოლიციო მოქმედებების ჩატარებისათვის სჭირდება პოლიციელს პირის შეჩერება. ამის ახსნას არც კანონპროექტის განმარტებით ბარათში ვხვდებით, მეტიც, ეს ე.წ. განმარტებითი ბარათი ფაქტობრივად კანონპროექტის ტექსტს იმეორებს და არაფერს ამბობს



საპატრულო პოლიცია

ასეთი ზოგადი სახის ნორმა, რომელიც იმასაც კი ვერ განსაზღვრავს, თუ რა კონკრეტული, პრევენციული ხასიათის საპოლიციო მოქმედებების ჩატარებისთვის აჩერებს პოლიციელი პიროვნებას, ფართო გზას უხსნის თვითნებობას. ამასვე ემსახურება პირის შეჩერების საფუძველი – გონივრული ეჭვი. თუ რა კონკრეტული გარემოებების არსებობისას შეიძლება, პოლიციელს ჰქონდეს პირის შეჩერების ე.წ. გონივრული ეჭვი, კანონპროექტი ამაზე არაფერს ამბობს.

პოლიციური უფლებამოსილება, რომელიც არც კონკრეტულ საფუძველს და არც კონკრეტულ მიზანს არ იცნობს, შორს დგას დასავლეთის პოლიციის შესახებ კანონების სულისკვეთებისაგან. აღნიშნული კანონების მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს სწორედ იმ საპოლიციო მოქმედებების კონკრეტულად განერა, რომლებმაც შესაძლოა ადამიანის უფლებები შეზღუდონ.

ჩემი აზრით, ის გარემოება, რომ კანონპროექტის ერთ-ერთი ავტორი ამ თემაზე საჯარო დისკუსიებში არგუმენტად პოლიცუდის ფილმების სიუჟეტებს იშველიებს – სადაც თურმე პოლიციელს გონივრული ეჭვით შეუძლია პირის გაჩერება – მხოლოდ აღნიშნული ცვლილებების ავტორთა არაკომპეტენტურობაზე მიუთითებს. თუ რა კონკრეტული საფუძველით დარა საპოლიციო მოქმედებების ჩასატარებლად აჩერებს პოლიციელი მოქალაქეს, ამაზე როგორც ფილმი, ისე კანონპროექტი პასუხს არ იძლევა.

კანონპროექტის ავტორთა არგუმენტაციით, პოლიციელის გაზრდილი უფლებამოსილება იმითაა გამართლებული, რომ დღეს პოლიციელებს საზოგადოებაში ნდობის მაღალი ხარისხი აქვთ. მაგრამ, სამართლებრივ სახელმწიფოში მოსახლეობას ნდობა, პირველ რიგში, ისეთი სამართლანი კანონის მიმართ აქვს, რომელიც მის უფლებებს იცავს. ახალი კანონპროექტი კი იმის საფრთხესაც აჩენს, რომ პოლიციელმა, რომლის უფლებამოსილება არაპროპორციულად გაიზარდა, საზოგადოების ნდობა ბორიტად გამოიყენოს და ამით ის სამუდამოდ დაკარგება იგი. □

ამ ნორმის შემოღების აუცილებლობაზე, ანუ ვერ ასაბუთებს, თუ რა მიზანს ემსახურება იგი.



გამოიცერეთ

ურნალი ლიპერალი

პეტლური ვარსია

12 ნოემბრი – 3 თებერვალი
22 ლარი

24 ნოემბრი – 6 თებერვალი
45 ლარი

48 ნოემბრი – 1 ნოემბრი
90 ლარი

PDF ვარსია

12 ნოემბრი – 3 თებერვალი
13 ლარი

24 ნოემბრი – 6 თებერვალი
25 ლარი

48 ნოემბრი – 1 ნოემბრი
50 ლარი

ურნალის გამოსაწერად
დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:

23 37 31, (899) 48 62 41

ან მოგვაწოდეთ თქვენი

საკონტაქტო ინფორმაცია

ელ-ფოსტით: info@liberali.ge

ჩანათლება

1000 ყიმრალი ეს საქათვეცოს ინბისებიზახი

ინგლისურის სავალდებულო სწავლებისათვის უკვე 200-მდე მასწავლებელია ჩამოსული.

მათი რიცხვი წელიწადში 1000-მდე გაიზრდება, რაც სახელმწიფოს დაახლოებით 6 მილიონი ლარი დაუჯდება.

რუსუდან ფანზიშვილი

53-ე სკოლაში სასწავლო წლის პირველ დღეს მისულ დენიელს სამ საკლასო ოთაბში შესვლა და ბავშვების მისაღმება დაახლოებით შვიდჯერ მოუწია. აქედან ოთხჯერ – სპეციალურად უურნალისტებისთვის. 22 წლის დენიელი თავს ჯერ ცოტათი უხერხელად გრძნობდა. ბოლო დუბლზე დამილის შენარჩუნება გაუჭირდა. ალარა, რომ ვერ წარმოედგინა, სამხრეთ დაკოტას შტატიდან თბილისში ინგლისურის სასწავლებლად ჩამოსული მოხალისე, აქ ასეთი პოპულარული თუ გახდებოდა. „ნახე, ის უცხოელი,“ – ჩერდებოდნენ სკოლის დერეფანში ბავშვები, რომლებთან გაცნობაც დენიელს ჯერ ვერ მოესწრო.

მოხალისე მასწავლებლად ჩამოსვლის ანეტას რომ აესხებდა, ამერიკელ დენიელ ბეიკერს არ უფირია, რომ შეიძლება, შორეული ქვეყნის „ისტორიაში შესვლის“, შანსი მიეცემოდა.

„მე მიმაჩნია, რომ ყივჩაღების შემდეგ, ასეთი დიდი გარღვევა საქართველოს არ ექნება, თუ ამას სწორად გავაკეთებთ“, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა განათლების სამინისტროს მიერ წამოწყებულ პროექტზე, რომლის მიხედვითაც, 1000-მა უცხოელმა მოხალისემ სკოლებში ინგლისური ენა უნდა ასწავლაოს.

პროექტი „ყივჩაღები“ ინგლისური ენის საქართველოში გავრცელების მასშტაბური გეგმის ნაწილია. 11 სე-

ქტემპრის მთავრობის სხდომაზე, ბათუმის „პიაცაზე“ დადგმულ უზარმაზარ მაგიდასთან წარმოთქმული პრეზიდენტის სიტყვა, ამ მხრივ, საპროგრამოდაც შეიძლება, ჩაითვალოს.

„ძალიან საერთაშორისო ქვეყანა ვხდებით. ჩვენ მთლიანად უნდა ვიყოთ ქვეყანა, რომელიც ლაპარაკობს ინგლისურ ენაზე“, – განაცხადა პრეზიდენტმა. „თანამედროვე სამყაროში ინფორმაციის ენა არის ინგლისური. თუ ინგლისური არ იცი, ინფორმაციას ვერ იღებ. ეს არ არის ჩვენი ახირება და აკვიატება. ეს არის რეალობა... სასურველია, რომ წავახალისოთ - ინგლისური, ინგლისური, ინგლისური!“

ამავე მთავრობის სხდომაზე მიხეილ სააკაშვილმა რამდენიმე კონკრეტული ინიციატივა წამოაყენა:

1. ინგლისურის სწავლება დაიწყება პირველი კლასიდან.

2. „ყველა მასწავლებელს, ასე თუ ისე, უნდა უზიძებოთ ინგლისურისკენ!“ – ამისათვის, ყველა პედაგოგს, რომელიც ინგლისურს ფლობს, ხელფასის გარდა 200-ლარიანი დანამატი დაერიცხება.

3. „ყველა პოლიციელი უნდა იყოს ინგლისურენოვანი!“ – ასეთებს ასევე დაერიცხება 200-ლარიანი დანამატი.

4. „სამწუხაროდ, უმაღლეს სასწავლებლებს ვერ გადავიყვანთ მთლიანად ინგლისურენოვან სწავლებაზე“, – თქვა პრეზიდენტმა. სამაგიეროდ – სტუდენ-

ტები უმაღლესი სასწავლებლების დიპლომს ველარ აიღებენ, თუ ინგლისური ენა არ იციან.

გარდა ამისა, პრეზიდენტმა მოიწონა ნაციონალური არხების გადაწყვეტილება, ინგლისური ფილმების სუბტიტრებით ჩვენების შესახებ.

„ინგლისურიზაცია“ შეეხება ყველას. „ჩვენს ენაზე მსოფლიოში არც ერთი სხვა ქვეყანა არ ლაპარაკობს,“ – თქვა პრეზიდენტმა. და იმისთვის, რომ უცხო ქვეყნებმა საქართველო გაიცნონ, აუცილებელია, ქართველები მათვის ნაცნობ ენაზე საუბრობდნენ. „აქამდე ამას მხოლოდ მე ვაკეთებდი. ახლა ეს ყველამ ერთად უნდა გავაკეთოთ!“ – განმარტა მიხეილ სააკაშვილმა.

„ყივჩაღების“ ჩამოყანა ამ დრომდე „ინგლისურიზაციის“ გეგმის ყველაზე მასშტაბური და ძვირი პროექტია. ერთ წელიწადში 1000 მოხალისის მისაღებად საქართველოს მთავრობას სავარაუდოდ 6 000 000 ლარის გამოყოფა მოუწევს. პროექტი ერთჯერადია, ამიტომაც, განათლების სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ეს წამოწყება გრძელვადიან შედეგს ვერ მოიტანს.

„როგორც თავის დროზე დავით ალმაშტაბურმა ჩამოიყვანა 50 000 ყივჩაღი და საქართველოს სახელმწიფოს მოდერნიზაციამ მიიღო შეუქცევადი ხასიათი, ზუსტად ამ მასშტაბის მოვ-

ლენა შემდეგი 3 წლის განმავლობაში 10 ათასი ინგლისურის მასწავლებლის ჩამოყვანა მთელი საქართველოს მასშტაბით,, „ - ამბობს მიხეილ საკაშვილი.

„რამდენიმე წლის შემდეგ ეს მასწავლებლები წავლენ. მაგრამ რა დარჩება აյ? მხოლოდ რამდენიმე თა-

ობა, რომელსაც მსგავსი პრაქტიკა ექნება“ – ამბობს თამარ მოსიაშვილი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ექსპერტი. მას მიაჩნია, რომ ინგლისურის დანერგვა და გაძლიერება განათლების სისტემაში ნამდვილად საჭიროა, თუმცა არა ისე, როგორც ეს პრეზიდენტის წარმოუდგენია.

„ის თანხა, რაც 1000 მოხალისის პროექტზე დაიხარჯა, შეუფერებლად დიდი მგონია იმასთან შედარებით, რა შედეგებსაც ის მოიტანს. ეს პროექტი უფრო საქართველოში ინგლისური გარემოს ხელოვნურად შემოყვანას ჰგავს“ – ამბობს თამარ მოსიაშვილი.

ამ დროისათვის საქართველოში 200-მდე ინგლისურის მოხალისე მასწავლებელია ჩამოსული. მათი უმრავლესობა, ძირითადად, დასავლეთ საქართველოს რეგიონებში გაანაწილეს. თბილისში ჯერჯერობით სულ ექვსი ინგლისურენოვანი მოხალისეა.

„გამარჯობა, მე მქვია დენიელი,,

პირველ დღეს 53-ე სკოლაში მისული ახალი მასწავლებელი ბავშვებთან ერთად დელავდა. მეექვსეკლასელებთან შეხვედრამ მშვიდობიანად ჩაიარა – ინგლისურად საუბრის პრობლემა მოსწავლებს არ ჰქონიათ. პირველკლასელებთან სურათი შეიცვალა: მასწავლებელმა ქართული არ იცოდა, პატარებმა კი – ინგლისური. ზოგმა „დოგ“ და „ქეთ“ კი გაიხსენა, მაგრამ პატარების ნაწილს, საკლასო ოთახს გარეთ დარჩენილი მშობლები უფრო ადარდებდა...

„საქართველოში რომ უცხოელი ჩამოვიდეს, ხომ უნდა გავაგებინო!“ – ამბობენ პატარა ოთო და მისი თანაკლასელები, რომლებსაც უსარიათ, რომ ინგლისურის სწავლას იწყებენ. მათნაირად ფიქრობს საქართველოს პრეზიდენტიც – „გაქცეულის მობრუნება მაინც ხომ უნდა შეგეძლოთ“, – ამბობს და მიაჩნია, რომ ინგლისურის სწავლის დაწყება ყველა ასაკში თანაბრად საჭირო და დროულია. ■

■ იმისთვის, რომ უცხოელი შეეყნებმა საქართველო გაიცნონ, აუცილებელია, ქართველები მათთვის ნაცნობ ენაზე საუბრობდნენ. „აქამდე ამას მხოლოდ მე ვაკეთებდი. ახლა ეს ყველამ ერთად უნდა გავაკეთოთ!“ – განმარტა მიხეილ სააკაშვილმა.





ქუთაისის ოპერის თეატრის რეაბილიტაცია

ქუთაისის "ცა საბა"

ქუთაისის ოპერის თეატრი ვენის თეატრის და „ლა-სკალას“ მსგავსი უნდა გამოვიდეს – ეს პრეზიდენტის დავალებაა.

მაია მეცხვარიშვილი, ქუთაისი

შენობა, რომელშიც ქუთაისის ოპერის თეატრია განთავსებული, რამდენიმე ათეული წლით არის აღმოჩენილია. სახურავი რა-მდენჯერმე ჩამოინგრა, იარუსები მოირყა, იატაკი, ჭერი და შიდა კედლები ჩამოიშალა. თეატრის წლიური დაფინანსება – 100 ათასი ლარი თეატრის ამუშავებას არ ყოფილია, ამიტომაც, გუნდისა და ორკესტრის შემადგენლობა გაიფარგობა. თეატრის სახელმწიფოს მიმართ 400 ათასი ლარის დავალიანება დაუგროვდა.

ასეთ მდგომარეობაში ჩაიბარა ქუთაისის ოპერის თეატრი „ვარდების ხელისუფლებაში“, რომელმაც „გამოსავალი“ მაღლევე იპოვა და 2005 წელს თეატრის გაუქმება გადაწყვეტა.

„იმ პერიოდში შემომთავაზეს და მოვედი სამუშაოდ ოპერის თეატრში, სადაც სრულიად გაუბედურებული სიტუაცია დამტვდა; – ისენებს როზა დვალიშვილი. ხელმძღვანელობაში თეატრის გადასარჩენად დახმარება ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვი-

ლის კომპანიას, „ქართუ ჯგუფს“ სთხოვა. „ეს იყო ჩვენი ბოლო იმედი, – ამბობს თეატრის მმართველი. ივანიშვილის კომპანია დათანხმდა, თეატრის აღდგენისთვის საჭირო თანხა გაედო. თუცმა, ივანიშვილის დახმარებამ თეატრამდე ვერ მოაღწია. იმ პერიოდში ხელისუფლებისთვის უფრო პრიორიტეტული ქუთაისის ისტორიული უბნის რეაბილიტაციის პროექტი აღმოჩნდა და თანხაც ამ პროექტს მოხმარდა. თეატრის აღდგენის გეგმა კი თარიზე შემოიდო.

2009 წლის ზაფხულში მთავრობამ პარლამენტის ქუთაისში გადატანის გადაწყვეტილება მიიღო. ამ დროიდან კარდინალურად შეიცვალა ხელისუფლების დამოკიდებულება ქუთაისის იპერის თეატრის მიმართ – გაუქმდა მისი დახურვის გეგმა, დაიწყო შენობის რეაბილიტაციის პროექტზე მუშაობა, ჩატარდა შენობის კვლევა. 2010 წლის დასაწყისში, ქუთაისის თვითმმართველობმ ტენდერში გამარჯვებულ ფირმას – შპს „დაგ“-ს იპერის თეატრის რეაბილიტაციისთვის 1 700 218 ლარი გამოუყო.

ბული შენობა ევროპული თეატრების ერთგვარი მიქსი იქნება – პროექტის ავტორი დავით გოგიჩაიშვილი ამბობს, რომ ის ქუთაისში ვერის თეატრის მინი-მოდელს ქმნის. პრეზიდენტის სურვილით, თეატრის სცენა და დარბაზი იტალიური „ლა სკალას“ ანალოგი უნდა იყოს. თეატრის მმართველი კი ამბობს, რომ დარბაზის ჭერი „ფრანგულ სტილში“ მოპირკეთდება.

შენობას, რომელსაც უკანასკნელი რეკონსტრუქცია 1969 წელს ჩაუტარდა, უკვე ძნელად თუ იცნობთ – ფორეში კედლები მოიხსნა და შეიმინა. თეატრის წინ,

შენობაში საგრიმოროები, დეკორაცია, სადურგლო საამქროს, კოსტიუმების გარდერობი, სამკერვალო და ადმინისტრაციის კაბინეტები განთავსდება.

რემონტი დაჩქრებული ტემპით მიდის – მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში დაარსებიდან 41-ე, და „ვარდების რევოლუციის“ მეშვიდე წლისთავის აღსანიშნად ემზადებან. კომპანია „დაგს“ ოპერეტის ჩასაბარებლად ვადა 22 წლისმარტდე აქვს მიცემული, თეატრის ახალი შენობის საზეიმო გახსნა კი მეორე დღეს, 23 წლისმარტისთვისაა დაგეგმილი.



სქუთაისის ოპერის თეატრი ფონეს ესკაზი



სქუთაისის ოპერის თეატრის დარბაზის ესკაზი

ამ თანხით შპს „დაგს“ შენობის ფასადი და ფორე უნდა აღედგინა. თეატრის სრულად გარემონტებას ადგილობრივი ხელისუფლება მაშინ არ აპირებდა.

„რებილიტაციის მეორე და მესამე ეტაპზე საუბარი არ იყო, რომ არა პრეზიდენტის ვიზიტი. დაახლოებით ხუთი თვის წინ მოვიდა პრეზიდენტი ჩერნოთან, რომ ენახა, როგორ მიმდინარეობდა სამუშაოები. შევიყვანეთ შენობაში, ნახა სცენა და დარბაზი (რომელთა რემონტი არ იყო გათვალისწინებული) და თქვე: რაც ვნახე მე „ლა სკალაში“ – სკამები, განათება, ჭაღი – აქაც ისე უნდა გაკეთდესო. გამოიყო კიდეც დამატებით თანხა,“ – იხსენებს თეატრის მმართველი როზა დვალიშვილი.

მალევე, შპს „დაგ“-მა ქუთაისის ოპერის თეატრის რეკონსტრუქციისთვის კიდევ ორი ტენდერი მოიგო და საბოლოოდ, 3 627 318 ლარი მოიპოვა.

ქუთაისის ოპერის თეატრის განახლე-

ტროტუარზე აშენდა სპეციალური თაღი. დარბაზი და სცენა საორკესტრო ორმოთი გაიმიჯნა. სცენის იატაკი და საორკესტრო ორმო, აკუსტიკის გასაუმჯობესებლად, ფიქტისგან კეთდება.

მაყურებელთა სკამები ამერიკის შეერთებულ შტატებშია შეკვეთილი. თითოეულ სკამზე ოქროსფერი ძაფით ქუთაისის ოპერის თეატრის ღერბი იქნება ამოტვი-ფრული. (თეატრის ღერბი ცოტა ხნის წინ ქუთაისელმა მხატვარმა ოთარ ქანდარიამ შექმნა). დარბაზის კედლები ბორდოსფერი მატერიოთ დაიფარება, ჭერზე კი კლასიკოსი მხატვრების ცნობილი ნამუშევრების კომპოზიცია გაიკვრება. დარბაზისთვის ჭაღი და სცენის განათება კომპანია „ახალ ნათებაშია“ შეკვეთილი.

თეატრის ადმინისტრაციისთვის აშენდა ახალი, ოთხსართულიანი შენობა, რომელიც თეატრს სპეციალური კონსტრუქციით დაუკავშირდა. ადმინისტრაციულ

2010 წელს ქუთაისის ოპერის თეატრი ადგილობრივი ბიუჯეტიდან 370 ათასი ლარით დაფინანსდა. „ამ დაფინანსებით ნარმულდებულია თეატრის არსებობა, თანაც, აუცილებლად უნდა გავზარდოთ გუნდისა და ორკესტრის შემადგენლობა,“ – ამბობს თეატრის მმართველი. „ამისთვის, სულ მცირე, 1 200 000 ლარი გვჭირდება, სწორედ ამდენს მოვითხოვთ მომავლ წელს თვითმმართველობისგან,“ – ამბობს როზა დვალიშვილი. ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრში იმედი აქვთ, რომ ხელისუფლებისთვის, შენობის ბრწყინვალებასთან ერთად, დასის სრულფასოვანი არსებობაც მნიშვნელოვანი აღმოჩნდება.

ოპერის თეატრის განახლებულ შენობაში 41-ე სეზონის პრემიერა 10 დეკემბერს შედგება. თეატრის დასი მაყურებლის წინაშე რუვენო ლეონკავალოს „ჯამბაზებით“ წარდგება. ■

ლავაზჩინოთ ბუნისტები?



აგვისტოში თბილისის მერიამ ქუჩებში ვაჭრობა აკრძალა, რამაც ავტომატურად გამოიწვია წიგნით გარევაჭრობის აკრძალვაც. ბუკნისტებს მერიამ დედაენის პარკში სპეციალურად გამოყოფილი ადგილი შესთავაზა, სადაც თავს მოიყრიდა ყველა, ვინც აქამდე წიგნებით ქუჩებში ვაჭრობდა.

ბაკურ სულაკაური, გამომცემელი

თბილისის ქუჩებიდან ერთბაშად გაქრა წიგნებით მოვაჭრე რამდენიმე ათეული ადამიანი. ამ ამბავს კი დიდი ვნებათალელვა მოჰყვა, როგორც სოციალურ ქსელებში, ისე — მედიაში. გამოქვეყნდა უამრავი წერილი თუ კომენტარი, სადაც ჭარბობს ემოციები და ნაკლებადაა ფაქტებზე დაფუძნებული მსჯელობა. იყო პოლიტიკური განცხადებებიც, მაგალითად ერთ-ერთმა ჯგუფმა ინგლისურ ენაზე (!) გაავრცელა მიმართვა, რომელიც ასე იწყებოდა: საქართველოს ხელისუფლებამ წიგნების გაყიდვა აკრძალა!

გარევაჭრობის მომხრეთა მოსაზრებები, არგუმენტები და ემოციები ყველაზე სრულად ჩანს მაღაზაზ ხარბედიას სტატიაში „ისინი იდგნენ“ (გამოქვეყნებულია რადიო „თავისუფლების“ ვებ-გვერდზე), ამიტომ უფრო მეტად ამ სტატიას გამოვეხმაურები. შემხვდა კიდევ ორი განსხვავებული მიდგომა: ია ანთაძის შეთქმულების თეორია იმის თაობაზე, რომ წიგნის მაღაზიათა მეპატრონების ლობირებით მოხდა ეს ამბავი, დაახლოებით იმას ჰგავს, სურსათით გარევაჭრობის აკრძალვა სუპერმარკეტების მფლობელთა ლობირებას რომ დააპრალო: იყო ასევე სასაცილო თეორია იმის თაობაზე, რომ ხელისუფლებას ამგვარად სურს წიგნიერების წართმევა ერისათვის, რათა ხალხით მანიპულირება უფრო ადვილად მოახდინოს. ამ ორ არასერიოზულ მოსაზრებას აქ არც განვიხილავ. მოდი, შევეცადოთ, ყოველგვარი ეგზალტაციისა და ზედმეტი ემოციების გარეშე გავერკვეთ სიტუაციაში და საკითხს სხვადასხვა კუთხით შევხედოთ:



საკითხის სამართლეპრივი მხარე

იყო თუ არა ქუჩაში ვაჭრობა ლეგალური? ვარდების რევოლუციამდე ყველა გარემოაჭრე (მათ შორის წიგნით მოვაჭრენიც) ყოველდღიურ ხარქს (5-10 ლარის ოდენობით) უხდიდნენ უბნის პოლიციელებს, რადგან გარევაჭრობა ოფიციალურად არ იყო ნებადართული. გარკვეულ ადგილებზე გაიცემოდა ხოლმე დროებითი ნებართვა. ხელახალ დროებით ნებართვას დამატებითი წვა-

ლება, ნაცნობობა და ქრთამი სჭირდებოდა. გარევაჭრობა არასოდეს ყოფილა ლეგალიზებული და შესაბამისად, წიგნით მოვაჭრენიც, მიუხედავად იმისა, რომ 2004 წლიდან შეიძლება, ქრთამს ალარ აძლევდნენ პოლიციელებს, სამართლებრივი თვალსაზრისით, უკანონოდ საქმიანობდნენ. როგორ უნდა მოვარდეს ეს საკითხი? მართლაც, დავუშვათ, მერიამ მიიღო გადაწყვეტილება და წიგნებით გარევაჭრობაზე

გამონაკლისი ოფიციალურად გასცა. ვისთვის უნდა იქნას დაშვებული ეს უფლება, ნებისმიერი მსურველისათვის თუ მხოლოდ მათვის, ვისაც უფლების გამცემი პირადად იცნობს როგორც ყოფილ მოვაჭრეს? თუ ნებისმიერ მსურველს უნდა მიეცეს ქალაქის ნებისმიერ ადგილას წიგნით გარევაჭრობის უფლება, მერე საკითხი ასე დადგება: მაქვს თუ არა უფლება პი-

იდგა და იქ დახვდა სხვისი სტენდი, როგორ მოგვარდება ეს პრობლემა, ვის „ეკუთვნის“ ეს ადგილი? ერთი სიტყვით, ამ საკითხის სამართლებრივი მოგვარება ისე, რომ წიგნებით გარევაჭრობა არ აიკრძალოს გამზირებზე, შეუძლებელია. მაშინ ყველაფერი უნდა დარჩეს სტიქიურად, მაგრამ ასეთ შემთხვევაში, რადგან წიგნებით გარევაჭრობა ფაქტობრივად სტიქიურად დაკანონდება, წახალისდებიან ახალი სუბიექტები, რომლებიც მოისურვებენ ლეგალურად დაშვებულ საქმიანობას. მაგალითად მე პირადად სიამოვნებით დავდგამ იციოდე სტენდს ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში, თუ ეს არ იქნება აკრძალული. დარწმუნებული ვარ, ასევე მოიქცევა ბევრი სხვა სუბიექტი, რომელიც აქამდე ასე არ იქცეოდა.

არიან თუ არა „ისინი“ ბუკინისტები?

შეიძლება ბევრმა არც იცოდეს, მათ შორის, ამ მოვაჭრეთა კლიენტებმაც, რომ სინამდვილეში ქუჩებში მოვაჭრეთა მოზრდილი ნაწილი დაქირავებული პერსონალი იყო. არსებობენ პიროვნებები, რომლებსაც ეკუთვნოდათ ერთდროულად არაერთი სტენდი (მე პირადად ვიცნობ რამდენიმე ასეთ მებატრონებს), აყვანილი ჰყავდათ თანამშრომლები, რომლებიც იღებდნენ როგორც დღიურ გასამრველოს, ისე – გარკვეულ პროცენტს ყოველი გაყიდული წიგნიდან. სტენდების უმრავლესობა გაჭრობდა არა ბუკინისტური წიგნებით, არამედ, ძირითადად, რუსულენოვანი ლიტერატურით, თუმცა ბევრ მათგანთან შეხვდებოდით ცნობილი ბრიტანული ლექსიკონებისა და სასწავლო სახელმძღვანელოების ირანში დაბეჭდილ, მეკობრულად დასტამბულ, იაფ ვერსიებს. ეს უკანასკნელი ნიშა ყველაზე მომგებიანი სეგმენტი იყო სტენდების ქსელების მფლობელთათვის, რადგან მეკობრული გამოცემები თავადვე შემოაქვთ ირანიდან. რატომ აძლევდათ ხელს ამგვარი ვაჭრობა მფლობელებს? ძირითადად იმიტომ, რომ დადგნენ ყველაზე ხალხმრავალ ადგილზე, სადაც შემთხვევითი გამვლელების ნაკადი დიდია და შე-

საბამისად, ნებისმიერი რამ იყიდება (მათ შორის, წიგნებიც), დანახარჯები პქონდათ მინიმალური და შეეძლოთ, მიეღოთ მეტი მოგება. ბუნებრივა, სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე გადასვლა ამ ტიპის მოვაჭრეებს (ბუკინისტებისაგან განსხვავებით) არ აწყობთ, რადგან მათი საქმიანობა ეფუძნებოდა გამვლელების ნაკადს და არა – სპეციალურად მისულ მუშტარს. სხვაგან, მით უმეტეს, დედაენის ბალში გადასვლით, მათი ინტერესები სერიოზულად იღებება. განსაკუთრებულ მოგებას ნახულობდნენ ასეთი მოვაჭრეები გარკვეული დასახელების წიგნებზე (მათ შორის სასკოლო სახელმძღვანელოებზე) დეფიციტის შექმნით და ფასების ხელივნური გაბერვით.

რა თქმა უნდა, გარემოვაჭრეთა შორის იყვნენ ბუკინისტური წიგნებით მოვაჭრენიც და მათი უმეტესობა, რასაკვირველია, დამოუკიდებლად მოქმედებდა: იბარებდნენ ძველ წიგნებს და მერე ყიდდნენ. თუ ბუკინისტურ წიგნებზე არის მოთხოვნა (ეს მოთხოვნა ნამდვილად არის და, რაც მთავარია, დღიურით იზრდება), მაშინ ეს ადამიანები აუცილებლად იპოვნან თავიანთ ნიშას ორგაზარად: ან გადავლენ დედაენის პარკში, სანაპიროს გასწვრივ და საწყობის ფულსაც დაზოგავენ, რადგან ბუკინისტისთვის საჭირო წიგნის შესანახი სათავსოები იქ გამზადებული დახვდებათ (თანაც, უფასოდ); ანდა – გახსნიან მომცრო ბუკინისტურ მაღაზიებს, რომელთაგან ზოგიერთი ძალიან წარმატებულიც გახდება, თუ მოთხოვნა გაიზარდა. ანუ საბოლოოდ მივიღებთ როგორც ახალ ბუკინისტურ მაღაზიებს (ცნობისათვის, თბილისში რამდენიმე ბუკინისტური წიგნის მაღაზია), ისე – ბუკინისტების სპეციალურ ადგილს, დაახლოებით იმის მსგავსს, როგორიც პარიზშია.

როგორც ბუკინისტებისათვის, ისე ბუკინისტური წიგნების კლიენტებისთვის მერიის წინადადება, რომ გამოიყოს ერთი დიდი ადგილი (უკვე გამოყოფილია, კარგა ხანია) ბუკინისტური წიგნებით მოვაჭრეთათვის, იდეალურია. თუ ადამიანს სურს

ფოტო: ვარისა გარევაჭრების მიერ

რადად მე, ცენტრალურ გამზირებზე, ნებისმიერ ადგილას განვთავსო წიგნების სტენდები და დავაყენ იქ დაქირავებული თანამშრომლები? როგორ უნდა მოგვარდეს ორ გარემოვაჭრეს შორის ერთსა და იმავე ადგილზე დგომასთან დაკავშირებით წარმოქმნილი პრობლემა? ვთქვათ, მივიდა როგორი ალიკა, ვაგნა ან როინი (სახელები ალებულია მალხაზ ხარშედიას წერილიდან) იმ ადგილას, სადაც წინა დღით

კონკრეტულად რომელიმე ბუკინის-ტური წიგნის შეძენა, მას ალარ მოუნევს ქალაქის სხვადასხვა წერტილებში წანწალი ალიკასთან, ვაგანასთან და როინთან, რადგან ეს უკანასკნელი ერთ ადგილას იქნებიან თავმოყრილნი. დაიზოგდა უამრავი დრო და ენერგია.

მაღაზიები და სტენდები

წიგნებით გარევაჭრობის თაობაზე ისეთი ვწებათალელვა ატყდა, თითქოს ვინმე წიგნებს ეპროდეს და აქამდე წიგნი მხოლოდ ქუჩაში არსებობდა; ხოლო გარემოვაჭრენი ლამის წიგნერებისათვის წამებულ რაინდებად შერაცხეს. რა თქმა უნდა, მათ შორის ბევრი კარგი ადამიანია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ წიგნსმოწყურებული მკითხველები სულიერი საზრდოს გარეშე რჩებიან. მით უმეტეს დღეს, როდესაც ნებისმიერი ქვეყნიდან ახალი წიგნე-

ისევე, როგორც უურნალ „ლიბერალ“ აწერია ფასი. ამიტომ ქართული წიგნები სტენდებზე იმდენივე ღირდა, რამდენიც – მაღაზიაში.

ზოგს შეიძლება ეგონოს, რომ სტენდების სიმრავლე აუმჯობესებს წიგნების დისტრიბუციას და ამიტომ უკეთესია მომხმარებლისთვის. სინამდვილეში, წიგნებით ამგვარად გარევაჭრობა არათუ ხელს უწყობს, არამედ აფერხებს წიგნის ბაზის განვითარებას და აი, რატომ: ერთ სტენდზე შეიძლება, დაეტიოს, მაქსიმუმ, 50 დასახელების წიგნი. ზოგ მოვაჭრეს ჰქონდა ერთდროულად სამი სტენდიც ერთმანეთის გვერდიგვერდ. მაგრამ, ასეთ შემთხვევაშიც კი, მის სტენდებზე დაეტეოდა 150 დასახელების წიგნი (ანუ გაცილებით ნაკლები, ვიდრე თუნდაც ერთ მოზრდილ გამომცემლობას აქვს გაყიდვაში). შესაბამისად, მოვაჭრე

ნის მაღაზიებში (კარგ მაღაზიებს ვგულისხმობ) დასახელებების რაოდენობა 15-დან 25-ათასამდეა, ხოლო ყველაზე პატარა მაღაზიაშიც კი დაახლოებით 5 000 წიგნი აწყვია.

„ქალაქში დარჩა მხოლოდ წიგნის მაღაზიები, საიდანაც ქვირიანი ალბომები იწონებენ თავს მანეკენებივით. ქვირიანი კალენდრები, პლაკატები, კალმები, ფლომასტერები, ჭრელი მარკერები და რაც მთავარია — ნამცხვრები, ნამცხვრები, ნამცხვრები! სხვანაირად ვერ იტყუებენ იქ ადამიანებს,“ - წერს მაღაზაზ ხარბედია. მაღაზაზი ან ლიტერატურული კაფეს გარდა სხვა წიგნის მაღაზიაში არაა ნამყოფი, ან შეგნებულად ცრუობს. თუ ლიტერატურულ კაფეებს „სუთა“ წიგნის მაღაზიებად არ ჩავთვლით (რაშიც არის რაციონალური მარცვალი), თბილისში არსებული 40-ზე მეტი

■ წიგნი ბადრიჯანი ხომ არაა, ასე რომ მოექცეო! – შესძახა ვიღაცამ „ფეისბუქზე“. მართლაც არაა

წიგნი ბადრიჯანი და მას აქვს თავისი ადგილი, ოლონდ ეს ადგილი არამც და არამც არაა მტვრიან გამზირებზე, ჭუჭყან ცელოფანებქვეშ.

ბის შეკვეთას ალარ სჭირდება მაინცდამანც ალიკასთან, ვაგანასთან თუ როინთან მისვლა – ამის გაკეთება ინტერნეტითაც შეიძლება.

მიუხედავად იმისა, რომ ძირითადად რუსულენოვანი ლიტერატურით ვაჭრობდნენ (ასეთია გარევაჭრობის ტრადიცია თბილისში), ზოგიერთ სტენდთან მაინც შეხვდებოდით თანამედროვე ქართულენოვან გამოცემებს. ბევრს გულუბრყვილოდ ჰგონია, რომ წიგნები სტენდებზე უფრო იაფი იყო, ვიდრე მაღაზიებში. საქმე ის გახლავთ, რომ წიგნების (ისევე, როგორც უურნალ-გაზეთების) სარეალიზაციო ფასს ანესებენ არა მოვაჭრენი, არამედ გამომცემლები და შესაბამისად, ეს წიგნები პრაქტიკულად ერთსა და იმავე ფასად იყოდება მთელ საქართველოში. ზოგი გამომცემელი გასაყიდ ფასს ანერს კიდევაც გარეკანზე, ზუსტად

ხელოვნურად ზღუდავს არჩევანს და მას ფარგლავს მხოლოდ საუკეთესოდ გაყიდვადი წიგნებით, რაც ძალიან ცუდია მომხმარებლისთვის (ზოგმა არც კი იცის, რომ სხვა ქართული წიგნებიც არსებობს ამქვეყნად, გარდა ალიკას, ვაგანას და როინის მიერ „შერჩეული“ ქართული გამოცემებისა).

გამომცემლობა „სამშობლოს“ წინ ქალაქში წიგნების ველაზე დიდი არჩევანი იყორ, მაღაზაზ ხარბედია რომ წერს, არ შეესაბამება სინამდვილეს, რადგან ერთ სტენდზე შეიძლება, დაეტიოს მაქსიმუმ 50 დასახელების წიგნი, ისიც თუ ბელეტრისტიკაა, ხოლო ლექსიკონები და საბავშვო გამოცემები – კიდევ უფრო ნაკლები. თუ ჩავთვლით, რომ გამომცემლობა „სამშობლოს“ წინ თუნდაც 20 მოვაჭრე იდგა, წიგნების საერთო რაოდენობა მაქსიმუმ 1000 გამოვა. ეს მაშინ, როცა თბილისის წიგ-

მაღაზიიდან სად ნახა ნამცხვარი, იქნებ დასახელებოს, ანდა რომელი საკანცელარიო საქონლის მაღაზია? ვერ წიგნის მაღაზია? ის, რომ წელს რამდენიმე საკანცელარიო საქონლის მაღაზიამ წიგნების გაყიდვაც დაიწყო (ისევე, როგორც ეს მოხდა სუპერმარკეტებში და თქვენ წარმოიდგინეთ, აფთიაქებშიც კი), მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ წიგნისადმი ინტერესი იზრდება და წიგნების სარეალიზაციო წერტილების რაოდენობა დღითიდღე მატულობს. ამიტომ სრულიად გაუგებარი პანიკის ატეხა, რომ ქალაქში წიგნებისაგან დაიცალა, სინამდვილეს არ შეესაბამება.

ესთოტიკური საკითხები

რას ერჩიან წიგნებს, განა წიგნი ქალაქის იერსახეს აუშნოებს? – მკითხა „ფეისბუქზე“ ერთ-ერთმა აქტივისტმა.

საკითხი არასწორადაა დასმული: რა თქმა უნდა, წიგნი ქალაქის იერსახეს ვერ დააუშნოვებს, მაგრამ ჭუჭყიან ცელოფანში შეფუთული წიგნები, რომელიც განთავსებულია დაუმუშავებელი ფიცრებისა და ფანერებისაგან კუსტარულად შეკრულ, უანგიანი ლურსმნებით შექედილ სტენდებზე, არაა მაინცადამაინც ლამაზი სანახავი.

ზოგიერთებს გულწრფელად ჰგონიათ, რომ ასე ხდება ევროპის ქალაქებში. მაგალითად მალხაზ ხარბედია წერს: „ნუთუ არ გინახავთ წიგნების უბნები ლონდონში, პარიზში, რომში...“ დიახ, მინახავს და არც ერთ ამ ქალაქში ცენტრალურ გამზირებზე არასოდეს თვალიც არ მომიკრავს წიგნებით გარევაჭრობისთვის. ის უბნები, რაზეც მალხაზი წერს ან წიგნის მაღაზიების უბნებია (ოქსფორდ სტრი-

ტი ლონდონში, ლათინური კვარტალი პარიზში და ა.შ.) ან ბუკინისტებს გამოყოფილი აქვთ სპეციალური ადგილი სანატიროს გასწვრივ (ზუსტად ისეთი, მერია რომ სთავაზობს ჩვენს „ბუკინისტებს“).

წიგნი ბადრიჯანი ხომ არაა, ასე რომ მოექცეო! – შესძახა ვილაცამ „ფეისბუქზე“. მართლაც არაა წიგნი ბადრიჯანი და მას აქვს თავისი ადგილი, ოლონდეს ადგილი არამც და არამც არაა მტვრიან გამზირებზე, ჭუჭყიან ცელოფანებზე.

„არ გვინდა სტერილური და უსულო ქალაქი – დავაბრუნოთ ბუკინისტები!“ – დაწერა „ფეისბუქზე“ შორენა შავერდაშვილმა. საოცარი სიტყვაა ეს „სულიერება“. რამდენი ხანია ვცდილობ, მაგრამ მისი ზუსტი მნიშვნელობა ვერ დავადგინე, ვსაც როგორ უნდა, ისე

ესმის. რაც შეეხება ბუკინისტებს, კი ბატონი, დავაბრუნოთ, ოლონდ ერთ გამოყოფილ ადგილს და არა – ცენტრალურ გამზირებზე.

რა შედეგებს გამოიძებს მერიის ღონისძიებები

ამ ლონისძიების შედეგად (გარევაჭრობის გადატანა დედაენის პარკში), წიგნი არ გახდება ნაკლებად ხელმისაწვდომი, მკითხველები არ დაზარალდებიან და საბოლოოდ წიგნის ბაზარიც გაცილებით სწრაფად განვითარდება. ბუკინისტებისთვის, წესით, ეს საოცნებო შეთავაზებაა, ხოლო არაბუკინისტებისთვის მართლაც არის გარკვეული „უხერხულობა“ – მათი საქმიანობა შეიზღუდება, თუმცა ეს ისეთი მარიტათიანი ხალხია, გარნმუნებთ, არ დაკარგებიან. ■



რადიო თავისუფლება

უსმინე...
უყურე...
იკითხე...

ახლა უკვე გაზეთიც!

radiotavisupleba.ge



კიბერდანაშაულთან ბრძოლა

წიგნის მიზანი

ქართული საიტებიდან ფილმებისა და მუსიკალური ალბომების უფასოდ ჩამოწერა შესაძლოა, აიკრძალოს. რას ვთმობთ და რას ვიღებთ კიბერ-ინტეგრაციით?

ნინო გოგუა



2008 წლის აგვისტომდე მსოფლიო კიბერდეტექნიკები ყველაზე მასობრივ კიბერშეტევებად კერძო ჯგუფების მიერ სამთავრობო კომპიუტერული სისტემების გატეხას მიმწერდნენ. რუსეთ-საქართველოს მინისტრი კიბერმინის ახალი ტერმინი გაჩნდა –

კიბერომი. ასეთი ომის დროს ინტერნეტ სივრცე ბრძოლის დამატებითი იარაღია.

რუსეთ-საქართველოს კიბერომის დროს რუსი ჰაკერების სამიზნე პარლამენტის, ბეჭდური მედიის, ტელეკომპანია „რუსთავი-2-ის“, თბილისის ფორუმის, საინფორმაციო სააგენტო „სივილ-

ე“-ს და სამინისტროების გვერდები გახდა. როცა წინასწარ მომზადებული ათასობით ფსევდო, სიმულაციური ვიზიტორი – „ბუტი“ ქართულ საიტებზე ერთდროულად შევიდა, სერვერებმა დატვირთვას ვერ გაუძლო და სისტემები მწყობრიდნ გამოვიდა. რამდენიმე საათით გაითიშა თბილისის ფორუმი და ინტერნეტმომხმარებლები ერთგვარ ინფორმაციულ ვაკუუმში მოექცნენ.

„კიბერომი დღესაც არ დასრულებულა,“ – ამბობს „ლიბერალთან“ ანონიმურ საუბარში ქართველი პროგრამისტების ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წევრი.

„ყოველი წლის 8 აგვისტოს გვიწევს რუსი ჰაკერების იერიშის მოგერიება. წელს პირველად, ამ ორი წლის განმავლობაში, ჩვენ დავიწყეთ შეტევა და მგონი, წარმატებით. საპასუხო იერიშის მცდელობა არ ჰქონიათ. რუსეთის მთავრობის, პარლამენტის, ეკონომიკის სამინისტროსა და პრემიერ-მინისტრის საიტების შეფერხება მოვახერხეთ.“

პროგრამისტი იხსენებს, რომ 2009 წელს მისმა ორგანიზაციამ მომდევნო მოსალოდნებლი კიბერშეტევების დროს თურქ პროგრამისტებს სთხოვა დახმარება, თუმცა უშედეგოდ – „წინასწარვენაგებულ ომში მონაწილეობას რა აზრი აქვსო, – გვითხრეს“. რამდენიმე თვეში საქართველოს პირველი და ოფიციალური კიბერმოკავშირე გაუჩნდება.

„ჩვენ ვუერთდებით ევროკავშირის კიბერდანაშაულის წინააღმდეგ კონვენციას, რათა მაქსიმალურად ვიყოთ დაცული როგორც კერძო, ისე – ფართომასშ-

ტაბიანი კიბერშეტევებისგან, როგორიც 2008 წლის აგვისტოში განვიცადეთ" – აცხადებს იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილურ რესუფან მიხელოძე.

კონვენცია ევროსაბჭოს ქვეყნებს შორის ინფორმაციის გაცვლას და დახმარებას გულისხმობს. „თუ შეტევა განმეორდება, მაქვიძეურად დაგვეხმარებიან კიბერტერორისტების ამოცნობასა და მიგნებაში“, – განმარტავს მიხელოძე.

კონვენციის ფარგლებში, შინაგან საქმეთა სამინისტროში კიბერდანაშაულთან მებრძოლი სპეციალური საგამოიხიბო ჯგუფი შეიქმნება.

„ეს იქნება ქვედანაყოფი 24/7-ზე. ანუ მოქალაქეებისთვის და საერთაშორისო საზოგადოებისთვის ის დღე-დამის ნებისმიერ მონაცემთში იქნება ხელმისაწვდომი“, – ამბობს კრიმინლური პოლიციის დატექნიკურ-გამომძიებელი ნიკა კობახიძე.

შეირჩა რამდენიმე დეტექტივ-გამომძიებელი, IT სპეციალისტი და პროკურორი, რომელიც მხოლოდ კიბერდანაშაულის შემთხვევებს გამოიძიებს. თუ, მაგალითად, რომელიმე გერმანულ საიტს ქართველი მომხმარებელი შეუქმნის საფრთხეს, საქართველოს ვალდებულია, იპოვოს, დააკავოს და შესაბამისად დასაჯოს იგი. იგივე პასუხისმგებლობა აქვს ერთმანეთის მიმართ კონვენციის ხელმოწერ ყველა ქვეყანას.

ამ ვალდებულების გამო კანონმდებლობის მაქსიმალურად პარმონიზაციისთვის ქართულ სისხლის სამრთლის კოდექსში კიბერდანაშაული უფრო დეტალურად განვირა. პირი, რომელიც სხვის კომპიუტერულ სისტემაში უნდართვოდ შევა, გატეს პაროლს, მოპოვებს პერსონალურ ინფორმაციას და მას ან შეინახავს, ან გაავრცელებს, ასევე დაარღვევს საავტორო უფლებებს და ნებართვას, ან ლიცენზის გარეშე, შემოსავლის მიღების მიზნით გაავრცელებს ინტელექტუალურ საკუთრებას – ფილმს, ნიგნს, მუსიკას; ასევე დაამზადებს ბავშვთა პორნოგრაფიას, შეიძლება ჯარიმით, საიტის ლიკვიდაციით ან 3 წლის დამდე პატიმრობით დასაჯოს.

ეს ქმედებები ქართული სისხლის სამართლის კოდექსით აქამდეც დასჯადი

იყო. თუმცა, კიბერდანაშაულის გამოძიება ქართველი სამართლდამცავების ძლიერი მხარე არასოდეს ყოფილა. თბილისის საქალაქო სასამართლოს მონაცემებით, 2006 წლიდან კიბერდანაშაულის ბრალდებით სულ 10 სასამართლო პროცესი გაიმართა. მათგან ყველა კომპიუტერულ ქსელში უნდართვოდ შესვლას, მის გამოყენებას და მავნე პროგრამების – ვირუსების დამზადებას ეხება.

კიბერდანაშაულის გამოძიებების სიმიცირეს იუსტიციის სამინისტრო დანაშაულის სპეციფიკით სხნის და საერთაშორისო სტატისტიკას იშველიერს. FBI-ს მონაცემებით, კომპიუტერული დანაშაულებების დახახლოებით 85% საერთოდ არ მულავნდება, ხოლო სასამართლომდე შემთხვევების მხოლოდ 1% მიღის. ვირტუალური მტკიცებულების განადგურება ადვილად და სწრაფადა შესაძლებელი, რაც დანაშაულის გახსნას ზოგჯერ შეუძლებელს ხდის.

2007 წლის 3 მარტს „მაიკროსოფტის“ საიტზე შესულ მომხმარებლებს სახნის გვერდზე ტორტში ამოსვრილი ბილ გეითსის ფოტოზ დახვდათ. რამდენიმე დღის შემდეგ, კომპანიის დამაარსებლის გამოსახულება საუდის არაპეთის დროშამ და პატარა არაბმა ბიჭუნამ ჩაანაცვლა. მიუხედავად იმისა, რომ „მაიკროსოფტის“ საიტი ერთ-ერთი ყველაზე კარგად დაცული და ორგანიზებული ვებგვერდია, გამომძიებლებმა კიბერტერორისტები ვერ იპოვებ. იშვიათად ისხნება საბანკო პლასტიკური ბარათების გაყალბების შემთხვევებიც, რაც ასევე კიბერ-

■ კომპიუტერული დანაშაულებების დაახლოებით 85% არ მულავნდება, სასამართლომდე შემთხვევების 1% მიღის.

ვირტუალური მტკიცებულების განადგურება ადვილია, რაც დანაშაულის გახსნას ზოგჯერ შესაძლებელს ხდის.

დანაშაულია.

ქართულ საიტებზე ატვირთული თითქმის არც ერთი პროდუცია – ფილმები, მუსიკა, პროგრამები – ლიცენზირებული არაა, შეხვდებით არასრულწლოვანთა პორნოგრაფიის განყოფილებებს და

სპეციალურ საიტებსაც კი, სადაც შეგიძლიათ, ჰაკერობა ისწავლოთ. ასეთ ვებ-გვერდებზე შეგიძლიათ, კიბერ-კრიმინალი დაუკვეთოთ კიდეც – 50 ლარად თქვენთვის სასურველ ელფოსტას, სკაიპს ან სხვა პროგრამას გაგიტეხენ და მესამე, კერძო პირის პერსონალურ ინფორმაციას მოგანვდინან. თუმცა, პრობლემა სამართლდამცავების მხრიდან ამ ვებ-გვერდთაგან არც ერთს აქამდე არშექმნია.

როგორ შეცვლის სიტუაციას კიბერდანაშაულის შესახებ კონვენცია, ამაზე კანონმდებლების აუტორებსაც კი უფრო პასუხის გაცემა. თუმცა ის, რომ კონვენციის ამუშავება ქართულ ინტერნეტ საიტების დიდ ნაწილს და მათ მომხმარებელს პრობლემას შეუქმნის, უდავოა. ქართულ საიტებზე უახლესი ფილმებისა და მუსიკალური ალბომების ნახვა უფასოდა შესაძლებელი. თუ კანონი ამოქმედდა, ამ ვებ-გვერდებს სერიოზული პრობლემები შეექმნებათ.

„ლიცენზირებული ფილმების ყიდვა მოგვინევს. რა თქმა უნდა, ამ ხარჯებს ვერ გავწვდებით და ალბათ ერთი-ორი საიტი თუ დარჩება...“ – განმარტავს „კავკასიის ინტერნეტ მედია ჯგუფის წარმომადგენლონ“ ქეთევან ნაჭყებია, რომელიც ქართული ნამუშევრი საიტების – გოლგოთა, ავორებული, ალლომოვიერებული, ბაზედებული ადმინისტრატორ-რედაქტორია.

გამოსავალი უკვე იპოვეს რუსმა ადმინისტრატორებმა. როცა რუსეთში ინტელექტუალური საკუთრების შესახებ

კანონი ამუშავდა, რუსმა მოდერატორებმა საკუთარი საიტები საერთაშორისო, „უსაშობლო“ მისამართებზე (.com, .org) ან ისეთი ქვეყნის დომენებზე გადაიტანება, რომლებიც კიბერ-კრიმინალის მიზნით გაავრცელებს ინტელექტუალურ საკუთრებას – ფილმს, ნიგნს, მუსიკას; ასევე დაამზადებს ბავშვთა პორნოგრაფიას, შეიძლება ჯარიმით, საიტის ლიკვიდაციით ან 3 წლის დამდე პატიმრობით დასაჯოს.

მოა – მისამართით .ws . ასეთი დომენების საფასური წელიწადში 30\$-ია).

ამერიკული და ევროპელი ექსპერტების ნაწილი კონვენციის ძირითად ნაკლად იმ თეორიულ საფრთხეს მიჩნევენ, რომელსაც ეს დოკუმენტი პირადი ინფორმაციის ანონიმურობას უქმნის. კონვენციის მიხედვით, თუ არის ეჭვი, რომ კონკრეტული ინტერნეტ-მომხმარებელი დაკავშირებულა კრიმინალურ საქმიანობასთან, გამოძიებას უფლება აქვს, მოსამართლის ნებართვით, მისი პერსონალური ინფორმაცია მოიპოვოს და თვალი ადვენტის მის პირად კომუნიკაციას. ამ ადმინისტრაცია შესაძლოა, ვერასოდეს გაიგოს, რომ მას ოდესმე უთვალთვალებდნენ. საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტში განმარტავენ, რომ „საზოგადოებრივი ინტერესი პირად საუბრის ყველა სახის შელახვას ამართლებს“.

„ოქვენ შეიძლება გჯერათ, რომ ვაშინგტონელი სამართალდამცავები სწორად მოიქცევიან. მაგრამ ამაზე რას იტყვით – ყველა ეს ახალი ძალაუფლება ამერიკასთან ერთად გადაეცემა ბულგარეთს, რუმინეთს, აზერბაიჯანს და ევროსაბჭოს სხვა ქვეყნებს, რომლებიც ოფიციალურად დემოკრატიულები არიან, მაგრამ შემოწმებისა და ბალანსის დიდი ტრადიციები არა აქვთ,“ წერს მაიკ გოდვინი ნაშრომში სახელწოდებით „კიბერდანაშაულის შესახებ საერთაშორისო კონვენცია კარგი იდეაა, სანამ მას დეტალურად წაიკითხავ“.

მიუხედავად კრიტიკული შეფასებებისა, კონვენციას ევროსაბჭოს წევრების გარდა უკვე შეუერთდა კანადა, სამხრეთ აფრიკა, იაპონია და ამერიკის შეერთებული შტატები.

კონვენციას ხელი არ მოაწერა ევროსაბჭოს წევრმა რამდენიმე ქვეყანამ – სან მარინომ და მონაკომ. რატიფიკაციაზე უარი განაცხადა რუსეთმაც. რაც იმას ნიშნავს, რომ 2008 წელს საქართველო კონვენციის ხელმომწერი რომც ყოფილიყო, ეს მას კიბერ-ომს თავიდან ვერ ააცილებდა. რუსი სამართალდამცავი ორგანოები არასდროს იქნებიან ევროსაბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული, დააკავონ და დასჯონ კიბერ-შეტევებში დამნაშავეები. ❶

მისი ზოგადი მისამართი და მისი განვითარების მიზანი



„პროპაგანდა დემოკრატიისათვის ის არის, რაც ხელკეტი – ტოტალიტარული ქვეყნისათვის“. ნოამ ჩომსკი

ნინია კაკაბაძე

80-90-იან წლებიდან დამრჩა უცნობი მოგონება – როგორ მოაბიჯებდა მერაბ სეფაშვილი რუსთაველის გამზირზე და გვიმღერდა: – არა, არ დაიჯეროთ, თეთრი რაში არ დაიდგამს უნაგირსო. მაშინ არც თეთრი რაში ვიცოდი, ვინ/რა იყო და სეფაშვილის შემოქმედებასაც ის-ის იყო, გავეცანი. ალბათ, ამ კადრებით იწყებს არსებობას ქართული „ვიდეო-არტი“. ვიდეო-არტი არა ამ სიტყვის ნამდვილი, არამედ პირდაპირი გაგებით.

სეფაშვილთან ერთად, სხვა ქართველი შემსრულებლებიც – დიდები თუ პატარები – ხელებგაშლილნი მღეროდნენ ხან ნარიყალას, ხან მამადავითის, ხან სვეტიცხოვლის და ხანაც ჯვრის მონასტრის ფონზე. თან მუშტებს მეცენატები იცემდნენ, ან ხელებს შლიდნენ და სამყაროს უხმობდნენ.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პარალელურად, სიმღერები სამშობლოზე, სამშობლოს სიყვარულზე განსაკუთრებულ ემოციურ გავლენას ახდენდა ჩვენზე, უბრალო მოკვდავებზე, ვანც ტელევიზორის წინ ვისხდით და თვალზე ცრემლმომდგარი ვუცქერდით დედა სამშობლოზე მომღერალთ. ახლა რომ ვფიქრობ, ყველა მაშინდელი მკლავებგაშლილი მომღერალი, ისინც კი, ვინც დაკარგულ სიყვარულს უმღერდა, სამშობლოსათვის მოტირალი მეგონა. საბჭოთა და პოსტ-საბჭოთა პე-



რიოდში სიმღერები, რომელსაც მაშინდელი სახელმწიფო ტელეარხი გადასცემდა, მკაფიო იდეოლოგიურ დატვირთვას ატარებდა. ახლაც ასეა – ის, რომ სოფიო ნიურაძის გული აფხაზეთის „ლოდინში გაითანგა“, ამას მთელი საქართველო ნაციონალური არხებიდან იგებს. თუმცა, არის სიახლეც – ბოლო დროს ასეთი სიმღერების პრეზენტაციისთვის დრო საინფორმაციო გამოშვებებიდან გამოიყოფა – როგორც იმ დღის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სიახლისთვის.

სიმღერები აფხაზეთზე უკვე დიდი ხანია, სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილად იქცა. ქართველი ხალხი უფალს სოხოვს „მისი“ ზღვის და მინის, „მისი“ აფხაზეთის დაბრუნებას. ჩვენ ხან სამხედრო არტილერიით მივდიოდით ფსოუს წყლის დასალევად და ხან „ლუი ვიტონის“ ჩემოდნებით სოხუმ-

**■ სურგულაძე-ნიუჟარაძის
80-იანი წლების ესთეტიკაში
ვნებიანად გაშლილი
ხელები და ვნებიანი
გამომეტყველება,
ეკრანიდან გვეკეყლუცება
და გვახსენებს, რომ
„დადგება იმედის დღე,
ასრულდება, ვიცით!“
იციან!**



სოფო ნიუჟარაძე

ნინო სურგულაძე

ში დასასვენებლად. ახლა კი ტრიალ მინდორზე ვდგავართ, თეთრ მანდილს ვაფრიალებთ და ღმერთს ვთხოვთ დასმარებას. სურგულაძე-ნიუჟარაძის 80-იანი წლების ესთეტიკაში ვნებიანად გაშლილი ხელები და ვნებიანი გამომეტყველება, ეკრანიდან გვეკეყლუცება და გვახსენებს, რომ „დადგება იმედის დღე, ასრულდება, ვიცით!“ იციან!

კარგი, დავანებოთ თავი ქართველ შემსრულებლებს. მათ, უბრალოდ, მორიგი სიყალებები შემოგვთავაზეს, რომელსაც ქართული სახელმწიფო ჩინური წამების წვეთივით თავში გვიდებს. ბრწყინვალების ორდენი ეკუთვნის მას, ვინც შეძლებს და დაითვლის, საზოგადოებრივ არზე დღეში რამდენჯერ ტრიალებს ეს უკანასკნელი „ვიდეოარტიკი“.

„პროპაგანდის მეშვეობით ჩვენ შევქმენით რაიხი“ – ეს პროპაგანდის ოს-

ტატის, გებელსის ცნობილი სიტყვებია. მასშტაბური პროპაგანდით არა თუ პატრიოტულად ამღერებული მოსახლეობის აღგზნებაა შესაძლებელი, არამედ ილუზიონული სამყაროს შექმნაც. მედია-პროპაგანდის დამსახურებაა, როცა ის, რაც მხოლოდ რამდენიმე ადამიანს „სჯერა“, ეფექტურად იქცევა მთელი საზოგადოების დისკურსად..

მედია ერთადერთი საშუალებაა, რომლის მეშვეობითაც შეგვიძლია აფხაზებს, აფხაზებთი მცხოვრებთ ხმა მივწვდინოთ. ისინი კი იმაზე მეტად ინფორმირებულნი არიან, ვიდრე გვგონია. გმირთა მოედანზე

ტერესოა, რომ ამ ომებში ერთადერთ დამნაშავედ დეკლარირებულად რუსეთის სახელმწიფო მიიჩნევა. მოუხედავად ამისა, დალუპულ აფხაზებს მის მსხვერპლად არ მივიჩნევთ.

ასეა „მედია დიპლომატიაშიც“, არსად და არასდროს ფიგურირებს აფხაზი, მხოლოდ ჩვენი მინა, მხოლოდ ჩვენი ზღვა... „სეპარატისტული რეჟიმი“, „მარიონეტული მთავრობა“, „თვითმარქვია პრეზიდენტი“ – ასე მოვიხსენებთ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს მედიის საშუალებით და არავინ ფიქრობს, მოსწონთ ეს აფხაზებს?! უნდათ, თუ არა, ეს მათი მთავრობაა და მათი პრეზიდენტი, რომელიც დე ფაქტო იქნება თუ ლეგიტიმური – შეურაცხყოფა მაინც არ უნდა მივაყენოთ.

საქართველოს არ ჰყავს ლენი რიცენტალი და საბედნიეროდ, არც ფაშისტური იდეოლოგია აქვს, მაგრამ გვყავს სოფიო ნიუჟარაძე, გიორგი უშიკიშვილი თუ ნინო სურგულაძე (ზუმბას, ნინი ბადურაშვილს და სხვებს აღარ გავიხსენებ). არ ვიცი, ხედებიან თუ არა ისინი, რომ მათი ყალბი, პათეტიკური, უგემოვნო პატრიოტიზმი ჩვენ ყოველდღიურად, უფრო და უფრო გვამორებს აფხაზეთს.

P.S. მაინც როგორი სადაც საკითხია გემოვნება, რომელიც ხშირად შელის ზღვარს ვერდის მუსიკასა და უგვინ სიმღერას შორის. □

“აფხაზეთო ჩამო”

მომენატრა შენი ხილვა, შენი გულის ცემა, შენი ტებილი იავნანა როგორ მენატრება! სიზმარშიც კი შენს ქუჩებში, ჩემს თავს ვხედავ ნათლად, შენს ლოდინში ბავშვის გული ძალზე გაითანგა. აფხაზეთო ჩემო, ჩემო აფხაზეთო, ჭრილობა და ცრემლი შენ ხარ ერთადერთო! სიყვარულის, ძმობის და სიმღერის ფესვო, ჩემი ზღვა და მინა დამიპრუნე, ღმერთო!!! ფა დადგება იმედის დღე, ასრულდება, ვიცი და ღიმილი შეცვლის უმაღლეს შეცვლის მრავალ ქვითინს;

მოგეხვევა, დამშვიდდება შენი სიობოს ხიბლში, სიყვარული გაიმარჯვებს და ნათელი მისი. აფხაზეთო ჩემო, ჩემო აფხაზეთო, ჭრილობა და ცრემლი შენ ხარ ერთადერთო! სიყვარულის, ძმობის და სიმღერის ფესვო, ჩემი ზღვა და მინა დამიპრუნე, ღმერთო! დამიპრუნე ღმერთო!

ტექსტის, სიმღერის და იდეის ავტორი: ნინო სურგულაძე

უსასხლოე მოხატვის ან "სიცი ბექნობებით სავსე"



დავით შეხრიკიძე

უკვე აღარ ვიცი, მერაბ მამარდაშვილზე წერას მნიშვნელობა აქვს, თუ ეს უბრალოდ, საკუთარი სნობური ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება იქნება? თუმცა, დიდი ფილოსოფოსისა და მოაზროვნის, „ქართველი სოკრატეს“ (შეგვეძლო, ევფემიზმიც გამოგვეყენებინა და გვეთქვა „საბჭოთა ეპოქის სოკრატეს“) 80 წლის იუბილე თითქოს წინაპართა საგალდებულო სადღეგრძელოს ჰგავს – ჩუმად გინდა, თქვა, თითქოს გრცევენია და თან არქეტიპულ ვალდებულებას გრძნობ. მით უმეტეს, როცა მისა ლექციები კანტზე, დეკარტსა თუ პრუსტზე თან კარგად გახსოვს და თან – სიზმარივით.

ჩემმა კოლეგამ, ფილოსოფოსმა და კინომცოდნებმ, დიანა მალლაკელი-

ძემ, რომელიც მერაბ მამარდაშვილის ერთ-ერთი ყველაზე ერთგული მოწაფე იყო და მის ყველა ლექციას აუდიო-კასეტებზეც ინერდა, მამარდაშვილის სიკვდილის შემდეგ თქვა, რომ „ჩვენ, ყველამ საერთო, ეგზისტენციური მამა დავკარგეთ, რომელსაც ვერავინ ვერასოდეს შეცვლის.“ და დღეს ჩემთვის ეს ფრაზა კიდევ უფრო ნათელი და გასაგებია.

არც ერთ ხელისუფლებას არ უყვარს თავისუფალი ადამიანები, მით უმეტეს, დიდი მოაზროვნები და უკონტროლო ინტელექტუალები. ისინი გადამდები ვირუსივით ავრცელებენ საშიშ დაავადებას – თავისუფალი არსებობისა და აზროვნების უსაზღვრობის სურვილს. 80-იან წლებში, სამწუხაროდ, აზროვნებაც და თავისუფლებაც სა-

დღაც დისიდენტურ უკომპრომისობასა და „პერესტროკის“ დროის პოლიტიკურ ვნებას შორის გავფლანგეთ. პასუხი კი 90-იანი წლების სამოქალაქო დაპირისპირებამ და ომებმა გვაგებინა, საიდანაც დასკვნა მაინც ვერ გამოვიტანეთ. შესაძლოა იმიტომ, რომ „აჩრდილები გაცილებით მეტ სისხლს ითხოვენ, ვიდრე ყველაზე ბოროტი სახელმწიფო ან კეთილი ხელისუფლება.“

რა ზუსტად შეესაბამება მერაბ მამარდაშვილის ნააზრევი ჩვენი უახლესი ისტორიისა და დღევანდელობის შეუფასებლობასაც და გაუაზრებლობასაც: „შეგიძლია ისე მოკვდე, რომ არასოდეს აღმოაჩინო, რა იყო შენი გრძნობა. ეს შენი გრძნობა იყო, მაგრამ ის ვერ იგრძენი; ფიქრი შენი იყო, მაგრამ შენ ის ვერ იფიქრე; გამოცდილება შენი იყო, მაგრამ ამ გამოცდილებიდან აზრი ვერ გამოიტანე. ასე და ამგვარად, გამოცდილება მეორდება; თითქოს შენი ცხოვრება მარადიულად დეჭავს ერთსა და იმავე ნაჭერს, ისე, რომ ვერც ერთხელ ვერ გადაყლაპა იგი“.

მიუხედავად 80-იანი წლების მეორენახევარში ქართულ ინტელექტუალურ საზოგადოებაში მისი დიდი გავლენისა, ის მაინც პოლიტიკური ცხოვრებისა და სივრცის მიღმა დატოვეს. არც სახალხო ფრონტი და არც მით უმეტეს, ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა, თუ სხვადასხვა წვრილმანი და მსხვილი პარტიები მამარდაშვილის შეხედულებას სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების აუცილებლობასა და პიროვნების თავისუფლებაზე



მერაბ მამარდაშვილი

არ იზიარებდნენ. თუმცა, მამარდაშვილი სწორედ იმ პერიოდში წერდა: „არ შეიძლება, არსებობდეს ეროვნული იდეალი, თუ მასში ჩადგებული არ არის ადამიანის თავისუფლება და ვიდრე დამოუკიდებელი არსებობის ფორმას არ მივაღწევთ, ვერ დავინახავთ და ვერ გავიგებთ ჩვენს თავს.“

ბრწყინვალე დასავლური განათლების, ასევე დასავლური იმიჯისა და ოდნავ ირონიულ-ეგზისტენციური „სტილის“ (ჩიბუსის დინჯად მოწევა და ფერადი სვიტერები) მიუხედვად, გამუდმებით საბჭოთა წარსულს ახსენებდნენ. 70-იან წლებში მამარდაშვილის რედაქტორობით ჟურნალი „ვოპროსი ფილოსოფიი“ მნიშვნელოვან საგანმანათლებლო ფუნქციას იძნდა. თუმცა, სიმართლე ვთქვათ, საბჭოთა დისადენტებს ანგარიში საბჭოთა სისტემის მიხრნილ და სასტიკი სიმბოლოებთან – ბრუნევთან და ჩერნენკოსთან უფრო ჰქონდათ გასასწორებელი, ვიდრე სოკრატესა და დეკარტესთან მშვიდად „მოსაუბრე“ საბჭოთა ფილოსოფოსთან. და მანც, საბჭოთა საზოგადოებისათვის ის უცხოდ დარჩა. კარტეზიანული ძიებაზი თუ „მარტობაში სულის აღზრდა“ ვერ გაერითმა პოსტ-ბოლშევიკურ სააზროვნო სიტემას.

მისი ლექციები არაფრითო ჰგავდა ტრადიციულ საუნივერსიტეტო კურსის მოსმენას ან ლექციის „კითხვას“. პრესტისა თუ დეკარტზე საუბრისას გამუდმებით ცდილობდა მსმენელის აქტიურ ჩაბმას სააზროვნო პროცესში. მისთვის უმთავრესი ცნობიერების ფენომენი, მისი კულევა და ადამიანის გონების შესაძლებლობის გაფართოება იყო. რადგან, მიაჩნდა, რომ მხოლოდ ცნობიერად განხორციელებული ადამიანი იქნება თავისუფალი.

„სული გრძნობებით საგსე“ – ის ხშირად ციტირებდა კანტის ამ ცნობილ ფრაზას და მისი მუდმივი ხეტიალიც მოსკოვს, თბილისა და დასავლეთს შორის სიმბოლურად, მოსკოვის აეროპორტში სიკვდილით დასრულდა. მერაბ მამარდაშვილი მაშინ მხოლოდ 60 წლის იყო. ■

ერის ნიბნაბი



რატი ამაღლობელი



რადიო „თავისუფლების“ ბლოგზე მაღაზაზ ხარბედიას ავტორობით გამოქვეყნებული ტექსტით „ისინი იდგნენ“ მოხიბლულმა და ამავე დროის გამოსავლის ძიებაში მყოფმა გადავიწყვიტე, „ლიბერალის“ მყითხველს შევთავაზო რამდენიმე წლის მანძილზე ქუჩაში ნაყიდი ნიგნების მცირე ჩამონათვალი.

დარწმუნებული ვარ, ქუჩაში ნიგნების დახლთან არაერთხელ გაჩერებულხართ და თქვენთვის საინტერესო ნიგნი აღმოგიჩნიათ. თბილისში აგვისტოდან ნიგნების გარევაჭრობა აიკრძალა.

იმ ადგილებში, სადაც ნიგნები ელაგა, ახლა სრული სიცარიელეა და სხვადასხვა პოლიტიკური არჩევნების დროს გაკრული, სხვადასხვა სიძველის პოლიტბლაკატებიდან, სხვადასხვა პოლიტიკოსის თვალი ან ყურა, ან მხოლოდ სლოვანების ნაგლეჯები ჩანს.

■ ქალაქის ქუჩებში ნიგნები გაქრა და ამიტომაც ვცდილობ, ზეპირად ალვიდგინო ისინი, რადგან ამ ტექსტს სამსახურში ვწერ და არა სახლში – ნიგნების ზუსტი ბიბლიოგრაფიული მონაცემების აღწერა გამოჭირდება. ამიტომ ვეცდები, თქვენთან ერთად ალვიდგინო ქუჩაში შეძენილი ნიგნები, ამასობაში თქვენ – თქვენი გაგახსენდებათ, მე – ჩემი.

ქალაქის ქუჩებში წიგნები გაქრა და ამიტომაც ვცდილობ, ზეპირად აღვიდგინო ისინი, რადგან ამ ტექსტს სამსახურში ვწერ და არა სახლში – წიგნების ზუსტი ბიბლიოგრაფიული მონაცემების აღნერა გამიტირდება, ანუ მათი გამოცემის თარიღისა და გამომცემლობების მითითება, ამიტომ ვეცდები, თქვენთან ერთად აღვიდგინო ქუჩაში შეძენილი წიგნები, ამასობაში თქვენ – თქვენი გაგასხსნდებათ, მე – ჩემი.

მაშ ასე:

- ▶ გალაკტიონ ტაბიძე – „თხზულებანი“ 12 ტომი
- ▶ „ძველ ბერძნულ-ქართული ლექსიკონი“
- ▶ „ლათინურ-ქართული ლექსიკონი“
- ▶ „ბოტანიკური ლექსიკონი“
- ▶ „გრეიგისის ძველი ბერძნული მითები“ (რუსულად)
- ▶ „მითოლოგიური ლექსიკონი“
- ▶ „იოანე მინჩხი“ – უნივერსტეტის გამოცემა.
- ▶ არისტოტელე – „პოეტიკა“ (რუსულად); 1938 წელს გამოცემული, წარნერით - „ქალბატონ რუსუდანს მისი პედაგოგური მუშაობის 40 წლის იუბილეს აღსანიშნავად, კოლექტივი.“
- ▶ მიქაელ მოდრეკილი – უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ▶ „შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია“ – გურამ თევზაძე.
- ▶ „ათეისტის ლექსიკონი“ – ათეისტის ბიბლიოთეკა (რუსულად)
- ▶ „აპოკრიფები“ – ათეისტის ბიბლიოთეკა (რუსულად)
- ▶ „ბავშვის აღზრდა და განვითარება“ – გლოკული (გერმანულად)
- ▶ „წერილები და ესსეები“ – ზვიად გამსახურდია
- ▶ „მცხეოლი ხელნაწერები“
- ▶ „ქართლის ცხოვრება“ (ორტომეული)
- ▶ ურუჟ ბატაი „დაწყევლილი წანილი“ „ლიტერატურა და ბოროტება“ (რუსულად)
- ▶ სლავო უიუეკი – „კეთილი იყოს თქვენი მიბრძანება რეალურობის უდაბნოში“ (რუსულად)
- ▶ „კულტურა და ტრეგედია“, „სტრუ-

ქტურული ანალიზის შესავალი წარატოულ ტექსტებში“ – როლან ბარტი (რუსულად)

- ▶ უურნალი „ხომლი“ – რამდენიმე წომერი
- ▶ რაინერ მარია რილეკე – „წერილები“ (გერმანულად); ე.წ. „გედერის“ დროინდელი
- ▶ რუდოლფ შტაინერი – „დრამა-მისტერიები“ (რუსულად)
- ▶ ქართული ენციკლოპედიის შესავალი ტომები (ქართულად და რუსულად)
- ▶ მარტონ ჰაიდეგერი – „თემპარა“
- ▶ სავლე წერეთელი – „ფილოსოფიის ისტორია“
- ▶ ოთარ ჭილაძე – „ლექსები“ გამოცემლობა „მერანი“
- ▶ შოთა წინძიანიერი „რეზული“ გამომცემლობა „მერანი“
- ▶ უმბრიტო ეკო – „ვარდის სახელი“, „არყოფილი სტრუქტურა“, „როგორ დავწეროთ სადიპლომო ნაშრომი (რუსულად)“
- ▶ გრიგოლ ნოსელი – „შესაქმისათვის“
- ▶ ორიგენე – „საანგისნი“ (რუსულად)
- ▶ დიონისი არეოპაგელი „ლვთაებრივი ლვთისტებულება“ (რუსულად)
- ▶ ვიქტორ წოზაძე „ვეფხისტყაოსნის მზის მეტყველება“ სანტიგო დე ჩილე

და კიდევ უამრავი წიგნი, რომელიც ბუკნისტებთან, წიგნის გარემოვაჭრებთან შეეიძინეთ ან ვერ შეეიძინთ.

ეს ის მცირე ჩამონათვალია, რაც წერის დროს გამახსენდა, დარწმუნებული ვარ, თქვენც გაგასხსნდათ წიგნები, რომლებიც უკვე ჩვენს წანილად იქცნენ, ჩვენი შეგრძენების ორგანოებად, ისინი უკვე ჩვენს აღქმები არიან, მათგან საგსებით განუყოფელი.

ვფიქრობ, სრულიად წარმოუდგენელია ანმყოში საკუთარი თავის აღქმა ოდესადაც წაკითხული წიგნების გარეშე,

იმ წიგნებისა, რომელთაც საქართველოსთვის უძინეს პერიოდში თბილისისთვის ასე ახლობელი და ნაცონბი ადამიანები გავანვდიდნენ, როგორც საკვებს.

დაახლოებით შეგვიძლია, ვივარაუდოთ ხელისუფლების არგუმენტები: „რა

გინდათ, რას გვერჩით?! წიგნები და მოვაჭრები გავლენ დედაენის ძეგლთან, კარგად მოწყობილ დახლებზე დაალაგებენ ინტელექტუალურ პროდუქტიას, ერთად იქნებიან ყველანი, თუ მაინც და მაინც ძველი საბჭოთა და რუსული წიგნები განდათ, მიხვალთ იქ და რასაც მოისურვებთ – იყიდით“ არგუმენტია, თუმცა რატომ უნდა მოხდეს მათი ლოკალიზაცია გეტოს პრინციპით ერთ ადგილზე, აი, ეს არ მესმის. წიგნი ხომ ცოცხალი, დინამიური ქალაქის ასეთივე სპონტანური და უშეუალო ნაწილია, ისინი ხომ შეუდარებლად ნაკლებ ადგილს იკავებენ, ვიდრე «City park»-ის სამანქანო სადგომები. ჩვენ მათ ყდებს, მათზე დაწერილ ასოებს, ავტორებსა და სათაურებს, ქალაქის ქუჩებში მრავალჯერ სრულიად შემთხვევით გადავყრივართ. სწორედ ეს შემთხვევითობა და სპონტანურობა ქალაქის ხასიათის, მისი ცოცხალი ბუნების გამოვლინება. სსენებული წიგნები შეიძლება, ოდესადაც პაემანზე მისულს და შეხვედრის მოლოდინში მყოფთ აღმოგეჩინათ. ან ტრანსპორტიდან მოგეერათ თვალი, ან ვინმეს მოეკრა თვალი და თქვენ გითხრათ. მნიშვნელოვანი წიგნები ასე მოდიან ჩვენთან, ცოცხლად და არა აუცილებლად დაგეგმილად. ისინი თავზარდამცმად გვესხმიან თავს, მინისკვეშა გადასასვლელებში,

ავტობუსის

გაჩერებებზე, ბიბლიოთეკებში და უცხო ადამიანის ხელებიდანაც, რომელიც შეიძლება, გაჩერიოთ და ჰეთხოთ, თუ სად შეიძინა ეს ახლად აღმოჩენილი ან აღმოსაჩენი სამყარო. ვისაც განუცდია მსგავსი რამ, მისთვის არ არსებობს ადგილი, სადაც შეიძლება წიგნების დატყვევება, მომწყვდევა. მათ აქვთ უფლება, ყველა იყვნენ, ნებისმიერი გზით შემოაღწიონ ჩვენში, ეს მათი ლეგიტიმური უფლებაა, ეს ჩვენი ლეგიტიმური უფლებაა, თუნდაც რომანტიული, თუნდაც, ერთი შეხედვით, არაპრაგმატული, რადგან სწორედ წიგნებშია ის, რაც ყოველ ადამიანს, რაც ყოველ ქალაქს, რაც ყოველ სახელმწიფოს, რაც მთლიანად დედამინას აძლევს შესაძლებლობას, სულ მცირე, იცოდეს და ატაროს საკუთარი სახელი. ■

ფეხი ე სპინი



გიო ახვლედიანი

როგორც ყველა ფეხბურთის მოყვარე, მე მივუჯდები ხოლ-
მე ხანდახან „იუთუბის“ და ძველ რაღაცებს ვუყურებ.

ისეთი შემტყუებელი რამ გახლავს, შეიძლება, საათებსაც
გასტანოს.

ბებიაჩემი ფეხბურთის მოყვარეებს ხშირად ეძახდა მოცლი-
ლებს. მაშინ რომ „იუთუბი“ ყოფილიყო, ალბათ უფრო ხში-
რად დაუძახდა.

თუმცა, ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, მოცლილი ვარ თუ
რაც არის, ყველას თავისი ამბავი აქვს.

ბევრი ძველი კადრი უკვე ზეპირად ვიცი. ჩვენს ბავშვობა-
ში ამ კადრების ხილვა მიუწვდომელი ოცნება იყო. როგორც
გაირკვა, მიუწვდომელი არ ყოფილა.

ერთი მიყვარს, გარინჩა რომ ბულგარეთთან ჯარიმას ურ-
ტყამს 66 წელს.

უკვე ბებერი გარინჩა, მარჯვენა ფეხის გარე მხრით, მის-
გან ახლო კუთხეში, კედლის თავზე ატარებს აჭრილ ბურთს.
მოჭრილ კი არა, აჭრილს. გოლი ძელქვეშ გადის. არც ხმელი
ფოთოლია და არც რამე, უბრალოდ აჭრილია, თანაც ბულგა-
რელების კედელი არცთუ გამართულად დგას.

ეგრე დარტყმა არ მომწონებია ცხოვრებაში. რაც ფეხბურ-
თი მიყურებია, ეგრე დარტყმა არ მომწონებია. რატომ, არ
ვიცი, ეტყობა, რაღაც თვალით შევხედა.

ახლა რომ მოყვებით ხოლმე, რომ ფეხბურთი ძალიან შეი-
ცვალავ და ის სისწრაფეები ამ სისწრაფეებს ვერ შეედრე-
ბათ და ასე შემდეგ, ძველი ფეხბურთი სხვა იყო და ძველი
ვარსკვლავები ეგებ დაჩაგრულიყენენ ახლებთან შედარებით,
იმიტომ რომ მაშინ სივრცე მეტი იყო და იოლასაც გადიოდ-
ნენო, ეგ ხომ ისედაც სისულელეა, მაგრამ აი, ეს დარტყმა,
გარინჩას რომ გამოუდის, რაღაცას ამტკიცებს.

ეგ დარტყმა საკამინისა იმისთვის, რომ ფეხბურთში არსე-
ბული მარადიული ვაღიაროთ და დავინახოთ. იმიტომ, რომ ეს
საჯარიმო დარტყმაა, გაჩერებული ბურთი, გაჩერებული ხალ-
ხი და მხოლოდ ოსტატობა. არა მაინცდამიანც დარტყმისა,
თუმცა დარტყმაც მშვენიერია, არამედ საფეხბურთო გრძნო-
ბისა და ფეხბურთელის გონებისა.

რაც ჩვენ საჯარიმო დარტყმები გვინახავს, სულ ულამა-
ზესები. სულ ძელქვეშ ჩაჭედილები, ან ჩახვეულები, რანაირი
გინდა, მარადონას დარტყმულები, ზიდანის დარტყმულები.
ბექემის დარტყმულები, ვისი აღარ.

ის, გარინჩასი კი მაინც ჩარჩენილი მაქვს, რადგან, მომკა-
ლი და, ეგეთი დარტყმა – არა, კი მინახავს, ასე გაჭრილი
პასი და ვაღაცებს უცდიათ კარში ასე დარტყმაც, მაგრამ ასე
შესრულებული – არასდროს.

ბულგარელთა კედელი ცუდად დგას. ისეთი სურათია, რომ
ცაცია კაცი კარგად გამოიქცევა და თუ ისტატობაც ფეხზე
აქვს, მშვენივრად ჩახვევს ახლო ცხრიანში. ოლონდაც, გა-
რინჩა მორბის და მარჯვენათი ურტყყამს, მშვენივრად ხედავს,
რომ კედელს კაცი აკლია და სწორედ სადაც აკლია, ბურთიც
იმ ადგლის გაიზუზუნებს. მაგარი კი ის არის, რომ ბურთი,
ისე ბრუნავს, თითქოს მარცხენათი დაგერტყყას. ასეთ ვითა-
რებაში კაცი მარჯვენა ფრთიდან, მარჯვენა ფეხით, მისგან
მარჯვენა კუთხეში ურტყყამს.

ახლა შეუძლიათ თქვან, ასეთ ჯარიმას, როცა კედელი ასე
დგას, ყოველი დღეგანდელი ნასხავლი ფეხბურთელი გაიტან-
დაო, მე კიდევ არ მგონია, იმიტომ, რომ ძნელად რომ დღეს
ასეთი ფეხი და ტვინი ვინმეს ჰქონდეს. თუ არ ვცდები,
ზიდანს ჰქონდა ასეთი ფეხი და ასეთი ტვინი, არც ამ რობი-
ნიოებს და ნილმარებს, არც სხვათა და სხვათა არაფერი აქვთ.

გასაგებია, რომ დღეს შეუძლებელია, კოჭლმა პროფესიუ-
ლი ფეხბურთი ითამაშოს. არც მიიღებენ.

ოლონდ კი, მე მაინც ეგრე ვფიქრობ, რომ, აბა, ცხოვრება-
ში გამოუვიდეს კაცს რამე ეგრე, როგორც გარინჩას ის
დარტყმა: მარჯვენიდან, მარჯვენათი და მარჯვენა კუთხეში. ■



გარინჩა

ახავის სამაში ა 30ხაზი მა!



კახა თოლორდავა

მიქელანჯელო ანტონიონის „დაბნელებაში“ არის ერთი ასეთი ეპიზოდი: მონიკა ვიტის პერსონაჟი დედის მოსანახულებლად მიდის საბანკო ბირჟაზე. ტაქსი, რომელითაც ის მგზავრობს, ბანკის წინ, გადატვირთული და ვინრო ქუჩის შუაგულში აჩერებს. მონიკა ვიტი მანქანიდან გადმოდის და ჩანთაში იქექბა ფულის ამოსალებად. ამ დროს უკინიდან მომდგარი მანქანის მძღოლი, მიუხედავად იმისა, რომ კარგად ხედავს მის წინ მდგარ ქალბატონს, რომელიც ისედაც ჩეარობს ჩანთიდან ფულის ამოდებას, გულისგამანვრიდებელი პიპინით ანიშნებს ტაქსისტს – ჩეარა გაიარეო. მისი მოუთმენლობით შენუხებული მონიკა ვიტის პერსონაჟი იმ მძღოლს მიუბრუნდება და, ჩემის აზრით, კინის ისტორიაში ყველაზე დახვეწილ შენიშვნას აძლევს მას, არა სიტყვებით, არამედ ტანის ენით და სახის გამომეტყველებით. ამ ფილმს სულ რამდენიმე დღის წინ შევხედე (მაინტერესებდა, ისევ ისე მომენტობოდა თუ არა, როგორც ადრე) და ჩათვალეთ, რომ ეს ტექსტი ანტონიონიმ და ვიტიმ მაჩუქეს, რადგანაც სწორედ ამ ეპიზოდმა შემახსენა ჩემი დაპირება.

აუცილებლად დავწერ რამეს საზოგადოებრივ ადგილებში შენიშვნის მიცემის თბილისურ კულტურაზე (თუ უკალტურობაზე) მეტეი.

დასამალი არაა, რომ არავის მოგვონის, როდესაც შენიშვნას გვაძლევენ, განსაკუთრებით კი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. არც ისაა დასამალი, რომ ხშირად შენიშვნას ვიმსახურებთ ხოლმე და მგონია, რომ ის, თუ როგორ ვიძლევით შენიშვნას, ან როგორ ვრეაგირებთ მასზე, საკმაოდ ხეირიანი მარენებელია იმისა, თუ ვინ ვართ ჩვენ.

დამეთანხმებით, ადამიანისათვის შენიშვნის მიცემა არც თუ ისე ადვილია. ამ დროს მაქსიმალურად უნდა დაინდო მისი თავმოყარეობა და რაც შეიძლება, რბილად მიანიშნო შეცდომაზე. ჩემი დაკვირვებით, სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული ტემპერამენტით იძლევიან შენიშვნებს და შესაბამისად, განსხვავებულად რეაგირებენ მათზე. ამ მხრივ, ყველაზე დახვეწილები მაინც ბრიტანელები არიან. საკუთარ ტყავზე მაქს გამოცდოლი სარკაზმის და იუმორის ლონდონური ნაზავი. ამერიკელები ბრიტანულ დახვეწილობას მოკლებულები არიან, თუმცა მათაც ურიგოდ არ გამოსდით. ფრანგები უხეშობის ზღვარზე იძლევიან შენიშვნებს, გერმანელებიც, რუსები კი შენიშვნებს არ იძლევიან, ისინი, უბრალოდ, „ხამიატ“. ერთხელ ჩემი ერთი მოსკოველი ნაცონბი ირი დღის მანძილზე იტანჯებოდა იმის გამო, რომ საკადრიის პასუხი ვერ გასცა შენიშვნაზე, რომელსაც, სხვათა შორის, იმსახურებდა და ნამდაუნუმ მეუბნებოდა: „გაიგე, კახა, კი არ უნდა მეთქვა ჩემ უკანალში ჩაყავი ცხვირი მეთქი, არამედ



მკვდარი ჩეჩენის უკანალში-თქო. ასე უფრო ეფექტური იქნებოდა!”

რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს მხოლოდ ფრაგმენტული დაკვირვების შედეგია და არავითარ შემთხვევაში – სრული სურათი, მაგრამ ქართველების შემთხვევაში, ალბათ დამეთანხმებით იმაში, რასაც ახლა ვიტყვი: ჩვენ ყველანარად გავურბიერთ შენიშვნის მიცემას საზოგადოებრივ ადგილებში. იმიტომ, რომ აქ ეს კარგ ტონად არ ითვლება; და კიდევ იმიტომ, რომ წინასწარ ვიცით, ეს შარში გახვევის უებარი საშუალებაა. აქ ყველაზე რბილი შემჩენებაც კი შეურაცხოფად აღიქმება! ჩვენ საოცარი სისწრაფით ვბრმავებით სიტუაციებში, როდესაც შენიშვნის მიცემა გარდაუვალი და აუცილებელიცა; ჩვენ თავდადებული აგრძისულობით აღვიტებამ ნებისმიერ კრიტიკულ შენიშვნას და რამდენადაც უცნაურად უნდა ჟღერდეს, ჩვენს ქალაქებს თუ სოფლებს ამ გადამდები სიბრძმავის დალი ამჩნევიათ. დაყარე ნაგვი ქუჩაში? მერე რაა?! შეიგინე პატარების თანდასწრებით? რა მოხდა, შე კაცო! მოფსი სადარბაზოში? ეტყობა, მაგრად გეფს-მოდა! ეწევი სამარშრუტო ტაქსში? შეგერგოს!


ამას წინათ ქუჩაში ვიღაც უცნობმა შემაჩერა. დამინახა ხელში წყლიანი ბოთლი რომ მეტირა და მთხოვა მწყურია, დამალევინეო. ერთი მოყუდებით ჩაცალა ბოთლი. ჯიგარი ხარ, მითხრა და ცარიელი ბლასტმასის ბოთლი ზურგსუკან მოისროლა. ძალიან ზრდილობიანად ვუთხარი, აიღ და სანაგვეში ჩააგდე მეთქი. ისეთი სახე მიიღო თითქოს დედა შემეგინებინოს. კი, წავიდა და აიღო, მაგრამ იცით, რა მითხრა? „მადლი ქენი, მარილი მოაყარე! ერთი ბოთლით მეტი, ერთი ბოთლით ნაკლები აქაურიანისა არ შეეტყობა!“

მართლაც, მე ვარ ქართველი, მაშასადამე უშეცდომო. რა, ასე არაა?! ■



თალავი, ყვარელი, ლაგოდევი
გორი, ქარელი, ხაშური
ზესტავონი, ქუთაისი, სამტრედია
ურევი, ქობულეთი, ბათუმი
ვოთი, სენაცი, ზუგდიდი

FM 105.5
FM 103.0
FM 104.5
FM 101.0
FM 101.9



WWW.LIBERALI.GE
